

K 248.005  
3

საქართველოს  
საბავშვო  
ლიტერატურის  
საქართველოს

ბავშვთა ჟურნალი

პეპელი  
მადონა  
სიკვლეო  
კუჩი  
სიკვლეო



«მეცნიერებ» თბილისი  
1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიბრარატორიის ისტორიის ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ  
ИМ. ШОТА РУСТАВЕЛИ



ГУРАМ ШАРАДЗЕ

ЕВГЕНИЙ  
БОЛХОВИТИНОВ  
ПЕРВЫЙ  
РУССКИЙ  
РУСТВЕЛОЛОГ

ОЧЁРК  
ИЗ ИСТОРИИ РУСТВЕЛОЛОГИИ



---

«МЕЦНИЕРЕБА» ТБИЛИСИ  
1978

ბერძენი უბერძენი

ბერძენი  
გოლგოთაშენობა  
სიკვლევა  
სურსი  
სესიონალური

წარმოები  
საქართველოს იმპერიალური



---

«მეცნიერება» თბილისი  
1978

1. ხუბთაველი, შოთა

8 Г 1

899.962.1.092 [რუსთაველი]

შ 254

2. ხუბი ლიფეჩაშუხაძემოდნეაძი და  
ხიზიკოსები

რუსთველოლოგიის ისტორია XIX საუკუნეში იწყება ე. ბოლხო-  
ვიტინოვის წიგნით «Историческое изображение Грузии...», რომე-  
ლიც გამოიცა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველი წლის  
თავზე (სპბ., 1802).

ე. ბოლხოვიტინოვი (1767—1837) თავისი დროისთვის გამოჩენი-  
ლი რუსი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე იყო. ქართველი კონსულ-  
ტანტების დახმარებით დაწერილ მის წიგნში ქართული ლიტერატუ-  
რის სხვა ძეგლებთან ერთად განხილულია შოთა რუსთაველის „ვეფ-  
ხისტყაოსანი“, კერძოდ, მოცემულია პოემასთან და მის ავტორთან და-  
კავშირებული რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და ზო-  
გიერთი ადგილის რუსული თარგმანი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიე-  
რული მოღვაწეობის, კერძოდ, რუსთველოლოგიის ისტორიაში მისი  
წიგნის მნიშვნელობის შეფასების ცდას.

რედაქტორი ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი

K 248.005  
3

შ 70202 / M 607(06)-78-112-78 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
ფონდის  
ნომერი  
0002-11278

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
ფონდის  
ნომერი

## შესავალი

XIX საუკუნის I ნახევარი რუსთველოლოგიის ისტორიაში ვეფხისტყაოსნის კვლევის გამოცოცხლებით ხასიათდება. გამოცოცხლებით, — ვამბობთ იმიტომ, რომ მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის შემდეგ, თითქმის აღარავინ მიბრუნებია სწავლული მეფის მიერ წამოწყებულ საქმეს.

ახალი საუკუნის დასაწყისში განახლებულ რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებას იმთავითვე დაეტყო ევროპული მეცნიერული აზროვნების ზეგავლენა, რაც გაპირობებული იყო საქართველოს ისტორიაში ამ დროს მომხდარი თვისობრივად სრულიად ახალი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებით. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ (1801 წ.) ახალი სხივი შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიბრუნების პუნქტი გახდა ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

ამ პერიოდის რუსთველოლოგიური ლიტერატურის უბრალო ბიბლიოგრაფიული აღნუსხვაც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ერთბაშად გაფართოვდა რუსთველის პოემით დაინტერესების გეოგრაფიული არეალი. რუსთველის პოემაზე საგანგებოდ თუ გაკვრით უკვე წერენ რუსი და ევროპელი ავტორები — ე. ბოლხოვიტინოვი, შლეცერი, ზასი (ლანგენი მისი მთარგმნელია), მალტბრენი, ი. ორლოვი, მ. ბროსე, კ. რდულტოვსკი, ა. ჟარი დე მანსი, ა. მურავიოვი...<sup>1</sup> ჩნდება პოემის უცხო ენებზე (რუსული, ფრანგუ-

<sup>1</sup> შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712 — 1956 წლები), თბ., 1957, გვ. 4—32.



ლი, პოლონური) გადათარგმნის პირველი ცდები (ე. ბოლხოვინოვი, მ. ბროსე, კ. რდულტოვსკი, ი. ბარტდინსკი...)<sup>2</sup>.

საგანგებო ხაზგასმის ღირსია ის, რომ უცხოელ ავტორებთან ერთად ამ პერიოდში სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიან სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს რუს და ევროპელ მეცნიერთა გვერდით; მათ მოღვაწეობას იმთავითვე განსაზღვრავდა იმისი ღრმა შეგნება, რომ ეროვნულ კულტურას, ამ შემთხვევაში, მწერლობას, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული მეცნიერული ძალები უნდა სწავლობდეს, რომ სწორედ ეროვნულ მეცნიერულ ძალებს უნდა შესწევდეს, პირველ რიგში, მისი ათვისების სასიცოცხლო უნარი და ენერჯია, რადგან მსოფლიო კულტურის ისტორიამ ბევრი იცის ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ საკაცობრიო კულტურის ძეგლს, მისი შემქმნელი ხალხის სულიერი გამოფიტვისა და ინტელექტუალური მოძრაობის დაშრეტის გამო, სხვა ერების მეცნიერები ეპატრონებოდნენ ხოლმე.

ამ მხრივ თ. ბაგრატიონმა, დ. ჩუბინაშვილმა და პლ. იოსელიანმა, მარი ბროსესთან ერთად, XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებული, ვახუშტისა და ანტონ I-ის მიერ გაგრძელებული მეცნიერული ტრადიციები XIX ს. I ნახევარში თვისობრივად სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანეს. ხოლო, რაც შეეხება რუსთველოლოგიურ მუშაობას, აქ მათ იმდენი გააკეთეს, რომ, არსებითად, ისინია არა მარტო იმდროინდელ რუს და ევროპელ მეცნიერთა, არამედ, თუ გნებავთ, აკად. ნ. მარის მოსვლამდე, მთელი XIX საუკუნის რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ტონისა და მიმართულების მიმცემი, ამასთან, თანამედროვე რუსთველოლოგიური მეცნიერების მიღ-

<sup>2</sup> П. Берков, Шота Руставели в русской литературе, ИАН, отд. общ. наук., № 3, 1938, გვ. 49—80, გადაიბეჭდა კრებულში: Деятели русской культуры о Шота Руставели, Тб., 1966, გვ. 251—309; ს. იორდანიშვილი, ვეფხის-ტყაოსნის თარგმანები ევროპულ ენებზე, „რუსთველის კრებული“, თბ., 1938, გვ. 241 შმდ.; ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანი, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, თბ., 1962, გვ. 206—207; მისივე, ვეფხისტყაოსნის რეკოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, „ძვ. ქართ. მწ. საკითხები“, III, თბ., 1968, გვ. 104 და შმდ.; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 324 და შმდ.; В. Шадури, Что знала о Руставели Россия пушкинского времени, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსველს“, თბ., 1966, გვ. 415—435; ლ. მენაბდე, რუსთველი პოლონეთში, „ალ. ბარამიძის საიუბილეო კრებული“, თბ., 1974, გვ. 163 შმდ.

წევები გარკვეულად მათი დაულალავი შემოქმედებითი შრომით არის გაპირობებული. XIX ს. I ნახევარში მათ მიერ გაჩაღებული მეცნიერული საქმიანობა ქართველოლოგიის, როგორც ახალი დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების ერთ-ერთი მტკიცე ფაქტორი გახდა, რაც უკვე ეროვნული მეცნიერების წინაშე მათ უდავო ისტორიულ დამსახურებას მოასწავებს.

შემოთ გაკვრით უკვე აღვნიშნეთ XIX ს. I ნახევრის ქართველ და უცხოელ ავტორთა რუსთველოლოგიური ღვაწლის შესახებ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ყველა მათ ნაშრომს სპეციალური რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ან ორიგინალობის პრეტენზია ჰქონდეს. ამდენად, ზოგიერთი საგანგებო ყურადღებას შეიძლება არც იმსახურებდეს. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ საეტაპო მნიშვნელობა მაინც მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჰქონდა: ესენია — ე. ბოლხოვიტინოვი, მ. ბროსე, თ. ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი და პლ. იოსელიანი.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია სწორედ პირველი რუსი რუსთველოლოგი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767—1837).

ევგენი ბოლხოვიტინოვი (მიტროპოლიტი კიევისა) რუსთველის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილი პირველი შრომის ავტორია<sup>3</sup>. მასვე ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის (რამდენიმე სტროფის) რუსულ ენაზე გადათარგმნის პირველი ცდა. ამდენად, იგი ვეფხისტყაოსნის პირველ რუს მთარგმნელადცაა მიჩნეული. თუ გავისხენებთ იმასაც, რომ ე. ბოლხოვიტინოვის შრომა მაშინვე ითარგმნა გერმანულ ენაზე<sup>4</sup>, ხოლო შლეცერმა და მალტ-ბრენმა მას გერმანულ და ფრანგულ ენებზე ვრცელი რეცენზიები მიუძღვნეს<sup>5</sup>, ადვილად დავრწმუნ-

<sup>3</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, СПб., 1802, გვ. 72, 86—87, 90—91.

<sup>4</sup> Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Aus dem Russischen übersetzt von Fridrich Schmidt, Doktor der Philosophie, Riga und Leipzig, 1804.

<sup>5</sup> Göttingische gelehrte Anzeigen, 42. Stück. Den 12. März 1803 (იხ. სურ. 12), გვ. 409—424; Annales des voyages de la géographie et de l'histoire, Publiées par M. Malte-Brun, Paris, 1810, t. XII (იხ. სურ. 13 და 14), გვ. 73—100; ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს იცნობდა და იმოწმებდა სენ-მარტენიც; Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, par M. J. Saint-Martin, tome second, Paris, 1819, გვ. 247, 249. აქვე შევნიშნავთ, რომ შლეცერი თავის რეცენზიაში რუსთველს არ ახსენებს (იხ. გვ. 421. ცნობა მომაწოდა ლ. მენაბდეშვილმა).





ნდებით, რომ ევროპაში ქართული კულტურის, კერძოდ, რუსეთში<sup>6</sup> ლის სახელის გატანისა და პოპულარიზაციის საქმეს არსებითად პირველად ე. ბოლხოვიტინოვის შრომამ შეუწყო ხელი. მართლაც, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აკად. მ. ბროსეს, მაშინ პარიზში მოღვაწე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ორიენტალისტს, ქართველოლოგიური ინტერესები სწორედ ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის გაცნობამ გაუღვიძა<sup>6</sup>.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ე. ბოლხოვიტინოვის აღნიშნულ ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში. ამიტომ ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ არსებით მხარეზე მოგვიხდება შეჩერება.

მანამდე კი, საგანგებოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალურად, ან კიდევ, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს მრავალი ავტორი შეხებია, კერძოდ ლ. ანდლულაძე, თ. ბაგრატიონი, ალ. ბარამიძე, გ. გაჩეჩილაძე, ა. გაწერელია, მ. გუგუშვილი, კ. დოდაშვილი, რ. დოდაშვილი, რ. დოლონაძე, ი. ენაკოლოფაშვილი, გ. იმედაშვილი, კ. კეკელიძე, ს. ლეკიშვილი, თ. მაჭავარიანი, ნ. მახათაძე, ი. მეგრელიძე, ლ. მენაბდე, გ. მიქაძე, შ. ონიანი, ტრ. რუხაძე, გ. ფარულავა, ნ. ფორაქიშვილი, ს. ყუბანეიშვილი, ვ. შადური, ა. შანიძე, ქრ. შარაშიძე, დ. ჩუბინაშვილი, ს. ცაიშვილი, გ. წერეთელი, ალ. ხახანაშვილი, ა. ხინთიბიძე... ყველა ისინი ჩვენს ნაშრომში სათანადო ადგილას დამოწმებული და განხილული გვაქვს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

აღარაფერს ვამბობთ საერთოდ ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შექმნილ მრავალფეროვან რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, რომელიც უკვე საფუძვლიანად აქვს მიმოხილული ე. შმურლოს<sup>7</sup>.

<sup>6</sup> Bibliographie analytique des ouvrages de Mr. M. F. Brosset, St-Ptb, 1887, გვ. IX. დაწვრილებით იხ. E. Шмурло, Митрополит Евгений как ученый. Ранние годы жизни, 1767—1804, СПб., 1888, გვ. 348. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 12. ა გ რ ე თ ვ ე, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, ქართველოლოგის ისტორიიდან, ლიტმცოდ. რესპ. საბჭოს VIII სამეცნ. სესია, თბ., 1974, გვ. 9—10.

<sup>7</sup> E. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. III—XXXV; იხ. ა გ რ ე თ ვ ე, E. Шмурло, Библиографический список литературных трудов Киевского митрополита Е. Болховитинова, вып. I, СПб., 1888.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანს ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომისადმი ინტერესი ჩვენში კიდევ უფრო გაცხოველდა. რამდენადაც ვიცით, ე. ბოლხოვიტინოვის შესახებ მონოგრაფიაზე მუშაობს ს. ლეკიშვილი, მაგრამ იგი მკვლევარს ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია, ხოლო ი. მეგრელიძე გამოსაცემად ამზადებს „რჩეულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურას“, რომელშიაც, ბუნებრივია, ე. ბოლხოვიტინოვიც შედის. ჩვენი ნარკვევი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავებას და თავის წვლილს შეიტანს ამ საკითხის მონოგრაფიულად დამუშავებაში.

## ცხოვრების გზა

ე. ბოლხოვიტინოვის ბიოგრაფია, მისი უზოგადესი ხაზებითაც კი, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არავის გადმოუცია. ამისი საჭიროება კი ნამდვილად იგრძნობა, რადგან სპეციალურ საკითხებზე მსჯელობისას ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის რომელიმე მხარის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობა დაბადოს. ამაში ქვემოთ გხადაგზა დავრწმუნდებით.

ევგენი (ერისკაცობაში—ექვთიმე) ბოლხოვიტინოვი დაიბადა 1767 წლის 18 დეკემბერს (ძვ. სტ.)<sup>8</sup> ვორონეჟში, როგორც ვ. ბოციანოვსკი წერს, ღარიბი მღვდლის ოჯახში<sup>9</sup>, პ. ბარტენევის მიხედვით კი, «Евгений был родом купец и сделался священником по личной склонности»<sup>10</sup>. ე. შშურლო გაკვირვებას გამოთქვამს პ. ბარტენევის ამ ცნო-

<sup>8</sup> ე. ბოლხოვიტინოვის დაბადების თარიღად ერთგან უთითებენ 1763 წელსაც (Русские портреты..., СПб., 1908, т. IV, вып. I, 71), რაც სხვა წყაროებით არ მართლდება.

<sup>9</sup> იხ. Энци. словарь Брокгауза и Ефрона, СПб., 1893, т. 21, გვ. 411. შდრ. Большая энциклопедия, под ред. Е. Н. Южакова, СПб., 1896, т. 9, გვ. 84—85; Энциклопедический словарь «Гранат», т. 6, სვეტი 249; Малый энциклопедический словарь, I, вып. II, изд. Брокгауз-Ефрон, СПб., 1907, სვეტი 1629; БСЭ, 3-е изд., т. 3, გვ. 525. იხ. აგრეთვე: Библиотека для чтения, СПб., 1838, т. 26, № 1, გვ. 37 შმდ.; Источники словаря русских писателей, собрал С. А. Венгеров, СПб., 1910, т. II, გვ. 336—341; Иллюстрированная газета, 1869, т. XXIII, № 1, № 3 და სხვ.

<sup>10</sup> Русский архив, издаваемый при Чертковской библиотеке Петром Бартеневым, год осьмой (1870), Москва, 1871, სვ. 876, შმშ.



ბის გამო. მისი დაწვრილებითი გამოკვლევითაც<sup>11</sup>, ე. ბოლხოვიტინოვის მამა, რომელსაც ალექსი<sup>12</sup> რქმევია, განწესებული ყოფილა «священником Воронежской Ильинской церкви»<sup>13</sup>, ხოლო «Фамилия Б о л х о в и т и н о в ы х, из которой вышел митрополит Евгений, принадлежала к старинному служилому роду в Воронежском крае; свое прозвание получила она от города Болхова, где мы застаем еще в половине XVII столетия (1663г.) ея представителей»<sup>14</sup>.

მამით ადრე დაობლებული ყმაწვილი 1777-85 წლებში სწავლობდა ვორონეჟის სემინარიაში. 1785 წლის გაზაფხულზე გაგზავნეს მოსკოვის სასულიერო (სლავურ-ბერძნულ-ლათინურ) აკადემიაში, სადაც სწავლობდა 1788 წლის გასულამდე, თან ისმენდა შადენის, ბოდუენის, როსტის, გეიმის ლექციებს მოსკოვის უნივერსიტეტშიაც, დაეუფლა ევროპულ და კლასიკურ ენებს.

მოსკოვში სწავლის დროს ე. ბოლხოვიტინოვი უახლოვდება ნ. ი. ნოვიკოვსა და მის წრეს, ახლო ურთიერთობა აქვს აგრეთვე ცნობილ რუს ისტორიკოსთან, არქეოგრაფ ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკისთან (1737—1814); ეს ის ბანტიშ-კამენსკია, რომელიც შემდეგ მას

<sup>11</sup> Е. Ф. Ш м у р л о, Евгений, митрополит Киевский, ЖМНП, апрель, 1886; июнь, 1887; июль, 1887; февраль, 1888; май, 1888; июнь, 1888. გამოცემულია ცალკე წიგნადაც შევსებული სახით: Е. Ф. Ш м у р л о, Митрополит Евгений как ученый. Ранние годы жизни 1767—1804, СПб., 1888, გვ. I—LXXXV, 1—455.

<sup>12</sup> და არა — ალექსანდრე, ან კიდევ — ნიკოლოზი (შდრ. ს. ლეკიშვილი, ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზატორი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 15. XII. 1955); მ ი ს ი ვ ე, მე-19 საუკუნის დამდეგის რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ე. ბოლხოვიტინოვი და პეტერბურგის ქართველი საზოგადოებრიობა), საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმი, III სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1961, გვ. 8—9 (დაბეჭდილია რუსულადაც, იქვე, გვ. 15—16). მ ი ს ი ვ ე, Первооткрыватели Руставели, «Заря Востока», 25. VI. 1965; მ ი ს ი ვ ე, Испытание временем, «Веч. Тбилиси», 13. VII. 1966; გ. მ ი ქ ა ძ ე, მასალები ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის, კრებ. „ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები“, წიგნი 2, თბ., 1965, გვ. 144 (ქვემოთ — მასალები); ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. მ ი ქ ა ძ ე ს რედ., თბ., 1954, გვ. 216; გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 4; გ. გ ა ჩ ი ზ ი ლ ა ძ ე, ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით, „მნათობი“, 1967, № 10, გვ. 152.

<sup>13</sup> ЖМНП, 1886, апрель.

<sup>14</sup> Е. Ш м у р л о, დასახ. ნაშრ., СПб., 1888, გვ. 1.

დაეხმარება საქართველოს შესახებ დაწერილი ნაშრომისათვის წყაროების შერჩევასა და დამუშავებაში.

1789 წელს ე. ბოლხოვიტინოვი მშობლიურ ვორონეჟს დაუბრუნდა, სადაც იგი დანიშნეს სემინარიის საეკლესიო ისტორიის მასწავლებლად, იყო აგრეთვე მისი პრეფექტიც.

ამ დროისთვის ე. ბოლხოვიტინოვს საკმაო მწერლური გამოცდილება ჰქონია (ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, ნოვიკოვის ჩაგონებით, მან თარგმნა და გამოსცა 8 წიგნი, მათ შორის, ფენელონის „ძველ ფილოსოფოსთა ცხოვრების მოკლე აღწერილობანი“, წერდა ლექსებსაც). იგი შესდგომია „რუსეთის ისტორიაზე“ მუშაობას, მაგრამ მალე დარწმუნებულა, რომ მეტ სარგებლობას თავის ხალხს ადგილობრივი ისტორიის შესწავლით მოუტანდა. ეს შეგნება დაედო საფუძვლად მის პირველ კაპიტალურ ნაშრომს „ვორონეჟის გუბერნიის ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიური აღწერა“ (ასეთივე ხასიათის ნაშრომები შეადგინა მან შემდეგში ნოვგოროდში, ვოლოგდასა თუ კიევში მოღვაწეობის დროს!).

1793 წელს იქორწინა ლიბეცკელი ვაჰრის ქალზე ანა რასტორგუევაზე, მაგრამ მისი ოჯახური ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა: ზედიზედ დაკარგა სამივე შვილი, უკანასკნელად, 1799 წლის აგვისტოში ცოლიც გარდაეცვალა<sup>15</sup>. 1800 წლის იანვარში მან მტკიცედ გადაწყვიტა ბერად აღკვეცილიყო.

1800 წლის თებერვლის დასაწყისში ე. ბოლხოვიტინოვმა სამუდამოდ დატოვა ვორონეჟი და 15 თებერვალს ჩავიდა მოსკოვს ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკისთან, ხოლო 1 მარტს უკვე პეტერბურგშია; 3 მარტს იგი ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის სარეკომენდაციო ბარათით გამოცხადდა არქიეპისკოპოს ამბროსისთან (მომავალ მიტროპოლიტთან). ე. ბოლხოვიტინოვი განაწესეს ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიის პრეფექტად და ფილოსოფიის და უმაღლესი მკერმეტყველების მასწავლებლად. 7 მარტს იგი ბერად აღკვეცეს და ამ დღიდან, როგორც ე. შმურლო წერს, «Евфимий навсегда превратился в Евгения»<sup>16</sup>. მას ამასთან ერთად უბოძეს პეტერბურგის მახლობელი ზელენეცკის მონასტრის არქიმანდრიტობა, ხოლო 1802 წლის 27 იანვარს გადაიყვანეს სერგიევის უდაბნოს არქიმანდრიტად. 1804 წლის 1 იანვრიდან ე. ბოლხოვიტინოვი ეპისკოპოსად აღავლინეს და ნოვგოროდშია, 1808 წელს კი აქედან ვოლოგდაში გადაიყვანეს, 1813 წელს

<sup>15</sup> Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., ЖМНП, СПб., 1888, май.

<sup>16</sup> Е. Шмурло, Митрополит Евгений как ученый, СПб., 1888, გვ. 275.

კალუგაში, 1816 წელს—ფსკოვში, ხოლო 1822 წლიდან თავდაპირველად მას კიევის არქიეპისკოპოსის კათედრაზე ვხვდავთ, ხოლო შემდეგ სიკვდილამდე, ე. ი. 1837 წლის 23 თებერვლამდე (ძვ. სტ.) იგი კიევის მიტროპოლიტია<sup>17</sup>. დაკრძალულია კიევში, სოფის ტაძარში<sup>18</sup>.

\* \* \*

**ო კ ო ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი   შ ე ნ ი შ ვ ნ ა :**

ე. ბოლხოვიტინოვის პორტრეტი დაცული ყოფილა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში<sup>19</sup>, ხოლო სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილი პორტრეტის რეპროდუქცია («С портрета, находящегося в Императорской Академии Наук») დაბეჭდა 1908 წელს<sup>20</sup> და აქედანაა იგი გადმობეჭდილი ჩვენს წიგნში (სურ. 1). პორტრეტს დართული აქვს ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა რუსულ და ფრანგულ ენებზე<sup>21</sup>. ამას გარდა, ე. ბოლხოვიტინოვის ერთი პორტრეტული გამოსახულება დაბეჭდილია „Иллюстрированная газета“-შიც<sup>22</sup>. პორ-

<sup>17</sup> მასასადამე, თავისი სასულიერო კარიერის მთელ მანძილზე ეგვინი ბოლხოვიტინოვი არასდროს ყოფილა პეტერბურგის მიტროპოლიტი (შდრ. ალ. ბარამიძე, ფაქტები და შენიშვნები, „ლიტ. საქართველო“, № 10, 1936, გვ. 6; მისივე, ერთი ცნობა ვეფხისტყაოსნის დევენის ისტორიიდან, ნარკვევები, I, თბ., 1945, გვ. 401—02) და არც, მით უმეტეს, კიევის არქიმანდრიტი (შდრ. რ. დოღაშვილი, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 4).

<sup>18</sup> Русские портреты... т. IV, вып. I. СПб., 1908, 71. ამ ტაძრის შესახებ იხ. София Киевская, Киев, 1971 г.; В. Н. Лазарев, Мозаики Софии Киевской, М., 1960 г.

<sup>19</sup> Московский главный архив Министерства иностранных дел. Портреты и картины, хранящиеся в нем, вып. I, М., 1898, გვ. 83. შდრ. И. М. Кауфман, Русские биографические и библиографические словари, М., 1955.

<sup>20</sup> Русские портреты XVIII и XIX столетий, изд. В. К. Николая Михайловича, т. IV, вып. 2, СПб., 1908, 71.

<sup>21</sup> Русские портреты..., т. IV, вып. I, СПб., 1908, 71.

<sup>22</sup> Илл. газета, т. XXIII, СПб., 1869, № 1, იხ. აგრეთვე, Памяти митрополита Евгения Болховитинова, 1837—1912, Воронеж, 1912 г. გვ. 1 შმდ; Евге-



ტრეტიდან ჩანს, რომ ე. ბოლხოვიტინოვს მიღებული ჰქონია ანტიკონსტანტინოპოლისა და წმ. ვლადიმერის ორდენები.

\* \* \*

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ე. ბოლხოვიტინოვი ვორონეჟიდან პეტერბურგში 1800 წლის მარტში ჩავიდა<sup>23</sup>. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა ე. ბოლხოვიტინოვის მოღვაწეობა პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიაში (1800-1804 წწ.), სადაც მან დაწერა თავისი ცნობილი ნაშრომი «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии» (СПБ, 1802).

მიუხედავად დიდი დატვირთულობისა, რაც გამოწვეული იყო აკადემიის პრეფექტობითა და პედაგოგიური საქმიანობით (ჯერ ასწავლიდა ფილოსოფიასა და უმაღლეს მკვერმეტყველებას, ხოლო 1802 წლის 5 აპრილიდან — ღმრთისმეტყველებას)<sup>24</sup>, ე. ბოლხოვიტინოვი მაინც პოულობდა დროს მეცნიერული მუშაობისათვის. იგი აქტიურად თანამშრომლობს ცნობილ რუს სახელმწიფო მოღვაწესთან გრაფ ნ. პ. რუმიანცოვთან (1754—1826), რომელიც მფარველობდა და აფინანსებდა გამოჩენილ ისტორიკოსთა და არქეოგრაფთა (ე. ბოლხოვიტინოვი, ა. ვოსტოკოვი, კ. კალაიდოვიჩი, პ. სტროვეი და სხვ.) მრავალმხრივ საინტერესო მუშაობას.

ჩვენ ამჯერად ვერ შევხვებით ე. ბოლხოვიტინოვის უმდიდრეს მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც მოიცავს ფილოსოფიის, ის-

ნიევский сборник. Материалы для биографии митрополита Евгения, вып. I, СПб., 1871 г.

<sup>23</sup> ასე რომ, ვორონეჟელი ე. ბოლხოვიტინოვი პეტერბურგში „უკრაინიდან მოსულ ღვთისმსახურად“ ვერ ჩაითვლება (შდრ. ლ. ან დ ღ უ ლ ა ძ ე, ვფხის-ტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ., 1968, გვ. 110). ასევე, ზუსტი არ არის „პეტერბურგში სასულიერო აკადემიის პრეფექტად ე. ბოლხოვიტინოვის მუშაობის პერიოდად 1800—1802 წლების“ მიჩნევა (იქვე, გვ. 110).

<sup>24</sup> ამ მხრივ, დამახასიათებელია ე. ბოლხოვიტინოვის 1800 წლის 26 აპრილის წერილი თავისი ვორონეჟელი მეგობრის ვ. ი. მაკედონეცისადმი: «От множества должностей редко высыпаюсь и от того чувствую даже боль в груди, в спине, в голове. Вся академия взвалена на мои плечи» (Русский архив, 1870, М., 1871, სვ. 774).

ტორიის, მუსიკის, არქეოგრაფია-არქეოლოგიის, ბიბლიოგრაფიისა თუ ეკლესიის ისტორიის მრავალფეროვან საკითხებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ მის დაულალავ მოღვაწეობას გულწრფელ აღტაცებაში მოჰყავდა თანამედროვენი და მისი შემოქმედების დამფასებლები. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე გამონათქვამს ე. ბოლხოვიტინოვის შესახებ: «Кому не дорога, не священна память... благородного и умного человека, усердного ревнителя просвещения, превосходного литератора и, бесспорно, ученейшего сына... Руси, каков был Евгений? Напрасно искали бы мы, между его и нашими современниками, другого русского человека, основательнее ученого и истиннее просвещенного. Евгений, действительно, принадлежал к числу первых ученых в Европе»<sup>25</sup>, «Один из величайших собирателей, которые когда-либо существовали»<sup>26</sup>, «Про Евгения справедливо говорили, что «нет науки, которая была бы ему чужда»<sup>27</sup>, «Это светлое и симпатическое имя», «знаменитый и неутомимый труженик нашей науки»<sup>28</sup>, ხოლო ე. შმურლოს სიტყვებით, «Труд не был для него делом внешним, посторонним, но был необходимым элементом его существования... Труд был и отдых, и успокоение, и счастье»<sup>29</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიერული ღვაწლი სათანადოდ იყო დაფასებული. ი. სრეზნევსკის ცნობით, „В 1805 году пр. Евгений выбран в члены Московского Университета, а в 1806 г. в члены Российской Академии»<sup>30</sup>, რასაც ადასტურებს თვითონ ე. ბოლხოვიტინოვის სიტყვები: «В прошлом декабре и Российская Академия прислала мне диплом на членство»,—წერდა იგი 1807 წლის 4 აპრილს<sup>31</sup>,

<sup>25</sup> Библиотека для чтения, СПб., 1838, т. 26, отд. V, гл. 37.

<sup>26</sup> М. П о г о д и н, Вологда... (მოგვეყავს შმურლოს მიხედვით, გვ. VI—VII).

<sup>27</sup> Русские портреты..., IV, вып. I, СПб., 1908, 71.

<sup>28</sup> Н. С е в е р н ы й, Несколько слов о митрополите Евгение и его письмах, Русский архив, 1870, М., 1871, სვ. 871—880.

<sup>29</sup> ЖМНП, 1888, июнь; А. Б ы ч к о в, О словарях... Евгения, СПб, 1868.

<sup>30</sup> И. И. С р е з н е в с к и й, Воспоминание о научной деятельности Евгения, კრებულში: Сборник статей, читанных в отделении русского языка и словесности Императорской Академии наук, т. 5, вып. I, СПб., 1868, გვ. 50.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 51, შდრ. Материалы для биографии митрополита Евгения, СПб., 1871, გვ. VII.



ოღონდ, დამახასიათებელია გოროდჩანინოვისადმი მიწერილ წერილში ამის გამო გამოთქმული ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულება: «...но сим титлом я не льщусь, потому что в Академии сей всякая всячина набита в членство, даже и такие, которые от роду никогда ничего не писывали Русскаго»<sup>32</sup>. ამას გარდა, ე. ბოლხოვიტინოვი არჩეული ყოფილა მოსკოვის მედიკო-ქირურგიული აკადემიისა (1809 წ.) და ყაზანის სიტყვიერების საზოგადოების საპატიო წევრად<sup>33</sup>.

---

<sup>32</sup> И. И. Срезневский, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

<sup>33</sup> იქვე.



სურ. 1. ე. ბოლხოვიტინოვის პორტრეტი  
(იხ. Русские портреты..., СПб, 1908, III, 2).



სურ. 2. ვარლამ ერისთავის პორტრეტი (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი)



# РУССКІЙ АРХИВЪ

ИЗДАВАЕМЫЙ

ПРИ

ЧЕРТКОВСКОЙ БИБЛИОТЕКѢ

*Петромъ Бартепевымъ.*

ГОДЪ ОСЬМОЙ

(1870).




МОСКВА.

Типографія А. И. Мамонтова и К<sup>о</sup>, Большая Дмитровка, № 7.

1871.

სურ. 3. „Русский архив“ -ი, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ე. ბოლხოვიტინოვის წერილები ვ. მაკედონეცისადმი



სურ. 4. ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის პორტრეტი (ГИМ-ის კოლექტიიდან)

## ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის დაწერის ისტორიული პირობები

ე. ბოლხოვიტინოვის პეტერბურგში ჩასვლა დაემთხვა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) რუსეთთან შეერთებას. ამის შესახებ პირველი მანიფესტი პაულე I-მა ჯერ კიდევ 1801 წლის 18 იანვარს გამოაცხადა, ხოლო ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემული ახალი მანიფესტით უკვე საბოლოოდ განახორციელა ეს ისტორიული აქტი. ე. ბოლხოვიტინოვის მეცნიერული ინტერესების შემობრუნებაც სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა.

ე. შმუტროს სწორი შენიშვნით, „новоприобретенною странюю в петербургском обществе, конечно, интересовались; Евгения же, видимо, занимала мысль написать книгу о малоизвестном народе»<sup>31</sup>, რის შესახებაც ცოტა უფრო ვრცლად მოგვიხდება შეჩერება.

\* \* \*

XIX ს. 60-იანი წლების მიწურულს ვორონეჟის ბაზარზე გიმნაზიის მასწავლებელმა ზავადსკიმ შემთხვევით იპოვა და დალუპვას გადაარჩინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც აღმოჩნდა ე. ბოლხოვიტინოვის მიერ თავისი ვორონეჟელი მეგობრის ვასილ ეგნატეს ძე მაკედონცისადმი გაგზავნილი წერილები (სულ 89 წერილი). აღნიშ-

<sup>31</sup> ЖМНП, 1888, № 5, გვ. 164.



ნული დოკუმენტები 1871 წელს გამოსცა ნ. სევერნიმ ერთ-ერთ ორგანო «Русский архив»-ში<sup>35</sup>. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა 1802 წლის 13 მაისს პეტერბურგიდან გაგზავნილი ბარათი (№33), რომელშიც ე. ბოლხოვიტინოვი წერს ვ. მაკედონეტს:

«Дома я по пустынноически живу, никуда вон ногою. Про-  
вожу только иногда вечера с Грузинским преосвящ.  
Варлаамом—и знаете ли, что из этих вечерних у меня  
с ним времяпрепровождений вышло? Он мне все рассказывал  
да рассказывал про Грузию, а я слушал да слушал, да на ус  
себе мотал, а там як присев писать, аж смотрю, уже целая кни-  
га о Грузии маранья скопилась. Прочел, владыке Варла-  
аму—он аж изумился, и ну пополнять, поправ-  
лять, с находящимися здесь Грузинскими князь-  
ями советываться и спрашиваться. Попросил  
я помощи и от Бантыша-Каменского. Он все  
любопытное из своего гнезда мне сообщил.  
Вот и книга. Показал митрополиту. Одобрено, велено напеча-  
тать и теперь уже под тисками. Два листа уже отпечатаны.

Мы с Грузинским сами хохочем, что из шуток вышла книга.  
Название ее есть следующее: Историческ[ое] изображение Гру-  
зии в политическом, церковном и учебном ее отношении (!).  
Просим не погневаться: вы скоро ее читать будете. Там увиди-  
те и по грузински Отче Наш и несколько стихов. И все  
это писал человек ни слова по грузински не

<sup>35</sup> Выдержки из дружеских писем Евгения (впоследствии митрополита Киевского) к Воронежскому приятелю его Василию Игнатьевичу Македонцу, «Русский архив издаваемый при Чертковской библиотеке Петром Бартечевым, год осьмой, (1870)», Москва, 1871, сг. 769—870 (სურ. 3) ამდენად არ არსებობს «Русский архив»-ის 1870 წლის 4—5 ნომრები: შდრ. В. III ადური, Что знала о Руставели Россия пушкинского времени? კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 419, სქ. 1; ლ. ანდლელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110, სქ. 8. წყაროს არაზუსტი დამოწმება მომდინარეობს ე. ვეიდენბაუმიდან, შდრ. თ. მაკეავერიანი, ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. III, ტფ., 1937; შდრ. საჯ. ბიბლ.

R  $\frac{141\ 833}{309}$  —ე. ვეიდენბაუმის ნაქონი ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი, მინაწერი ყდის უკანა ფურცელზე.



знающий и от роду Грузии не издавший» (იქვე, სვეტი 814-815. ხაზი ყველგან ჩვენია. გ. შ).

ორი თვის შემდეგ, 1802 წლის 15 ივლისს გაგზავნილი ბარათიდან (№ 35) ირკვევა, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი უკვე დაბეჭდილია და ერთ ეგზემპლარს იგი უგზავნის კიდევ ვ. მაკედონეცს: „Посылаю к вам экземпляр моей Грузии. Прилагаю при том еще и Грузинскую грамматику, сочиненную преосв. Варлаамом... Однакож я в ней ни-мало не участвовал. Авось и вы по грузински вычитесь...“

Из посвящения вы увидите, что автору не захотелось выставлять себя. Мое дело было всегда работать для общей пользы и не ожидать наград. Да и действительно никогда оных не получал. И сия книга отправлена митрополитом Государю; но ответу еще нету» (იქვე, სვეტი 817)<sup>36</sup>.

მართლაც, წიგნი გამოცემულია აწონიმურად («автору не захотелось выставлять себя») და ჰქვია: «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии. Сочинено в Александро-Невской Академии, В Санктпетербурге с дозволения указаго, печатано в типографии Шнора, 1802 года» (მიძღვნილია ალექსანდრე I-დმი) (იხ. სურ. 5).

სპეციალურ ლიტერატურაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ე. ბოლხოვიტინოვმა „... себя не назвал, судя по всему—потому, что не считал книгу своим собственным творением“, ან კიდევ: «Таким образом, «Историческое изображение Грузии» явилось, как бы результатом коллективного труда»,—წერს ვ. შადური<sup>37</sup>. ამასვე ამბობს ლ. ანდლულაძე: „შრომის კოლექტიური ხასიათის გამო მოერიდა მისი დამწერი ავტორად წოდებულებო“<sup>38</sup> და მ. გორგიძეც: „Книга эта является продуктом коллективной работы Болховитинова с петербургскими грузинами, а потому, не считая себя полным автором, он издал ее без подписи“<sup>39</sup>.

<sup>36</sup> შდრ. ე. შმურლოს სიტყვებს: «В половине июля 1802 г. издание было окончено» (Е. Шмурло, Библиографический список литературных трудов Киевского митрополита Евгения Болховитинова, СПб, 1888, № 73, გვ. 52.).

<sup>37</sup> В. Шадури, დასახ. ნაშრ., გვ. 418, 419.

<sup>38</sup> ლ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

<sup>39</sup> М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тб. 1976, გვ. 119.





ИСТОРИЧЕСКОЕ ИЗОБРАЖЕНИЕ  
Г Р У З И И

ВЪ ПОЛИТИЧЕСКОМЪ, ЦЕРКОВНОМЪ И УЧЕВНОМЪ  
ЕЯ СОСТОЯНІИ.

---

Сочинено въ Александро-Невской  
Академіи.

---

ВЪ САНКТПЕТЕРБУРГЪ  
съ дозволенія Указнаго, печашано въ  
шинографіи Шнора, 1802 года.

სურ. 5. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის თავფურცელი.

### თ ა ვ ი III

## ვინ იყვნენ ე. ბოლხოვიტინოვის ქართველი კონსულტანტები?

მაინც ვინ არის ის რამდენიმე კაცი, რომელთა „კოლექტიური შრომის“ საფუძველზე შექმნილა ანონიმურად გამოცემული ეს თხზულება?

წიგნის შესავალი («Читателям») მთავრდება ზოგადი ხასიათის შენიშვნით: «Оно почерпнуто не из иностранных Европейских путешественников, но из оригинальных источников, большей частью сообщенных [от пребывающих ныне в Санкт-Петербурге Грузинских Посланников и Депутатов].»

უფრო კონკრეტულ მითითებას თავისი კონსულტანტების ვინაობაზე ე. ბოლხოვიტინოვი გვთავაზობს ვ. მაკედონეცისადმი 1802 წლის 13 მაისს გაგზავნილ წერილში (№ 33), რომელიც უკვე ზემოთ მოვიყვანეთ. აქ პირდაპირ არის დასახელებული იმ ხანად პეტერბურგში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი ვარლამი (ერისთავი) (1762—1830)<sup>40</sup>, მომავალი პირველი ეგზარქოსი საქართველოსი (1814—1817 წწ.) (სურ. 2) და იმ დროისათვის ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკი (1737-1814), საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის არქივის გამგე (სურ. 4); ამას გარდა, ვარლამ ერისთავის მონათხრობის შესავსებად თუ შესასწორებლად («и ну пополнять, поправлять... советываются и спрашиваться») ე. ბოლხოვიტინოვს თურმე

<sup>40</sup> ვარლამის ბიოგრაფიულ თარიღებზე შდრ. თ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 220; ს. ლეკიშვილი, ორი ქართული მელოდიის უცნობი სანოტო ჩანაწერი, „დროშა“, № 1, გვ. 18.



მიუმართავს «с находящимися здесь Грузинскими князьями»<sup>41</sup> რამ ვინ არიან ისინი სახელდობრ? ამის შესახებ ე. ბოლხოვიტინოვი აქაც დუმს.

ე. ბოლხოვიტინოვის აღნიშნული წერილის პირველმა გამომცემელმა ნ. სევერნიმ ჩვენთვის საინტერესო ამ ცნობას სქოლიოში პირველმა გაუკეთა ასეთი შენიშვნა: «В Петербурге жили в это время между прочим Грузинские царевици Бограт (!), Иоани и Михаил см. П. С. З. № 20, 386»<sup>41</sup> (ხაზი ჩვენია. გ. შ.) (იხ. სურ. 6.).

13 Маia 1802 г. С. П. Бургъ.

дома

я по пустынноически живу — никуда вонъ ногою. Провожу только иногда вечера съ Грузинскимъ преосвищ. Варлаамомъ<sup>1)</sup> — и знаете ли, что изъ этихъ вечернихъ у меня съ нимъ времяпрепровожденій вышло? Онъ мнѣ все рассказывалъ да рассказывалъ про Грузію, а я слушалъ да слушалъ, да на усъ себѣ моталъ, а тамъ якъ присѣвъ писать, ажъ смотрю, уже цѣлая книга о Грузіи маражня скопилась. Прочелъ владыкѣ Варлааму — онъ ажъ изумился, и ну пополнять, поправлять, съ находящимися здѣсь Грузинскими князьями<sup>2)</sup> совѣтываться и спрашиваться. Попросилъ я помощи и отъ Баятыша-Каменскаго. Онъ все любопытное изъ своего гнѣзда мнѣ сообщилъ. Вотъ и книга.

<sup>1)</sup> Въ Петербургѣ жили въ это время между прочимъ Грузинскіе царевици Богратъ, Иоаниъ и Михаилъ, см. П. С. З. № 20, 386.

სურ. 6. ნ. სევერნის შენიშვნა ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა ვინაობის შესახებ. (1871 წ.)

<sup>41</sup> Русский архив (1870), М., 1871, т. 814, кн. 2; ი. გროტის ცნობით, «...подлинники писем Евгения хранятся в Чертковской библиотеке»



сается до упоминаемыхъ въ текстѣ „грузинскихъ князей“, то это были Багратъ, Иоаннъ и Михаилъ, выжидавшіе себѣ пенсіи отъ русскаго правительства. П. С. Зак., XXVI, стр. 231, № 20386, 26 авг. 1802 г.

სურ. 7. ე. შმურლოს შენიშვნა ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა ვინაობის შესახებ (1888 წ.)

ბ. სევერნის მიერ 1871 წელს გამოთქმული ეს სასახვათაშორისო («...между прочим...») შენიშვნა 1888 წელს უკრიტიკოდ გადაიღო თავის შრომაში ჯერ ე. შმურლომ: «Что же касается до упоминаемых в тексте «Грузинских князей», то это было Баграт, Ио-

составлено было Е. весьма цѣнное «Историческое изображение Грузии» (СПб., 1802)—результатъ бесѣды съ грузинскимъ епископомъ Варлаамомъ, грузинскими князьями Баграрой, Иоанномъ и Михаиломъ, а также изслѣдованія архивнаго матеріала.

სურ. 8. ვ. ბოციანოვსკის შენიშვნა ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა ვინაობის შესახებ (1893 წ.).

ანი и Михаил, выжидавшие себе пенсии от русскаго правительства. П. С. Зак., XXVII, стр. 231, № 20386, 26 авг., 1802 г.»<sup>42</sup> (იხ. სურ. 7), ხოლო 1893 წელს, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, უყოყმანოდ გაიმეორა ვ. ბოციანოვსკიმ: «...составлено было Е [Евгением] весьма ценное «Историческое изображение Грузии (СПб., 1802)»—результатъ бесѣд с грузинскимъ епископомъ Варлаамомъ, грузинскими князьями Баграрой (!), Иоанномъ и Михайломъ, а также изслѣдованія архивнаго матеріала»<sup>43</sup>. მ ა შ ა ს ა დ -

(Я. Г р о т, Несколько заметок на письма митр. Евгения к Македонцу., Русский архив, 1870, сентябрь 1769, №58. 2).

<sup>42</sup> ЖМНП, 1888, № 5, გვ. 165, სქ. I; Митрополит Евгений..., СПб, 1888, გვ. 341, სქ. I.

<sup>43</sup> Энциклопедический словарь Брокгауза и Эфрона, СПб, 1893, ტ. 21, გვ. 411; ერთი იმდროინდელი რუსული ენციკლოპედია შედარებით უფრო ფართოხელად ეხება ამ საკითხს: «В минуты досуга из разговоров с грузинскимъ архiereемъ Е[вгений] набросалъ целую книгу: «Историческое изображение Грузии...» (იხ. Большая энциклопедия, под ред. Е. Н. Ю ж а к о в а, СПб, 1896, ტ. 9, გვ. 85).

ამე, ნ. სევერნის მიერ ე. ბოლხოვიტინოვი წერილისთვის სქოლიოში გაკეთებული შენიშვნა ე. შმურლომ და ვ. ბოციანოვსკიმ დედნისეულ ცნობად მიაწოდეს მკითხველს. ამის შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ ქართულში, დიდხანს [დამკვიდრდა აზრი] თითქოს ე. ბოლხოვიტინოვის კონსულტანტები ყოფილან ქართველი ბატონიშვილები — ბაგრატი, იოანე და მიხეილ ბაგრატიონები<sup>44</sup>. მაგრამ ნამდვილად ასეა ეს?

\* \* \*

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თვითონ ე. ბოლხოვიტინოვი არსად არ ახსენებს ბაგრატ, იოანე და მიხეილ ბაგრატიონებს თავის კონსულტანტებად (როგორც ახლა ვაირკვა, ეს ცნობა პირველად გავრცელდა ნ. სევერნიმ, ხოლო შემდეგ ე. შმურლომ და ვ. ბოციანოვსკიმ). იგი ერთ შემთხვევაში წერს, მეხმარებოდნენო „Грузинские Посланники и Депутаты“ (იხ. წიგნის შესავალი), ხოლო მეორეგან — «Грузинские князья»-ო (მაკედონეცისადმი [გავზავნილ წერილში])<sup>45</sup>.

ბაგრატი იოანე და მიხეილ ბაგრატიონები არც Посланник-ები ყოფილან, არც Депутат-ები და არც, მით უმეტეს, Князь-ები, ისი-

<sup>44</sup> შდრ. თ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 216; ი. ე ნ ა კ ო ლ ო ვ ი, ვეფხის-ტყაოსნის პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე „მნათობი“, 1938, № 1, გვ. 197 შმდ. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 292, შნშ. 14; მ ი ს ი ვ ე, ქართული ევრსიდიკაცია და რუსთაველის ლექსი, „ლიტ. საქართველო“, 1972, № 15; მ ი ს ი ვ ე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 163—164; ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 95; გ. მ ი ქ ა ძ ე, მასალები..., გვ. 145; მ ი ს ი ვ ე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია, შენიშვნები, გვ. 217; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 5.

<sup>45</sup> ამაზე დაყრდნობით წერს ნ. ფ ო რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი: «В частной переписке с одним из корреспондентов Евг. Болховитинов прямо говорил о том, что существенную помощь в работе над книгой ему оказали знакомые грузины из числа «депутатов и посланников» (Н. П о р а к и ш в и л и, Первый русский критик Руставели, «Молод. Грузии», 1. X. 1966), მაგრამ ვინ იყვნენ ეს «знакомые грузины из числа «депутатов и посланников», ამის გარკვევა მას არ უცლია.



ნი იყვნენ პეტერბურგში იძულებით გადასახლებული საქართველოს სამეფო ოჯახის წევრები, ბატონიშვილები ანუ Царевич-ები.

აღნიშნული საკითხის კვლევისას მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს თეიმურაზ ბაგრატიონის ერთ ცნობას. ბროსესადმი გაგზავნილ ბარათში 1832 წელს თეიმურაზი წერდა: „კვალად გეკითხათ ესეცა არხიმანდრიტისა ევგენიოსისა მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენებული პოემისათვის ქართულისა: გვარნი ანუ ზომათათვის ლექსთასა. მე ეგრე ვგონებ, არა ზედ-მიწევნით გამოძიებულ იყოს, ვინაჲდგან უფალმან ევგენოზ თვთ არა უწყოდა ქართული ენაჲ და ოსტატიცა მისი, რომელიცა ქართულისა ენისა პოემისა თვსებისა იყო მოძღვარი, მასწავლელი და მაჩვენებელი რომელთამე კანონთა მისა, მე ვგონებ და იქვნეულ ვარ, რომელ არა იყო იგი ზედ-მიწევნით მეცნიერ ქართულისა ენისა და წერილთა შინა გამოცდილი (ხაზი ჩვენია. გ. შ.) და ამისთვის ევგენიოზმან ვერა ეგრეთ გულის-ხმა ჰყო და აჩვენა წესი, ვითარცა არს გვარი ზომისა ქართულთა სტიხთა“ (ლენ. E-53)<sup>46</sup>.

წარმოუდგენელია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს არ სცოდნოდა თავისი ძმების, მეტადრე, იოანეს, მონაწილეობა ამ საქმეში (თუ ეს მართლა იყო სინამდვილეში!)<sup>47</sup>, და რომ სცოდნოდა, ასე მოეხსენებინა „უფალ ევგენოზის ქართულისა ენისა და წერილთა მოძღვარი, მასწავლელი და მაჩვენებელი“, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ იოანე ბაგრატიონს თვითონ მოეპოვება შრომა ქართული ლექსთწყობის საკითხებზე „პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის“. რომელიც შესულია მის „კალმასობაში“ (დაიწერა პეტერბურგში 1813—

<sup>46</sup> გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე, „ლიტ. ძიებანი“, IV, თბ., 1948, გვ. 235; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 135. შდრ. გ. შერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 92.

<sup>47</sup> საგულისხმოა ამ მხრივ გ. იმედაშვილის შენიშვნა: „ივ. ენიკოლოფოვის აზრით, ქართველი, რომელსაც დახმარება გაუწევია ბოლხოვიტინოვისათვის, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყო კალმასობის ავტორი იოანე ბატონიშვილი (იხ. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე, ყურნ. „მნათობი“, 1938, № 1, გვ. 197—200). მაგრამ ასე მიხედვრის საფუძველი არ არსებობს, რამდენადაც შმუტრომ დიდი ხანია გამოარკვია, რომ ეს პიროვნება იყო ვარლამი“ (რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 5).

1828 წლებში)<sup>48</sup> და ძნელი დასაჯერებელია, რომ „კალმასობის“ ავტორზე თეიმურაზს ეთქვა, „არა იყო იგი ზედმიწევნით მეცნიერ ქართულისა ენისა და წერილთა შინა გამოცდილიო“.

ასე რომ, გამორიცხულია ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ნახსენები «Грузинские Посланники и Депутаты» ან კიდევ, «Грузинские князья» მაინცდამაინც ბაგრატი, იოანე და მიხეილ ბაგრატიონები იყვნენ. აქ შეიძლებოდა ისიც დაგვემატებინა, რომ მიხეილ ბაგრატიონი გიორგი XII-ის უფროსი შვილი იყო მეორე ქორწინებიდან<sup>49</sup> (ქეთევან ანდრონიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ გიორგი XII მარიამ ციციშვილზე 1782 წელს დაქორწინდა!), ხოლო 1801 წელს რუსეთის გამგზავრებული 17 წლის ჭაბუკი მიხეილ ბატონიშვილი იმდენად ღრმად ჩახედული ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ქართული კულტურის საკითხებში, რომ პეტერბურგელი რუსი სწავლულისთვის უკვე კონსულტაციების გაწევა შეიძლებოდა.

ამ გაუგებრობას, როგორც ვთქვით, სათავე დაუდო ნ. სევერნის მიერ ერთხელ შემთხვევით გამოთქმულმა შენიშვნამ (Русский архив (1870), М., 1871, სვ. 814, შნშ). შემთხვევით გამოთქმულმაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ამ დროს ბაგრატი, იოანე და მიხეილ ბატონიშვილებთან ერთად პეტერბურგში უკვე გადასახლებულია მირიან ბატონიშვილიც და ნ. სევერნის მაშინ ისიც უნდა ჩაეთვალა ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა რიცხვში. ცნობილია, რომ პავლე I-ის მანიფესტის გამოცხადებასა და მის მოთხოვნებთან დაკავშირებით, 1801 წლის 9 მარტს პეტერბურგს გაემგზავრნენ იოანე, ბაგრატი და მიხეილ ბატონიშვილები, ხოლო 15 მარტს მირიან ბატონიშვილიც<sup>50</sup>.

<sup>48</sup> კალმასობა ტ. I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა და ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რ ე დ., თბ., 1936, გვ. 272—301; ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. შ ი ქ ა ძ ი ს რ ე დ., თბ., 1954, გვ. 28—57; მის შესახებ იხ. ა. გ ა შ ე რ ე ლ ი ა, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 54—58.

<sup>49</sup> Акты, I, 1866, გვ. 200; პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 13, 184; პლ. იოსელიანისვე ცნობით, მიხეილ ბაგრატიონი გარდაცვლილა 1861 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში (იქვე).

<sup>50</sup> ამის შესახებ იხ. გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა, კრებულში: „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“ (შემდგენელი ვანო შადური), თბ., 1962, გვ. 159 შმდ.; ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ. 92; ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ონიკაშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე, საისტორიო მოამბე, 1972, გვ. 183 შმდ. (ცალკე ამონაბეჭდი); გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972, გვ. 16 და სხვ.



ლ. ანდლულაძე უფრო აფართოებს ე. ბოლხოვიტინოვის თველ კონსულტანტთა წრეს: „...ბოლხოვიტინოვი დაუკავშირდა იქ მცხოვრებ ქართველ ელჩებსა და ბატონიშვილებს. ასეთებად უნდა ვიგულისხმოთ მირიან ბატონიშვილი, გარსევან ჭავჭავაძე, იოანე, ბაგრატ, დავით და მიხეილ ბატონიშვილები“<sup>51</sup>.

არაფერი გვექნებოდა ამ მოსაზრების საწინააღმდეგო, მაგრამ სხვას რომ თავი დავანებოთ, ის კი მაინც არის დანამდვილებით ცნობილი, რომ დავით ბატონიშვილი, ვახტანგ ერეკლეს ძესთან ერთად, პ. ციციანოვმა თბილისიდან პეტერბურგს 1803 წლის 19 თებერვალს გაგზავნა<sup>52</sup>. ამ დროს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი თითქმის ერთი წლის გამოსული იყო უკვე სტამბიდან (დაიბეჭდა 1802 წლის მაის-ივლისში), ხოლო დავით ბატონიშვილის პეტერბურგში პირველად (1797—1798 წწ.) ყოფნის პერიოდში<sup>53</sup> ე. ბოლხოვიტინოვი ჯერ კიდევ არ იყო ვორონეჟიდან იქ ჩასული (ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვით, პეტერბურგს 1800 წლის მარტში ჩამოვიდა) და, მაშასადამე, იგი ვერც დავით ბატონიშვილს ვერ „დაუკავშირდებოდა“. რაც შეეხება გარსევან ჭავჭავაძეს, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1967 წელს გამოქვეყნდა ნ. მახათაძის წიგნი „ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, XVIII-XIX სს.“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 269 გვ.), რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არაფერია თქმული (შდრ. ქვეთავი: „კულტურულ-სალიტერატურო სარბიელზე“, გვ. 102 შმდ.). სამაგიეროდ, ამ ნაშრომის 1969 წელს გადამუშავებულ-შეესებულ ხელნაწერ ვარიანტში<sup>54</sup> (შდრ. ქვეთავი: „კულტურულ-სალიტერატურო ასპარეზზე“, გვ. 137 შმდ.) ავტორი უკვე საგანგებოდ ჩერდება და საყურადღებო მოსაზრებებსაც ვთავაზობს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნსა და მის ქართველ კონსულტანტებზე: «Историческое изображение Грузии...» მიუხედავად მისი ავტორის ქართული ენის სრული

<sup>51</sup> ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის რეგოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, „ქვ. ქართული მწერლობის საკითხები“, III, 1968, გვ. 110.

<sup>52</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972, გვ. 18; შდრ. ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, გვ. 95.

<sup>53</sup> ნ. მახათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

<sup>54</sup> ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII ს. და XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 1969 (418 გვ.). დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.



უცოდინრობისა, პირველი ნაშრომი იყო, რომელმაც რუს მკითხველს მოუთხრო საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ წიგნით რუსი მკითხველი პირველად გაეცნო უძველეს ქართულ გადმოცემებს, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, ქართულ საღვთისმსახურო და ლიტურგიკულ პრაქტიკას, საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს ჩვენში, ქართული ენისა და დამწერლობის საკითხებს, განათლების საკითხებს ძველ საქართველოში, ცნობებს ჩვენი საისტორიო მწერლობის შესახებ, ქართული ლექსთწყობის და მუსიკის საკითხებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამავე წიგნმა მიაწოდა რუს მკითხველს პირველი ცნობები შოთა რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის შესახებ.

გარდა იმ უდიდესი მნიშვნელობისა, რომელიც ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნს ჰქონდა იმ დროისათვის, იგი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ამ წიგნით შეიძლება დავიწყოთ საუბარი მე-19 ს-ის პეტერბურგელ ქართველთა პირველ კულტურულ-ლიტერატურულ ღონისძიებებზე. ამის საფუძველს იძლევა ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნის შესავალი, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები ამოღებულია არა სხვადასხვა ევროპელ მოგზაურთა თხზულებებიდან, არამედ ძირითადად გაგონილია „ამჟამად პეტერბურგში მყოფ წარმომადგენელთა და დეპუტატთაგან“. მეორე წყარო, რომელსაც ასახელებს ევგენი, ეს არის ცნობილი ქართველი იერარქი ვარლამ ერისთავი, რომელთანაც ერთად გატარებულ საღამოებს პირველთაგან მნიშვნელობას აძლევს ბოლხოვიტინოვი ამ წიგნის შექმნის საქმეში... ვინ იყვნენ პეტერბურგში მცხოვრები ის თავადები, რომელთაც იხსენიებს ევგ. ბოლხოვიტინოვი? ე. შმურლო, რომლის ყურადღებაც მიიპყრო ევგ. ბოლხოვიტინოვმა, როგორც სწავლულმა, ამ თავადებში ვარაუდობს პეტერბურგში მცხოვრებ იოანე, მიხეილ და ბაგრატ ბატონიშვილებს. ეს შეხედულება შემდეგში ერთგვარად დამკვირდა მეცნიერებაში. ჩვენი აზრით, ზემოდასახელებული ბატონიშვილები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ევგენის ინფორმატორები. ბოლხოვიტინოვის წიგნი გამოცემულია 1802 წ. ბატონიშვილები პეტერბურგში ჩავიდნენ მხოლოდ 1801 წ. თუ გავიხსენებთ, რომ მათი ჩასვლა პეტერბურგში დაემთხვა იმ არეულობის ხანას, როდესაც ისინი თვითონ ვერ გარკვეულიყვნენ რამდენი ხნით და რატომ იყვნენ პეტერბურგში, ხანას, რომელმაც მათ უეცრად აცნობა საქართველოს სამეფოს გაუქმების ამბავი. ვფიქრობთ, ძნელი წარმოსადგენია ასეთ ვითარებაში ევგენი ბოლხოვიტინოვ-



თან სასაუბრო დრო და განწყობილება ჰქონოდათ მათ. ესეც არ იყო ერთი წლის მანძილზე ყოველივე ამის გაგება, შესწავლა, გააზრება, დაწერა და დაბეჭდვა ევგ. ბოლხოვიტინოვის მიერ ტექნიკურად სრულიად წარმოუდგენელია.

ამ თავადებში უნდა იგულისხმებოდნენ ისინი, ვისაც წიგნის წინასიტყვაობაში ასახელებს ავტორი: «*пребывающих ныне в Санкт-Петербурге грузинских посланников и депутатов*». ამათ რიცხვში, ჩვენი აზრით, ქართველი ელჩები გარსევან ჭავჭავაძე, ელ. ფალავანდიშვილი და ახალგაზრდა გიორგი ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდნენ. მხოლოდ ხანგრძლივ ყოფნასა და კონტაქტს შეეძლო ხელი შეეწყო ამგვარი წიგნის შექმნაში იმ ადამიანისათვის, ვისაც საქართველო არასდროს არც ნანახი და არც გაგონილი არ ჰქონია. ერთი მხრივ, საქართველოს სამეფოს ელჩები, მეორე მხრივ, საქართველოს საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენელი პეტერბურგში ვარლამ ერისთავი, აი ისინი, რომლებთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ევგ. ბოლხოვიტინოვის ამ წიგნის შექმნა და, მაშასადამე, ის პირველი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც შემდეგ ასე აყვავდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“<sup>55</sup>.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა შორის გარსევან ჭავჭავაძის ყოფნის შესაძლებლობა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ადრე ლ. ანდლულაძეს ჰქონდა ნავარაუდევია, ხოლო გამორიცხა რა ქართველი ბატონიშვილები, ნ. მახათაძემ გარსევან ჭავჭავაძეს დაუმატა ელ. ფალავანდიშვილი და გ. ავალიშვილი, მაგრამ ე. ბოლხოვიტინოვი ქართველ Посланник-ებს გარდა ხომ Депутат-ებსაც ახსენებს. ბოლოს და ბოლოს, მაინც ვინ უნდა იყვნენ ისინი?

სულ უკანასკნელ ხანს გამოიცა მ. გორგიძის წიგნი «*Грузины в Петербурге*», რომელშიაც ავტორი იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არსებულ შეხედულებათა ორიგინალური გამთლიანების ცდას: «*Петербургские грузины оказывали большую помощь русским ученым, проявлявшим интерес к изучению Грузии и грузинской литературы. С историей и культурой грузинского народа более или менее подробно впервые познакомил русскую общест-*

<sup>55</sup> ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, დასახ. ხელნ. შრომა, გვ. 137—140 (ავტორს ამ საკითხის გარშემო დამოწმებული აქვს მხოლოდ პ. ბერკოვის, თ. მაკავარიანის, ე. შმურლოს შრომები, აგრეთვე, Русский архив, 1870, т. IV-V).



ვენოვანი იმის რუსი უცნობი-ისტორიკი ევგენი ბოლხოვითინოვი. ვ პრედისლოვი კ სვოი კნიგე «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии», იზანილი ვ პეტერბურგე ანონიმო ჩერეზ გოდი პოსლე პრისოედიინიე გრუზიი კ როსიი (1802 გ.), ბოლხოვითინოვი უძერკივავთ, ქო პრისოედიინიე იმ სვედენიე «პოქერპნუთი იზ ორიგინალნიხ ისოქნიქოვი, ბოლშეო ქაქთიე ოთ პრებივავოიქი ნინე ვ სანქტ-პეტერბურგე გრუზინსკიხ პოსლოვი დეპუტატოვი». ინფორმატორამი ბოლხოვითინოვი მოგლი ბიტი ვ თო ვრემე გრუზინსკიი პოლნოქოქნიი პოსოლ გარსევანი ქაქვაქადზე დე პერვიი სეკრეტარი პოსოლსტვო პისათელი გეოგრიი ავალისვილი, ა თაკჟე პრისოედიინიე გრუზიი კ როსიი ქარევიქი—იოანი, ბაგრათ დე მიქაილ დე ეპისქოპ ვარლაამ ერისთავი (ვპოსლედსვიი ექსარქ-მიტროპოლიტი გრუზიი), ქოთორიქ იმენუთ ონი პოსლამი დე დეპუტატამი, ფამილიი ნე უკაჟივავთ. ონი პოქნაქომილი ბოლხოვითინოვი ს ისოქრიეი გრუზიი, ს გრუზინსქო იჟოქოქი, ოქაჟილი ემუ პოქოქი ვ პერევაქოქი ობრავცოვი გრუზინსქოი პოეზიი დე პროზი ნა რუსსკიი იჟოქი. კნიგე ეთა იჟვლეთსეჟე პროდუქტი კოლქექტივნიი რავოთი ბოლხოვითინოვი ს პეტერბურგსკიმი გრუზინამი, ა პოქოქი, ნე სქივთაჟი სეჟე პოლნიი ავტორი, ონი იზდალ ეთ ბეჟ პოდპისი»<sup>56</sup>.

ზემოთ უქვე გექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები რუსეთში ჩავიდნენ არა «перед присоединением Грузии к России», არამედ სწორედ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ პავლე I-ის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ.

საკითხის ისტორიასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, მკვლევარებს მხედველობიდან გამორჩათ ამ ცნობის გამო ე. ბოლხოვითინოვის წიგნის გერმანულ თარგმანში 1804 წელს მთარგმნელის ფრ. შმიდტის მიერ ვაკეთებუი სპეციალური შენიშვნა: «Es war dies nämlich zu der Zeit, als eben Kaiser Alexander der Erste den Thron Rußlands bestiegen hatte. Kurz darauf, als der erhabene Kaiser zur Krönung nach Moskwa abreisete, erhielten auch die Grusinischen Gesandten den 12/24 September 1801 das Kaiserliche Manifest in Moskwa, durch welches die Bewohner Georgiens als Russische Unterthanen bestätigt wurden.»

Anmerk. d. Uebers.»<sup>57</sup>.

<sup>56</sup> М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тб., 1976, стр. 118—119.

<sup>57</sup> Georgien oder historisches Gemälde von Grusien..., Riga und Leipzig.



როგორც ვხედავთ, ფრ. შმიდტი იძლევა ე. ბოლხოვიტინოვის ქართველ კონსულტანტთა ვინაობის პირველი სწორი გაშიფვრის ცდას, მაგრამ სახელდებით მითითებას მათზე არც ის გვაწვდის.

ამ კითხვის პირდაპირ პასუხს ჩვენ ვპოულობთ პლ. იოსელიანის „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“, სადაც საქართველოს (ქართლ-კახეთის) რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცხადებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მანიფესტისა ამის გამოცემისა დროსა, დაესწრნენ მოსკოვსა დეესპანნი, მეფის გიორგისაგანვე გაგზავნილნი გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი. მუნვე იყვნენ 12 დეკუტატად ქართველთაგან მისრულნი თავადნი და აზნაურნი გიორგი თუმანიშვილი (ესე იყო შვილი ეგნატო თუმანიშვილისა, მოლექსე და მოყვარე ქართველთა მწერლობისა. გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკად 1837 წელსა), გიორგი ერისთვიშვილი (გიორგი იესეს ძე ერისთოვი. ამან შეირთო ცოლად მეფის გიორგის ქალი გაიანე. მექონი ლენერალ-ოტინფანტერისა ჩინისა და ლურჯისა წმინდის ანდრიასი ლენტისა. გარდაიცვალა 1863 წელსა), გლახა ვაჩნაძე, ოთარ ქობულიშვილი, აბესალომ ბებუთოვი, გაბრიელ რატიშვილი, რომელიცა ახლდა იოანე მეფის ძეს, იაია ავალიშვილი, ძმა გიორგი ავალიშვილისა, იოანე მალალოვი, პავლე წინამძღვრიშვილი, დავით ზანდუკელი, გრიგორი ოქრომჭედლიშვილი, ნიკოლოზ ონიკოვი.

ამათგან ორთა გიორგი ავალიშვილმან და ელიაზარ ფალავანდიშვილმან იმპერატორისა ბრძანებითა წარმოიღეს საქართველოდ მანიფესტი ესე, რათა მიართონ მემკვიდრესა დავითს I საცნობელად ქართველთა“<sup>58</sup>.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი პირდაპირ მიუთითებს, ე. ბოლხოვიტინოვის გამოთქმა რომ ვიხმართ, იმ ქართველ Посланникებსა და Депутат-ებზე, ანუ წარჩინებულ Грузинские князья-ზე, რომლებიც წარგზავნილნი ყოფილან რუსეთის იმპერატორის კარზე საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადებაზე დასასწრებლად.

ამ ცნობას აზუსტებს და ავსებს „აქტებში“ გამოქვეყნებული ორი დოკუმენტი, რომელთა მიხედვით ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის („... Дан в престольном граде Москве, сентяб-

<sup>58</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელის გამოცემა, ტფ., 1936, გვ. 240. იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 92, 93, სქ. 21; 93—95, 192—193, 222, 230—231, 263.



პრია 12-го дня 1801 года», «მეცა საყდროსანსა ქალაქსა მოსკოვის სეკდემბრის იბ დღესა ჩყა წელსა») <sup>59</sup> გამოცხადებას დასწრებიან გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანიშვილი, როგორც Уполномоченные, ხოლო თავადები ივანე (იაია) ავალიშვილი, გიორგი ერისთავი (ერისთვიშვილი), გიორგი თუმანიშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი, ოთარ ქობულიშვილი, აბესალომ ბებუთოვი, ივანე მაღალაშვილი, ლუარსაბ სუმბათაშვილი და აზნაური პავლე წინამძღვრიშვილი კი—როგორც Депутаты <sup>60</sup>. ამათ გარდა, ქართველი ბატონიშვილების ამაღაში ყოფილან გიორგი ციციანოვი (ციციშვილი), ზაქარია ანდრონიკაშვილი, ივანე ქობულიშვილი, გაბრიელ რატიშვილი, იოსებ ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ ონიკაშვილი (ონიკოვი) და კიდევ რამდენიმე სხვა პირი <sup>61</sup>. ზოგიერთმა მათგანმა, კერძოდ გ. რატიშვილმა და ნ. ონიკაშვილმა, ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებიც შემოგვინახა.

გაბრიელ რატიშვილი პეტერბურგს პავლე I-ის მიერ 1801 წლის 7 მარტს გაწვეული იოანე ბატონიშვილის ამაღის შესახებ წერს: „მაშინ თანა მყოლნი მეფის ძის იოანესნი ესენი ვიყვენით: მდივანი და არტილერიისა პოლკოვნიკი იოანე ქობულოვი, ზაალის შვილი ზაზა ენდრონიკოვი, ნიკოლოზ ონიკოვი და მე გაბრიელ რატიევი, მეფის ძისა ატუტენტი, ოთხის ჩვენისა მონითა და სხვანიც ხუთნი მსახურნი მეფის ძისანი“ <sup>62</sup>. ამასვე იმეორებს „მდივანი მემკვიდრისა“ ნ. ონიკაშვილი <sup>63</sup>, ოღონდ ნ. ონიკაშვილი პირადად არ დასწრებია 1801 წლის სექტემბერში მოსკოვში აღექსანდრე I-ის იმპერატორად კურთხევისა და მანიფესტის გამოცხადების ცერემონიალს, რადგან, გ. რატიშვილის ცნობით, „ბაგრატ მეფის ძე მცირედრე შეუძლებლობდა და მიზეზისა ამისთვის დაშთა მუნ პეტერბუხსა შინა და მასთანა სარდალი გიორგი, ნიკოლოზ ონიკოვი, მღვდელი ზაქარია, თავისი მოყვარე იოსებ ჩოლოყოვი, ორი

<sup>59</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 239.

<sup>60</sup> Акты, I, 1866, გვ. 760.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 763.

<sup>62</sup> გაბრიელ რატიშვილი, მცირედბ რაიმე მოთხრობა როსიისა, კრებ. „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“ (შემდგენელი ვანო შადური), თბ., 1962, გვ. 160.

<sup>63</sup> ნ. ონიკაშვილი, აღწერა მოსკოვისა, პეტერბურდისა და მას შინა მყოფთა ხილვად საუცხოოთა..., ლ. მეფარიშვილის გამოცემა, საისტორიო მოამბე, 1972 (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 193.

აქიმი და სხვანი ათოთხმეტი მსახურნი დაშთენ მუნ<sup>64</sup>. სხვათა შორის, ნ. ონიკაშვილის თხზულების გამომცემელი ლ. მეფარიშვილი ამტკიცებს, რომ თხზულება მთავრდება ალექსანდრე I კურთხევის ცერემონიალის (1801 წ. 15 სექტემბერი) აღწერით<sup>65</sup>, რომ „ვრცლადაა წარმოდგენილი 1801 წლის 15 სექტემბრის სადღესასწაულო ზეიმი პეტერბურგში და კურთხევის შემდეგ გამართული საღამოები. პირველ საღამოს ბატონიშვილები მიწვეული ყოფილან „მასკარადზე“ მეფის სასახლეში; შემდეგ მიუხატიყებიან თეატრში, სადაც მათ უნახავთ „უცხოდ ქმნილი“ ბალეტი, რომელიც მეფის კურთხევის აღსანიშნავად ყოფილა დადგმული. ვფიქრობთ, ალექსანდრე I-ის კურთხევის დღის ლიტერატურული აღწერა ქართულად მხოლოდ ეს ერთია შემონახული“<sup>66</sup>. აქ, სამწუხაროდ, მთელ რიგ გაუგებრობებთან გვაქვს საქმე: ჯერ ერთი, ალექსანდრე I-ის იმპერატორად კურთხევა მოხდა არა პეტერბურგში, არამედ, როგორც ეს წესად იყო მიღებული, მოსკოვში. მეორეც, ნ. ონიკაშვილი, გ. რატიშვილის მოწმობით, არ დასწრებია ამ ამბავს და, ბუნებრივია, ვერც მის აღწერას მოგვცემდა. არც ისაა სწორი, თითქოს ალექსანდრე I-ის კურთხევის დღის ლიტერატურული აღწერა ქართულად მხოლოდ ეს ერთია შემონახული. მკვლევარი, ეტყობა, არ იცნობს გ. რატიშვილის „მცირედ რაიმე მოთხრობას“, სადაც სწორედ მოსკოვში გამართული ალექსანდრე I-ის კურთხევის ცერემონიალია აღწერილი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ მირიან, იოანე და მიხეილ ბატონიშვილებს. აგრეთვე გაბრიელ რატიშვილს, იოანე ქობულოვს, ზაზა ანდრონიკაშვილს, გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილს, ელიაზარ ფალავანდიშვილს, ვარლამ ერისთავს და სხვებს<sup>67</sup>. ნ. ონიკაშვილი კი, სინამდვილეში, მოგვითხრობს არა ალექსანდრე I-ის კურთხევის ამბავს, არამედ „მცირედრე შეუძლებლობის“ გამო პეტერბურგში დარჩენილი მხოლოდ ბაგრატ ბატონიშვილის (და არა „ბატონიშვილების“) და მის თანმხლებ პირთა მონაწილეობაზე ამასთან დაკავშირებით აქ მოწყობილ სადღესასწაულო საღამოებში: „შემდგომად ამა ყოველთასა იმისის იმპერატორების დიდებულებამ ალექსანდრე პავლოვიჩმან მიიღო რა კურთხევაი გვირგვინისა და აღვიდა საიმპერატოროსა საყდარზე და სექტემბრის

<sup>64</sup> გ. რატიშვილი, დასახ. თხზულება, გვ. 245 (ხაზი ჩვენია—გ. შ.).  
<sup>65</sup> საისტორიო მოამბე, 1972, გვ. 185.  
<sup>66</sup> იქვე, გვ. 191 (ხაზი ჩვენია—გ. შ.).  
<sup>67</sup> გ. რატიშვილი, დასახ. თხზულება, გვ. 245—267.



თხუთმეტსა, დღესა კვირიაკესა და შემდგომად ამა კურთხევისა  
 გაიხსნა ღამე შესაქცევი ადგილები: თეატრი, მასკარეთი (მასკარა-  
 დი) და სხვანი. პირველსა ღამესა მიგვიწვიეს მასკარეთში, რომე-  
 ლიცა იყო სასახლესა შინა ხელმწიფისასა“, „...მივიდა ბატონი-  
 შვილს ბ ა გ რ ა ტ ს უ თხრა“, „...მისცეს თავისი ბეჭედი ბ ა გ -  
 რ ა ტ ს ა“<sup>68</sup>. ასე იყო თუ ისე, ამ დროისთვის მოსკოვსა და პეტერ-  
 ბურგში ქართველი ელჩებისა და დეპუტატების ყოფნა დადასტუ-  
 რებული ფაქტია.

მაშასადამე, ჩვენ ახლა უკვე ზუსტად ვიცით ე. ბოლხოვიტინო-  
 ვის მიერ მოხსენიებული ქართველი Посланник-ებისა და Депутат-  
 ების, იგივე, Грузинские князья-ს ვინაობა, რომელთა შორის ბევ-  
 რი ძველ ქართულ მწერლობაში საკმაოდ კარგად ცნობილი პიროვნე-  
 ბაა, მაგალითად, გიორგი ავალიშვილი, გიორგი თუ-  
 მანიშვილი, გაბრიელ რატიშვილი, ნიკოლოზ  
 ონიკოვი<sup>69</sup> და ამდენად, სრულიად ბუნებრივი ხდება ძველი ქა-  
 თული მწერლობისა და კულტურის ისტორიის საკითხებზე ე. ბოლხო-  
 ვიტინოვის კონსულტანტებად მათი გამოცხადება, ყოველ შემთხვევა-  
 ში, ასეთ დაშვებას არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს, თუ გავიხს-  
 ნებთ იმასაც, რომ გიორგი ავალიშვილი (1769—1850) რუსული ენის  
 ჩინებული მცოდნეც იყო<sup>70</sup> და თავისუფლად შეეძლო ე. ბოლხოვიტ-  
 ინოვისთვის კონსულტაციის გაწევა. ის კი არა, ჩვენ საშუალება გვე-  
 ძლევა უფრო დავაზუსტოთ ამ მოვლენის ქრონოლოგიური ჩარჩო.

<sup>68</sup> ნ. ონიკაშვილი, დასახ. თხზულება, გვ. 231 შმდ., გვ. 235.

<sup>69</sup> მათი სამწერლო მოღვაწეობის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლი-  
 ტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 694 შმდ.; ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი  
 გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939; მისივე, ძველი ქართული თე-  
 ატრი და დრამატურგია, თბ., 1949; მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტო-  
 რიიდან, თბ., 1954; მისივე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთ-  
 ბის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960; ვ. შადური, შესავალი, წიგნში:  
 „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“ თბ., 1962, გვ. 48—54. გ. მიქაძე,  
 გიორგი თუმანიშვილი, კრებ.: „ძვ. ქართ. მწ. საკითხები“, I, თბ., 1962, გვ. 33  
 შმდ.; ელ. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექ-  
 ციონერი, კ. კეკელიძის საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 247 შმდ.; მისი-  
 ვე, გ. ავალიშვილის „მგზავრობა“, წიგნში: გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა  
 თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ., 1967; ლ. მეფარიშვილი, დასახ. ნაშრ.,  
 გვ. 183—192; ნ. მახათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92—94.

<sup>70</sup> ელ. მეტრეველი, გ. ავალიშვილის „მგზავრობა“, გვ. 07.

საქმე ის არის, რომ აქ მოხსენიებული პირები რუსეთის იმპერატორის კარზე 1801 წლის სექტემბერში არ ჩასულან პირველად. კარგადაა ცნობილი, და პლ. იოსელიანიც წერს, რომ გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი და ელ. ფალავანდიშვილი, როგორც Посланник-ები (დესპანები, ელჩები) ჯერ კიდევ 1799 წლის მიწურულსა და 1800 წლის დასაწყისში „მეფის გიორგისაგანვე გაგზავნილნი“ იყვნენ პავლე I-თან საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის საბოლოოდ მოსაგვარებლად<sup>71</sup> (ალარაფერს ვამბობთ ერეკლე II-ის დროს გ. ჭავჭავაძისა და გ. ავალიშვილის რუსეთში აღრიხნდელ დიპლომატიურ მოღვაწეობაზე!). მაგრამ, ჯერ გიორგი XII-ის გარდაცვალებამ (1800 წლის 18 დეკემბერი), ხოლო შემდეგ პავლე I-ის მკვლელობამ (1801 წ. 12 მარტი) დააყოვნა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტის სისრულეში მოყვანა, რის გამოც საჭირო გახდა ალექსანდრე I-ის ახალი მანიფესტის მომზადება და გამოცხადება, რაც განხორციელდა კიდევ 1801 წლის 12 სექტემბერს.

ასე რომ, 1800 წლიდან, და უფრო ადრეც, ქართველი Посланник-ები, ხოლო შემდეგ უკვე Депутат-ებიც რუსეთის იმპერატორის კარზე არიან პეტერბურგში («... в престольном граде Москве» ისინი ჩადიოდნენ, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული, იმპერატორის კურთხევისას და მანიფესტის გამოცხადებისას!). ე. ბოლხოვიტინოვი კი, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, ვორონეჟიდან პეტერბურგში საცხოვრებლად ჩავიდა 1800 წლის მარტში, ხოლო მისი წიგნი «Историческое изображение Грузии» აქ დაიბეჭდა 1802 წლის მაის-ივლისში. მასახალამე, 1800-1802 წლებში პეტერბურგში ე. ბოლხოვიტინოვს თავისუფლად შეეძლო შეხვედროდა იქ ჩასულ ქართველ Посланник-ებსა და Депутат-ებს, იგივე Грузинские князья-ს და მათგან მიეღო მისი მომავალი წიგნისათვის საჭირო კონსულტაციები, რის შესახებაც იგი წერდა კიდევ თავისი წიგნის წინასიტყვაობასა და ვ. მაკედონეცისადმი 1802 წლის 13 მაისს გაგზავნილ ბარათში. ასე რომ, ჩვენ უკვე ზუსტად ვიცით, როდის უნდა შესდგომოდა ე. ბო-

<sup>71</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 92, 93—95, 192—193; იხ. აგრეთვე, Грамоты..., II, вып. I, აღ. ც ა გ ა რ ლ ი ს გამოცემა, გვ. 186—187; Акты, I, გვ. 105, 179, 181, 188, 190—192, 334, 414—415, 428—432; შდრ. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 08, 012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 810 შმდ.



ლხოვეტიწოვი თავის წიგწზე მუშაობას<sup>72</sup> და ვინ ჰყოლია მას სწამებში დამხმარენი<sup>73</sup>.

რაც შეეხება მთავარ კონსულტანტს ვარლამ ერისთავს, ე. ბოლხოვეტიწოვი მას პირდაპირ ახსენებს რამდენჯერმე როგორც თავის წიგწში («Преосвященный Варлаам Архиепископо Ахталымский (!) и член Св. Синода—გვ. 76, 81), ისე მაკედონეცისადმი გაგზავნილ წერილებში (№№15, 33, 35); კერძოდ, 1801 წლის 31 იანვრის წერილიდან (№15) ჩანს, რომ ე. ბოლხოვეტიწოვი უკვე იცნობს ვარლამს, ვისთვისაც ამ დროს პავლე I-ს უწმინდესი სინოდის წევრობა უბოძებია «...по случаю присоединения Грузии» (Русский архив (1870), სვ. 791)<sup>74</sup>.

ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ ცნობილ რუს ისტორიკოსზე, საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის არქივის გამგე ნ. ბანტიშ-კამენსკიზე, რომელიც ე. ბოლხოვეტიწოვის დიდი ხნის მეგობარი იყო ჯერ კიდევ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდიდან და საქართველოს შესახებ წიგწის დაწერის დროსაც მისთვის შესაფერი სამსახური გაუწევია. ამის თაობაზე ე. ბოლხოვეტიწოვი პირდაპირ წერდა ვ. მაკედონეცს: «Попросил я помощи и от Бантыша-

<sup>72</sup> შდრ.: «Грузией он заинтересовался, видимо, в конце XVIII века, уже будучи авторитетным ученым. Точных данных о начале работы у нас нет» (Н. Поракишвили, Первый русский критик Руставели, «Молодежь Грузии», 1. X. 1966, № 115, გვ. 6).

<sup>73</sup> სხვათა შორის, თავისი წიგწის 41-ე გვერდზე, გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატთან დაკავშირებით, ე. ბოლხოვეტიწოვი იხსენიებს კიდევ «Генерала Адыутанта князя Гарсевана Чавчавадзева».

<sup>74</sup> ვარლამის შესახებ ცნობებს გვაწვდის პლ. იოსელიანიც: «ვარლამ, შემდეგ ექსარქოსად ყოფილი, ქსნის ერისთვისვილი; მცოდნე ებრაულისა ენისა, დეკანოზი და მასწავლებელიცა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ. ბ. ებრაულისა ენისა, მეტყოდა ვარლამისათვის (1834 წელსა), რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლამისა, რომელიცა დაიბეჭდაცა. მისგანვე ვარლამისა ესწავა მრავალთა ქართულთა ლექსთა, ებრაულის ენისა სახმართა» (ცხოვრება..., გვ. 257. იხ. აგრეთვე, გვ. 135—136), ხოლო გაბრიელ რატიშვილი ალექსანდრე I-ის იმპერატორად კურთხევის აღწერისას მოგვითხრობს: «ყო მას დღე მწირველი პლატონ მოსკოვისა არხიერი, ამბროსი — პეტრებუხისა არხიერი, პავლე — როსტოვისა არხიეფისკოპოსი და ვარლამ ერისთავის ძე — არხიეფისკოპოსი... ოდეს აღასრულეს წესი იგი წირვისა და ყოველნი ეზიარნენ წმინდათა საიდუმლოთა, მაშინ განაღეს კარნი აღსავლისანი და მუნით გამოვიდნენ ორნი ჩლენნი: როსტოვისა არხიეფისკოპოსი პავლე და ახტალისა არხიეფისკოპოსი ვარლამ ერისთავის ძე» (გ. რატიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 253).

Каменского. Он все любопытное из своего гнезда мне сообщит (იქვე, № 33)<sup>75</sup>.

სხვათა შორის, ე. შმურლოს, კიევში დაცული ე. ბოლხოვიტინოვის პირადი არქივის მასალების მიხედვით, დეტალურად აქვს გამოკვლეული, თუ წიგნის რომელი ნაწილი (სულ 7 თავი) ვისი კონსულტაციით უნდა იყოს შედგენილი (ამ ცნობათა დიდი მნიშვნელობის გამო მოგვეყავს შმურლოს შრომის ეს ადგილი მთლიანად, რადგან ზოგიერთს შეიძლება კარგად არ ჰქონდეს გათვალისწინებული ე. ბოლხოვიტინოვის მიერ თავის წიგნზე გაწეული მუშაობის ხასიათი და ამიტომაც ეეჭვებოდეს მისი ავტორობა):

«Исторический очерк (гл. I), начиная, разумеется, с самых отдаленных времен, пытается дать хотя и краткий, но связный обзор внешней истории Грузии. С о с л о в г р у з и н с к и х д е п у т а т о в Евгений набросал несколько отрывочных фактов (Рукопись Киево-соф. библ. №559, документ №7), которые и легли в основу его рассказа (особенно от слов: «престол грузинского царства» на стр. 15 до начала страницы 21-й). События же с 1586г. изложены по данным (Рукопись Киево-соф. библ. №559, документ №3), по всей вероятности, полученным из Московского архива министерства иностр. дел, чрез посредство Н. Н. Бантыша-Каменского, на содействие котораго, как мы видели, указывал Евгений в письме своем к Македонцу. Действительно, сведения эти—выпись дипломатических сношений русского двора с грузинским—могли попасть в руки Евгения только чрез Каменского. Наш автор очень близко держался этих данных, большею частью дословно их

<sup>75</sup> სხვათა შორის, ამ ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის გამოუცხადებია ქართველი ბატონიშვილებისთვის ალექსანდრე I-ის „ნება“ მათი რუსეთში „სამარადისოდ საცხოვრებლად“ დარჩენის შესახებ, რის გამოც დამწუხრებული გ. რატიშვილი შენიშნავს: „ვიტარცა იხილა ეგრე მყოფნი მეფისა ძენი და ჩვენ ყოველნი კამენსკი ნოქოლა ნიქოლაიჩმა, იგი უმეტეს მწუხარებამა შეიპყრა და მოედინებოდა ცრემლი თვალთაგან მისთა, გეცემდა ნუგეშსა და გვთხოვდა, დასწერეთ, რათა გამოუცხადო აზრი თქვენი ვეზირსა და არზაცა მიეცით ხელმწიფესა, უკეთუ არს მბრძანებელი მაგისი, კვალად შემძლებელ არს მოგხედოსთ მოწყალებითა და საწადისამებრ თქვენისა გებოძოთ პასუხი მოწყალებიანი“ (გ. რატიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 278—279, ხაზი ჩვენია—გ. შ.).

выписывая и кой-где—преимущественно в именах и длинных оборотах речи—делая, сокращения. Впрочем в этом обзоре событий 1586-1783 гг. книга Евгения даже полнее московского источника, и лишния места, как оказывается по сличению, в значительной мере взяты из документа, который в рукописи № 559 мы обозначили №7-м (сжатый набросок исторических событий Грузии с XII в. до конца XVIII стол.—без заглавия, рукою Евгения, 1 1/2 л. ). Большею частью из этого же последнего извлек Евгений и немногие строки свои о времени после 1783 г. Ни инструкцией главнокомандующему, ни запиской Коваленского он не воспользовался (рукопись Киево-соф. библ. №559, документы №№ 10, 11...). Таким образом, первая глава «Исторического изображения» обязана в существенной своей части устным сообщениям грузин и материалам, доставленным из Москвы.

**В истории грузинской церкви** (гл. II) автор следует Руффину и «грузинским летописям», то-есть, в последнем случае тем же устным сообщениям; им же, конечно, обязан он разнообразными сведениями о современном писателю состоянии местных епархий. **Глава III**, главным образом, рассказывает историю издания Библии на грузинском языке в 1743 году (история эта изложена по предисловию, приложенному к этому изданию; перевод предисловия собственноручно записан Евгением... Все существенное из этого предисловия вошло в книгу, начиная со строки четвертой (снизу) на стран. 60 и до строки девятой на стран. 63); для **главы IV**, в которой приводится не мало образцов грузинского языка и письменности, не сохранилось черновых материалов; но она едва ли не более остальных носит характер устных сообщений. Отсутствие в 1802 г. какой-либо библиографии по грузинской литературе заставляет признать такое же происхождение и следующей **главы (V-й)**. За то перечень переводных книг (гл. VI) сохранился в бумагах Евгения в первоначальном наброске (рукопись Киево-соф. библ. № 559, документ №

8), точно так, как и сообщения «о стихотворстве и музыке (VII) (документ №9)»<sup>76</sup>.

ამას გარდა, ე. შმურლოს ყურადღება გაუმახვილებია ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის სხვა წყაროებზედაც, რომლებიც თვითონ ავტორის დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს მოპოვებული. «На странице 5, приступая к обзору грузинской истории, Евгений говорит: «Вот вкратце содержание сих летописей (грузинских), с дополнением по местам из других современных источников и, наконец, из российской дипломатической истории». Ссылки на эти летописи разбросаны по всей книге (стр. 2, 5, 10, 15, 47, 50, 65,); к «современным историкам составитель, очевидно, относил византийца Прокопия (стр. 5, 11, 12,), Руффина (стр. 46-50); путешественника В. Г. Барскаго (стр. 15, 54-55), Арсения Суханова с его Проскинитарием (стр. 30). Проскинитарием Евгений пользовался в рукописи (Разсуждение о начале, важности и знаменовании церковных облачений, стр. 32, прим. 115); есть ссылка и на классических писателей (стр. 4.)...»<sup>77</sup>

ნათქვამს თუ შეეჯამებთ, ე. შმურლოს გამოკვევის მიხედვით გამოდის, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის 7 ძირითადი თავიდან ნ. ბანტიშ-კამენსკის, ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ პირველი თავისთვის საჭირო მასალები მიუწოდებია მისთვის მოსკოვის არქივიდან, ხოლო მთელი წიგნი თვითონ ავტორის მიერ მოპოვებულ უცხოურ და რუსულ პირველწყაროებსა და ქართველების კონსულტაციებზე ყოფილა დამყარებული.

თუ როგორ ღრმად იცნობდა და სწავლობდა ე. ბოლხოვიტინოვი ქართული კულტურის შესახებ არსებულ პირველწყაროებს, მოვიტანთ ამის ერთ მაგალითს. წიგნის 54-55 გვერდებზე (იხ. აგრეთვე გვ. 15) ე. ბოლხოვიტინოვი საუბრობს იერუსალიმისა და ათონის ქართველთა მონასტრებზე და შენიშნავს: «Оба они подробно описаны Российским путешественником Григоровичем в путешествии его ко св. местам на стран. 201 и 580 и след.»

მართლაც, XVIII საუკუნის ცნობილ რუს მოგზაურს ვასილ

<sup>76</sup> Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 343—345.

<sup>77</sup> А. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 342—343 (ხაზგასმა და დაყოფა ყველგან ჩვენია, გ. შ.).

გრიგოროვიჩ-ბარსკის (1701—1747)<sup>78</sup> თავისი მოგზაურობის ში დაცული აქვს მეტად საინტერესო ცნობები იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისა (მოუხილავს 1726 წლის ნოემბერში) და ათონის ქართველთა მონასტრის (მოუხილავს 1744 წლის ივლისში) შესახებ.

ე. ბოლხოვიტინოვის მიერ დამოწმებული გვერდების (201 და 580 შმდ.) მიხედვით ირკვევა, რომ მას ხელთ უნდა ჰქონოდა ე. გრიგოროვიჩ-ბარსკის „მოგზაურობის“ პირველი ბეჭდური გამოცემა, განხორციელებული 1778 წელს სანკტ-პეტერბურგში, ვ. გ. რუბანის მიერ<sup>79</sup>.

ე. შმურლოს შემდეგ კიევში დაცულ ე. ბოლხოვიტინოვის პირად არქივზე იმუშავა ქართველმა მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა, რომლის კვლევის შედეგები ძირითადად გამოქვეყნებულია (ამის შესახებ ქვემოთ). ამ შემთხვევაში კი საინტერესოა მისი თეზისების სახით გამოქვეყნებული ერთი შრომის შემდეგი ადგილი:

„3. რუს-ქართველთა კულტურული ურთიერთობის ამსახველი მრავალი საინტერესო ფაქტი დასტურდება კიევის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ე. ბოლხოვიტინოვის პირადი არქივის გამოუქვეყნებელი მასალებით. ეს დოკუმენტები ნათელყოფენ მათი ავტორის მჭიდრო კულტურულ თანამშრომლობას XIX საუკუნის დამდეგის პეტერბურგის ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ამავე არქივში დაცული სხვა დოკუმენტებით ისიც ვლინდება, რომ ე. ბოლხოვიტინოვს 1802 წელს „საქართველოს ისტორიული სახის...“ გამოქვეყნების შემდეგაც არ შეუწყვე-

<sup>78</sup> მის შესახებ. იხ.: Н. Барсуков, Жизнь и труды В. Г. Барскаго, СПб., 1885; Энци. словарь Брокгауза и Ефрона, т. 10, СПб., 1892, გვ. 580—581; Сводный каталог русской книги XVIII века, 1725—1800, М., 1962, გვ. 257; ტრ. რუხაძე, ქართ.-რუს. ლიტ. ურთ. ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 18, 62—63, 104.

<sup>79</sup> Пешеходца Василья Григоровича-Барскаго — Плаки-Албова, Уроженца Киевскаго, Монаха Антиохийскаго, Путешествие к Святым Местам в Европе, Азии и Африке находящимся, предпрятное в 1723, и оконченное в 1747 году, им самим писанное..., изданное в свете под смотрением... Василья Григорьевича Рубана, СПб., 1778, გვ. 201—203, გვ. 580—599, IV; არსებობს მისი აკადემიური გამოცემა: Странствования Василья Григоровича-Барскаго по Святым местам Востока с 1723 по 1747 г., изданы ППО по подлинной рукописи под редакциею Николая Барсукова, ч. I—IV, СПб., 1885—1887. ჩვენთვის საინტერესო ადგილები იხ. ч. I, СПб., 1885, გვ. 333—338; ч. III, СПб., 1887, გვ. 122—162. აქვეა დაბეჭდილი ათონის მონასტრის ორი ჩანახატი.

ტია ცნობების შეგროვება მისთვის საინტერესო ქვეყნის შესახებ ახალი მასალების თავმოყრისას, ჩანს, იგი ხელმძღვანელობდა იმ შენიშვნებით, რომლებიც გამოთქმული იყო რეცენზიებში მის წიგნზე, აგრეთვე ქართველ მკითხველთა მითითებებით.

4. აღნიშნული არქივი ამასთანავე შეიცავს დოკუმენტებს (სალექსო და სამუსიკო ჩანაწერების სახით), რომლებიც გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ ქართული ლიტერატურისა და მუსიკის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით.

5. ე. ბოლხოვიტინოვის დასახელებული პირადი არქივისა და ამავე ავტორის კერძო წერილების გაცნობა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რა ეკუთვნის ავტორს (საქართველოს შესახებ შედგენილ ჩანაწერებსა და მის ბეჭდურ გამოცემაში) და რა მის ქართველ ინფორმატორებს<sup>80</sup>.

ასე რომ, როგორც ვარლამ ერისთავი, ისე ბატიშ-კამენსკი და ახლა უკვე ჩვენთვის ცნობილი «Грузинские князья», იგივე, «Грузинские Посланники и Депутаты» (გ. ავალიშვილი და სხვები) ე. ბოლხოვიტინოვს ეხმარებოდნენ წყაროების შერჩევა-შეგებასა და მასალების მიწოდებაში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამის გამო ისინი ე. ბოლხოვიტინოვის „თანავტორებად“ გამოვაცხადოთ, ან უფრო მეტიც, მივიჩნიოთ, თითქოს აღნიშნულ წიგნს „ე. ბოლხოვიტინოვი არ თვლიდა თავის საკუთარ შრომად,“ რაც თითქოს გამხდარა მისი ანონიმურად გამოცემის მიზეზი. ეს ასე არაა<sup>81</sup>.

თავი რომ დავანებოთ ამ წიგნთან დაკავშირებით თვითონ ე. ბოლხოვიტინოვის ნათქვამ სიტყვებს, «...автору не захотелось выстав-лять себя. Мое дело было всегда работать для общей пользы и не ожидать наград» (Русский архив, 1870, სვ. 817), აქ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ე. შმურლოს გამოკვლევის შემდეგი ადგილი: «Вспомним, что главнейшие труды Евгения: Ист. изобр., Разговоры о Новгороде, Словарь, Киево-Пе-

<sup>80</sup> ს. ლეკიშვილი, ე. ბოლხოვიტინოვი და პეტერბურგის ქართველი საზოგადოებრიობა, საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმის III სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1961, გვ. 9 (იქვე, იგივე რუსულად — გვ. 16).

<sup>81</sup> სრულიად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ამ საკითხზე ე. ბოლხოვიტინოვის შრომის გერმანულ ენაზე მთარგმნელს ფრ. შმიდტს ჯერ კიდევ 1804 წელს: «Dieses historische Gemälde von Grusien ist von dem Archimandriten des Alexander-Newstischen klostere Eugeniuss...» (Georgien oder hist., Riga und Leipzig, 1804, გვ. VII—VIII, შნვ.).

черская лавра, Киево-Софийский собор—вышли имени автора (უნდა „ვივარაუდოთ“, რომ „ქართველი თანაავტორები“ აქ მაინც არ ეყოლებოდა მას! გ. შ.), не упомянуто и его участие в Истории российской иерархии. При издании вами Словаря, пишет он Снегиреву, не упоминайте о моем имени, журналисты и публика сами вспомнят обо мне, а по смерти моей как хотят» (ხაზი ჩვენია—გ. შ.)<sup>82</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი ასეთივე დაჟინებით თხოვდა გ. დერჟავინს არ ეხსენებინა მისი სახელი თავის წიგნში «Рассуждение о лирической поэзии»<sup>83</sup>, მაშინ როდესაც დღეს უკვე გამოცემულია, რომ „დერჟავინის მოსაზრებები ქართულ ლექსთწყობაზე მთლიანად ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულებებს ეყრდნობა“<sup>84</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვს მტკიცედ სწამდა, რომ «суд потомства лестнее современнаго»<sup>85</sup>. ამიტომაც, საქართველოს შესახებ დაწერილი წიგნის ანონიმურად გამოცემის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ამ ნაშრომის „კოლექტიურ ხასიათში“, არამედ მისი ავტორის თავმდაბლობა-სა და მოკრძალებაში<sup>86</sup>.

<sup>82</sup> ЖМНП, 1888, VI, გვ. 262, სქ. 2.

<sup>83</sup> იქვე.

<sup>84</sup> რ. დოღონაძე, გ. რ. დერჟავინი და ქართული მწერლობა, საქ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 1, გვ. 216; იხ. აგრეთვე, გ. მიქაძე, მასალები..., გვ. 145—146; მისივე, ნარკვევები..., გვ. 6.

<sup>85</sup> ЖМНП, 1888, VI, გვ. 263.

<sup>86</sup> აქ არ შეიძლება უნებურად არ გაგვახსენდეს თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც ასევე დაბეჯითებით თხოვდა მარი ბროსეს: „...მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა“ (თ. ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 22).

## ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ევროპულ ენებზე გადათარგმნის გამო

გარკვეულ ინტერესს იწვევს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის უცხოური თარგმანები, რადგანაც ეს საკითხი ბუნებრივად უკავშირდება რუსთველის სახელის რუსეთის ფარგლებს გარეთ გატანის ისტორიას: „ბოლხოვიტინოვმა პირველად გააცნო კულტურულ მსოფლიოს არა მარტო ჩვენი ლექსთწყობის ზოგიერთი პრინციპი, არამედ რუსთაველის სახელიც“, — შენიშნავს ა. გაწერელია<sup>87</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი მაშინვე უთარგმნიათ რამდენიმე ევროპულ ენაზე. „ე. ბოლხოვიტინოვის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორია გადაუთარგმნიათ ევროპულ ენებზე“, „1803-04 წლებში, როგორც ჩანს, საქართველოს ისტორია უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე“ (თ. მაჭავარიანი)<sup>88</sup>, „იმავე წლებში ბოლხოვიტინოვის წიგნი უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, რაც აგრეთვე თავისთავად ევროპულ ნიადაგზე რუსთაველის ხსენების პირველ ცდას წარმოადგენდა“ — წერდა 1941 წელს გ. იმედაშვილი<sup>89</sup>. ამასვე იმეორებს გ. მიქაძე: „ე. ბოლხოვიტინოვის შრომა მაშინვე უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე“<sup>90</sup>. 1957 წელს კი გ. იმედაშვილმა პირდაპირ მიუთითა: „წიგნი

<sup>87</sup> ა. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 163.

<sup>88</sup> თ. მაჭავარიანი, ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, მარქსის სახ. საქართველოს სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937, გვ. 218, 219.

<sup>89</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია (ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა, თბ., 1941, გვ. 48.

<sup>90</sup> გ. მიქაძე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია, თბ., 1954, გვ. 217; მ ი



გამოსვლისთანავე ითარგმნა უცხო ენებზე. გერმანულად: *Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Aus dem Russischen übersetzt von Fr. Schmidt, Doktor der Philosophie, Riga und Leipzig, 1804, XVI+166 გვ.* ფრანგული თარგმანი ზასს-ისა: *Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Georgie, S. P. 1804*; ამავე (1804) წელს გამოვიდა „ვევენიუსის“ წიგნის ფრანგული თარგმანიც<sup>91</sup>. უკანასკნელად, აღნიშნული ცნობები მეორდება ვ. შადურთან: «Уже в 1804-1805 гг. «Историческое изображение» было переведено на немецкий и французский языки»<sup>92</sup>, ლ. ანდლულაძესთან: „წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა უცხოეთში რუსთველის ირგვლივ შეხედულებების შემუშავებაზე. იგი მალე ითარგმნა ფრანგულ (ზასსი, 1803 წ.) და გერმანულ (ფ. შმიდტი, 1804 წ.) ენებზე“<sup>93</sup> და ა. გაწერელიასთან: „ბოლხოვიტინოვის წიგნი გერმანულად გამოვიდა 1804 წ. რიგა-ლაიპციგში და იმავე წელს ფრანგულად ს. პეტერბურგში“<sup>94</sup>, ხოლო ერთი ავტორი პირდაპირ წერს: «Сразу же по выходе из печати сочинение русского ученого было переведено на ряд европейских языков. Причем на немецком языке книга Е. Болховитинова выдержала несколько изданий»<sup>95</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის თარგმანებთან დაკავშირებით მ. გორგიძე ახლახან გამოცემულ თავის ნაშრომში წერს: «Книга Болховитинова была встречена в свое время с большим интересом, она служила росту уважения русской общественности к Грузии и грузинской культуре. Не меньше интереса проявили к этой

ს ი ვ ე, მასალები ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის, კრებ. „ლიტ. თეორიისა და ესთეტიკის საკითხები“, II, თბ., 1965, გვ. 145; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 5.

<sup>91</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712—1956 წლები), თბ., 1957, გვ. 5, 6.

<sup>92</sup> В. Шадури, დასახ. ნაშრ., გვ. 420; შდრ. იქვე, გვ. 418, მწმ. 2.

<sup>93</sup> ლ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111. ან კიდევ: „წიგნი გამოსვლისთანავე ითარგმნა ჯერ გერმანულად, ხოლო შემდეგ 1804 წელს ფრანგულად“ (ლ. ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანი, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, 1962, გვ. 202).

<sup>94</sup> ა. გაწერელია, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

<sup>95</sup> Н. Пوراкишвили, Первый русский критик Руставели, «Молодежь Грузии», 1. X. 1966, № 115, გვ. 6.

книге и зарубежные деятели: она была переведена на немецкий язык Фредериком Шмидтом и издана в 1804 году (Рига-Лейпциг); одновременно переведена на французский язык Зассом и издана в том же году в Петербурге, а критический анализ ее дан в 1819 году в парижских «Путешественных анналах» (т. XII)<sup>96</sup>.

იქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის გერმანულ მთარგმნელს ერქვა ფრიდრიხ (და არა ფრედერიკ) შმიდტი, ზასს ფრანგულად არ უთარგმნია ბოლხოვიტინოვის ნაშრომი და, ბუნებრივია, იგი არც პეტერბურგში არ გამოცემულა, ხოლო პარიზში გამომავალ ჟურნალში «Annales des voyages» ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი განხილულია არა 1819 წელს, არამედ 1810 წელს.

გაუგებრობის სათავე გახდა ე. ბოლხოვიტინოვის ყურმოკრული ცნობა: „Слышно, что книга моя переведена уже на Немецкий, Французский и Английский языки“<sup>97</sup> და მისთვის დართული ბ. სევერნის შენიშვნა: „Действительно переводы эти сделаны были“<sup>98</sup>.

ამ ცნობაში პირველად ეჭვი ე. შმურლომ შეიტანა: «Нам известен один впрочем перевод—немецкий (უთითებს შმიდტის თარგმანს. გ. შ.)... В мае 1803 г. Евгений в виде слуха передавал, «Что книга моя переведена уже на немецкий, французский и английский языки», что подтверждает и г. Северный (Русский архив, 1870, ст. 824, прим. 6), неизвестно на чем основываясь»<sup>99</sup>.

<sup>96</sup> М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тб., 1976, გვ. 119.

<sup>97</sup> იხ. ე. ბოლხოვიტინოვის 1803 წ. 8 მაისის წერილი ე. შაკედონეცისადმი (№42), Русский архив, 1870, სვ. 824.

<sup>98</sup> იქვე, შწმ. 6.

<sup>99</sup> ЖМНП, 1888, май, გვ. 169, შწმ. 4; ამასვე წერს შმურლო სხვაგანაც: «...но переводов сделан был всего один, немецкий... Предисловие переводчика, писанное в Москве в ноябре 1803 г., раскрывает автора книги, последнюю аттестует, как «ein schönes Werk (стр. VIII), а перевод свой называет «Keine freye Uebersetzung», но «ganz treu und vollständig, fast wörtlich» (გვ. IX), что и действительно верно» (Библи. список, СПб., 1888, № 73). ე. ბოლხოვიტინოვის შრომის მხოლოდ გერმანულ თარგმანს ასახელებს აგრეთვე ერთი იმდროინდელი რუსული ორგანო: «Труд этот, заслуживший лестный отзыв Шлецера и переведенный на немецкий язык... Илл. газета, т. XXIII, № 3, СПб. 1869, გვ. 38.



ეს გაუგებრობა თითქმის მთლიანად გაფანტა პ. ბერკოვის მიერ 1938 წელს: «Книга Евгения была переведена на немецкий язык Фр. Шмидтом в 1804 г. под названием «Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht» (Riga und Leipzig, 1804). Подробнее см. Шмурло, цит. соч., сс.341-348. Недоумение Шмурло по поводу французского перевода следует объяснить так: работой Евгения, несомненно, воспользовался некий Засс, петербургский чиновник министерства иностранных дел, выпустивший одновременно с Фр. Шмидтом «Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Georgie (СПБ, 1804). Последняя книга была переведена на русский язык Яковом Лангеном и издана в 1805 г. под заглавием: «Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии. Перевод с французскаго» (СПБ, 1805)»<sup>100</sup>.

პ. ბერკოვის ასეთი ამომწურავი განმარტების შემდეგ თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მაინც მტკიცედ მოიკიდა ფეხი შეხედულებამ ე. ბოლხოვიტინოვის შრომის ფრანგულ და ინგლისურ თარგმანთა შესახებ, განსაკუთრებით, ზასისეულ ფრანგულ თარგმანზე, რომელიც სინამდვილეში, როგორც ირკვევა, არ არსებობს.

პეტერბურგელი ჩინოვნიკის ზასის-ის წიგნი «Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Georgie» (S.-Ptb, 1804), (იხ. სურ. 9) როგორც აგებულია, ისე შინაარსით სრულიად განსხვავდება ე. ბოლხოვიტინოვის წიგნისაგან და, როგორც შედარება მოწმობს, დამოუკიდებელ ნაშრომს წარმოადგენს<sup>101</sup>, თუმცა პ. ბერკოვის შენიშვნით, «работой Евгения, несомненно воспользовался некий Засс»<sup>102</sup>. ზასის-ის წიგნი კი ფრანგულიდან რუსულად

<sup>100</sup> П. Н. Берков, Шота Руставели в русской литературе, ИАН СССР, 1938, № 3. გადაბეჭდილია კრებულში: «Деятели русской культуры о Шота Руставели», Тб., 1966, გვ. 259.

<sup>101</sup> მაგალითად, ავტორი ერთგან (გვ. 26—27) ლაპარაკობს ომების დროს ლეკების დაქირავებაზე და შენიშნავს: «В прошедший год (1803) Автор сам видел таких, которые служили во Французской Армии в Египте», ხოლო დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ეგვიპტეში არასდროს არ ყოფილა.

<sup>102</sup> შდრ. მაგალითად, Description..., გვ. 43.

DESCRIPTION



DU

C A U C A S E

A V E C

LE PRÉCIS HISTORIQUE ET STATISTIQUE

DE LA GÉORGIE.

---

A V E C P E R M I S S I O N D E S S U P É R I E U R S .

---

S T . P E T E R S B O U R G , 1 8 0 4 .

I M P R I M É C H E Z G . D R E C H S L E R .

სურ. 9. Zass-ის შიგნის თავფურცელი (სპბ, 1804)

უთარგმნია იაკობ ლანგენს, რომელიც მას 1805 წელს გამოუცხადებინა პეტერბურგში: «Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии (СПБ, 1805)» (იხ. სურ. 10).

მაშასადამე, იაკობ ლანგენი ავტორი კი არ არის, არამედ მთარგმნელია ზასს-ის წიგნისა ფრანგულიდან რუსულ ენაზე<sup>103</sup>. სატიტულო ფურცელზე აღნიშნული Перевод с французскаго თუ საკმარისი არ არის, ეს დასტურდება იმავე წიგნში ჩართული ალექსანდრე I-სადმი იაკობ ლანგენის „მიძღვნიანაც“: «Я дерзнул украсить перевод мой дражайшим именем Вашего Императорскаго Величества». ამიტომ „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“ ამ წიგნის ავტორად მოხსენიებული იაკობ ლანგენის ნაცვლად უნდა აღდგეს მისი ნამდვილი ავტორის ზასს-ის გვარი<sup>104</sup>. რაც შეეხება ე. ბოლხოვიტინოვის შრომის უცხოურ თარგმანებს, აქ მისი მხოლოდ შმიდტისეული გერმანული თარგმანით (რაგა-ლაიფციგი, 1804) უნდა დაკმაყოფილდეთ (იხ. სურ. 11). სხვათა შორის, მ. ბროსეც მხოლოდ ამ გერმანულ თარგმანს იცნობს და უთითებს: «Il a été traduit en allemand, par un certain Schmidt»<sup>105</sup>. ფრანგული თარგმანის არსებობის შემთხვევაში მ. ბროსე მას არ დაივიწყებდა.

ახლახან გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მიერ (მთ. რედაქტორი ლ. მენაბდე) მომზადებული დიდად საჭირო და საინტერესო კრებული „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I“ (თბ., 1976). დ. ფანჩულიძის და ლ. მენაბდის მიერ შედგენილი ფრანგული რუსთველოლოგიური ლიტერა-

<sup>103</sup> შდრ. „ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ტოლი მნიშვნელობის წიგნი ერთხანს რუსულ ლიტერატურაში არ გამოსულა, თუ არ ჩავთვლით იაკობ ლანგენის ისტორიულ ნარკვევს, რომელიც ფრანგულიდან 1805 წელს ითარგმნა და გამოიცა პეტერბურგში“ (ლ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრ., ძვ. ქართ. მწ. საკითხები, III, გვ. 112), ან კიდევ: „ამ შრომის ავტორი იაკობ ლანგენია. ითარგმნა ფრანგულიდან 1805 წელს“ (ლ. ანდლულაძე, დასახ. ნაშრ., ძვ. ქართ. მწ. საკითხები, I, გვ. 202, სქ. 3). იაკობ ლანგენს ამ წიგნის ავტორად თვლის აგრეთვე ივ. ენაქოლოფოვი (იხ. „მნათობი“, № 1, 1938, გვ. 198).

<sup>104</sup> შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712—1956 წწ.), თბ., 1957, გვ. 6, № 6; მისივე, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 65; А. М. Бабаян, Шота Руставели, библиографический справочник, М., 1975, გვ. 36, № 358.

<sup>105</sup> იხ. Addition..., S.-Ptb., 1851, p. 290. აგრეთვე, Bibliographie analytique..., S.-Ptb., 1887, p. IX. В. Сопкиов, Опыт российской библиографии, часть 3, СПб, 1815 г., 2, № 36, 50.



О П И С А Н І Е

К А В К А З А

с ъ

КРАТКИМЪ ИСТОРИЧЕСКИМЪ И  
СТАТИСТИЧЕСКИМЪ ОПИСАНИЕМЪ  
Грузиѣ.

Переводъ съ Французскаго.

---

Печашано по Высочайшему ЕГО ИМПЕ-  
РАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА повѣленію.

---

---

С А Н К Т П Е Т Е Р Ъ У Р Г Ъ ,

Въ Театральной Типографіи 1805 года.

სურ. 10. Zass-ის შიგნის ი. ლანგენსეული რუსული თარგმანის თავფურცელი  
(სპბ, 1805 წ.)



# Georgien

oder

## Historisches Gemälde von Grussien.

In


politischer, kirchlicher und gelehrter  
S i n s i c h t.

---

Aus dem Russischen übersezt

von

F r i e d r i c h S c h m i d t,  
Doktor der Philosophie.



R i g a u n d L e i p z i g,  
bey J. C. Kaffa,  
Eigenthümer der nordischen Kommissionshandlung.  
1 8 0 4.

სურ. 11. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ფრ. შმიდტისეული გერმანული თარგმანის  
თავფურცელი (რივა-ლაიფციგი, 1804)

ტურის ბიბლიოგრაფია იწყება (გვ. 31) სწორედ ჩვენთვის საინტერესო  
წიგნით: «1. Description du Caucase avec le précis historique et  
statistique de la Georgie, St.-P., 1804 (Описание Кавказа с крат-  
ким историческим и статистическим описанием Грузии, СПб,  
1805)». სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უფრო ადრე  
ლ. მენაბდე ამავე წიგნების დამოწმებით მიუთითებდა: „ე. ბოლხოვიტინ-  
ოვის წიგნაკი... გამოყენებულ იქნა როგორც წყარო საქართველოს  
ისტორიისა“<sup>106</sup>. როგორც ვხედავთ, ე. ბოლხოვიტინოვის შრომის  
ფრანგულ თარგმანზე აქ მართლაც უკვე აღარ არის საუბარა, ოღონდ,  
ბიბლიოგრაფიაში ამ წიგნის ნამდვილი ავტორის (ზასს-ი) და მისი რუსი  
მთარგმნელის (ი. ლანგენი) გვარებიც რომ ყოფილიყო მითითებული,  
როგორც ეს თავის დროზე პ. ბერკოვს ჰქონდა გაკეთებული, აქამდე სა-  
ბოლოოდ გაიფანტებოდა ამ საკითხის გარშემო შექმნილი ვაუგებრობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა გერმანული თარგმანისა, 1956 წელს  
გ. მიქაძემ მოიპოვა ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ფრანგულ-რუსი  
ქართული თარგმანი (S-5124, ამჟამად Ros-48), ოღონდ „მთა-  
რგმნელ-გადამწერი უცნობია. უცნობია აგრეთვე თარგმნის დრო“<sup>107</sup>.


P. S. «Description du Caucase...» გამოცემულია ანონიმურად.  
პ. ბერკოვის მიხედვით, აღნიშნული შრომის ავტორია «некий Засс,  
петербургский чиновник министерства иностранных дел», მაგრამ  
ამ ცნობის წყაროს იგი არ უთითებს (იხ. П. Берков, დას. ნაშრ.,  
გვ. 259 შწშ.).

მარქსის სახ. საქართველოს რესპუბლიკურ საჯარო ბიბ-  
ლიოთეკაში დაცული ამ წიგნის ერთი ეგზემპლარის უკანა ყდაზე  
შევნიშნეთ უცნობი ხელით შესრულებული ძველი მინაწერი: «По  
Barbier, Diction. des anonymes, сочинение это написано Зассом  
(Zass), чиновником Мин. Ин.»  $\left( E \frac{8225}{30} \right)$ . ცხადია, აქ იგულის-  
ხმება ფრანგი ბიბლიოგრაფის ანტუან-ალექსანდრ ბარბიეს ( Bar-  
bier )(1765-1825) შრომა:«Dictionnaire des ouvrages anonymes et  
pseudonymes» (4 ტომად, პარიზი, 1806-1808) (იხ. ბროკჰაუზ-ეფ-  
რონის ენციკლოპედია, ტ. 5, სპბ, 1891, გვ. 50, მიმითითა ფერიდე

<sup>106</sup> ლ. მენაბდე, რუსთველი პოლონეთში, აღ. ბარამიძის საიუბილეო  
კრებული, თბ., 1974, გვ. 167, სქ. 24.

<sup>107</sup> გ. მიქაძე, შენიშვნები ზოგიერთი პოეტოკური შრომის შესახებ, „ახ-  
ალგ. სტალინელი“, 1956, 31 მარტი, № 9; მისივე, მასალები..., გვ. 149; მისი-  
ვე, ნარკვევები..., გვ. 8—9; შდრ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტ-  
ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 338.





# Göttingische gelehrte Anzeigen

unter der Aufsicht  
der Königl. Gesellschaft der Wissenschaften.

42. Stück.

Den 12. März 1803.

**G** St. Petersburg.  
gedruckt bey Schnor: *Istoriczeskoje izobrašenie Gruzii etc.* Historische Beschreibung von Georgien, nach seinem politischen, kirchlichen, und literarischen Zustande; verfaßt von der Alexanders-Nerschen Akademie; 1802, 193 Octavseiten, nebst 3 genealogischen Tabellen. Diese Beschreibung "weiht die St. Petersburgische Alexandro-Nerska-Akademie Dem Kaiser, der Georgiens Wohl gegründet und zurecht gestellt hat" (warum nicht dem Erneuerer, welchen edeln Beynahmen schon ein Georgischer Zar David III. nach dem J. 1089 bekommen? S. 15). Schon vor 215 Jahren ergaben sich einige Zare dieses Landes in Russischen Schutz, und erklärten sich für Vasallen der Moskauer Zare: erst vor 2 Jahren entsagten die Abkömmlinge jener Zare aller Selbstregierung; und 2 Provinzen des großen Landes, Kachet und Kartuel (so, oder Chartuel, schreibt der Georgier selbst, Russisch *Kartalskoje I zarstvo*), unterwarfen sich unmittelbar, und machen nun die 46ste und südlichste Gubernije des großen Kaiserthums aus. Der ungenannte gelehrte Verfasser will diese seine  
R (2)



# ANNALES DES VOYAGES,

DE  
LA GÉOGRAPHIE ET DE L'HISTOIRE,  
OU COLLECTION

Des Voyages nouveaux les plus estimés, traduits de toutes  
les Langues Européennes;

Des Relations Originales, inédites, communiquées par des  
Voyageurs Français et Étrangers;

Et des Mémoires Historiques sur l'Origine, la Langue, les Mœurs et les  
Arts des Peuples, ainsi que sur le Climat, les Productions et le  
Commerce des Pays jusqu'ici peu ou mal connus;

### ACCOMPAGNÉES

D'un *Bulletin* où l'on annonce toutes les Découvertes, Recherches et Entreprises qui tendent à  
accélérer les Progrès des Sciences Historiques, spécialement de la Géographie, et où l'on donne  
des Nouvelles des Voyageurs et des extraits de leur Correspondance.

*Avec des Cartes et Planches, gravées en taille-douce.*

PUBLIÉES PAR M. MALTE-BRUN,

Correspondant de l'Académie Italienne, de la Société d'Émulation de l'Ille-  
de-France, et de plusieurs autres Sociétés savantes et littéraires.

---

TOME DOUZIÈME,

CONTENANT LES CAHIERS XXXIV A XXXVI.

---

A PARIS,

Chez F. Buisson, Libraire-Éditeur, rue Gilles-Cœur, n° 10.

1810.

---



---

## ANALYSE DU TABLEAU

HISTORIQUE , POLITIQUE , ECCLÉSIASTIQUE ET LITTÉRAIRE

# DE LA GÉORGIE,

*Écrit en russe par l'archimandrite EUGENIUS.*

---

L'INCORPORATION de la Géorgie à l'empire de Russie a donné occasion à la composition de l'ouvrage que nous analysons , et qui porte , dans l'original , le titre que voici :

« *Istoritcheskoe isobrachenie Grusii we politichuskom , zerkownom i utchebnom eia soistoianie , etc. , etc. Pétersbourg , 1802* ».

L'auteur , archimandrite ou abbé du couvent de Saint-Alexandre Newski , a consulté les actes et traités publics , passés entre la Russie et la Géorgie , les livres écrits en langue géorgienne , et les députés de cette nation qui se trouvoient à Pétersbourg pour solliciter l'incorporation de leur pays. On peut donc compter sur l'exactitude des renseignemens recueillis dans cet ouvrage , et on doit seulement regretter que l'auteur , occupé principalement de l'histoire politique et ecclésiast-

კვაჭანტირაძემ), რომლის მიხედვითაც აღნიშნული წიგნის ავტორი  
ფილა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი ზასსი (Zass).  
პ. ბერკოვეც, ალბათ, ბარბიეს ლექსიკონს იცნობდა და ეყრდნობოდა.  
ჩვენ ხელთ გვქონდა Barbier-ის შრომის 1872 და 1964 წლების გა-  
მოცემები, სადაც იგი წერს: «Description du Caucase, avec le précis  
historique et statistique de la Géorgie. (Par M. D e Z a s s, em-  
ployé au ministère des affaires étrangères  
en Russie.)-1804 in-8 (Dictionnaire..., Paris, 1872, გვ. 902.  
იგივე, Paris, 1964, გვ. 902. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ბარბიეს  
შრომის I გამოცემაში ეს ცნობა არ იყო შესული, შდრ. Paris,  
1806—1808).

## ე. ბოლხოვიტინოვის სტილისა და ლიტერატურული მიდრეკილებების შესახებ

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ე. ბოლხოვიტინოვის სიტყვებზე, რომელიც მას მიუწერია ვ. მაკედონეცისათვის 1802 წლის 13 მაისს: «Мы с грузинским сами хохочем, что из шуток вышла книга... И все это писал человек ни слова по грузински не знающий и от роду Грузии не выдавший»<sup>108</sup>, რაც ზოგჯერ ამ წიგნის ავტორის, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკომპეტენტურობის საბუთად არის გამოყენებული.<sup>109</sup>

ამ საკითხზე მსჯელობისას უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ბოლხოვიტინოვის პიროვნული ხასიათი, მისი წერის მანერა და სტილის თავისებურება.

ე. ბოლხოვიტინოვის ბიოგრაფები და შემოქმედების მკვლევრები ერთხმად მიუთითებენ, რომ «вообще был он характера «веселого и насмешливого», с «поспешной и отрывистой речью»<sup>110</sup>, «Шутки, подчас острота и колкость его не имеют в себе ничего злобного... При том нужно заметить, что эти черты впервых суть принадлежности всегда живого, пылкого и откровенного характера Евгениева»<sup>111</sup>.

ამიტომ იყო, რომ ნ. სევერნი ჯერ კიდევ 1871 წელს სამართლია-

<sup>108</sup> Русский архив (1870), М., 1871, სვ. 814—815.

<sup>109</sup> შდრ. გ. შერეიელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, 83-92.

<sup>110</sup> Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., ЖМНП, 1888, № 6, გვ. 268.

<sup>111</sup> Н. Северный, დასახ. ნაშრ., Русский архив (1870), სვ. 876.



ნად შენიშნავდა ე. ბოლხოვიტინოვის ზემოთ მოყვანილ სიტყვებზე: «Здесь Евгений шутит над своим трудом; но в сущности он дороже ему стоил, и в основание его легло не один только рассказы и материалы, сообщенные Б. -Каменским; из предисловия и из самого соч[инения] видно, что Евгением перечитано было при этом не мало прежде писанного о Грузин»<sup>112</sup>. ამის შემდეგ ე. შმურლომ კიევი-სოფის ბიბლიოთეკაში მიაგნო ე. ბოლხოვიტინოვის ხელნაწერ კრებულს, დასათაურებულს თვით ავტორისაგან: «Записки, принадлежащие к истории о Грузин» (სულ 14 დოკუმენტი)<sup>113</sup>, ხოლო ბოლო ხანებში ს. ლეკიშვილმა კიევის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში მოიძია „ე. ბოლხოვიტინოვის ორი სანოტო ჩანაწერი, რომელთაგან პირველი საერო მელოდიაა — შექმნილი ბესიკის „სევდის ბაღზე“ (ფ. 297/559), ხოლო მეორე სასულიერო — „ღვთისმშობლის კანონის“ პირველი ძლისპირი (ფ. 18/727). ორივე ჩანაწერის ქვეშ ქართული სიტყვები მოცემულია რუსული ტრანსკრიფციით, რაც უთუოდ იმითაა გამოწვეული, რომ ჩანაწერმა ქართული ანბანი არ იცოდა, ხოლო ქართველმა ინფორმატორმა სანოტო დამწერლობა“<sup>114</sup>, აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ერთი სტოფის („ვის ხატად ღვთისად გიტყვიან“) ბოლხოვიტინოვისეული რუსული თავრმანი, რომელიც მანამდე გამოუქვეყნებელი იყო<sup>115</sup>. ყველაფერი ეს თვალნათლივ გვითვალისწინებს ავტორის მიერ თავის წიგნზე წინასწარ გაწეულ სერიოზულ მუშაობას.

ალარაფერს ვამბობთ იმ კრიტიკულ პათოსზე, რომლითაც გამსჭვალულია ე. ბოლხოვიტინოვი საქართველოს შესახებ მანამდე დაწერილ ნაშრომთა, კერძოდ ფრანგ მოგზაურთა (შარდენი და სხვ.), ცნობების მიმართ: «Но и в их описаниях очень часто Грузия представляется такою, какою она давно

<sup>112</sup> Н. Северный, იქვე, სვ. 814, შგვ. 3.

<sup>113</sup> Е. Шмурло, Митрополит Евгений..., СПб, 1888, გვ. 341—342.

<sup>114</sup> ს. ლეკიშვილი, ორი ქართული მელოდიის უცნობი სანოტო ჩანაწერი, „დროშა“, 1960, № 1; გვ. 18; მისივე, შეიძლება ეს სიმღერა ბესიკს ეკუთვნოდეს, „თბილისი“, 1958, 12. III. № 48; მისივე, ქართული მელოდიის კიდევ ერთი უცნობი ჩანაწერის შესახებ, „თბილისი“, 1959, 26. II. ხომ არ სჭირდებოდა იგი ბოლხოვიტინოვს თავისი შრომისთვის: Историческое разсуждение вообще о древнем христианском богослужебном пении, СПб, 1804 г.

<sup>115</sup> С. Лекишвили, Новооткрыватели Руставели, «Заря Востока», 25.VI.65.



уже перестала быть; а в иных такой, как она никогда не бывала... И так чужестранные известия о Грузии не могут быть для нас руководством к познанию ея»<sup>116</sup>.

მაშასადამე, წინამორბედი ავტორების, აგრეთვე საკუთარი თავისადმი მეცნიერულ-კრიტიკულად განწყობილი და უმთავრესად პირველწყაროებზე, მათ შორის, ქართველი კონსულტანტების მიერ მიწოდებულ ცნობებზე დამყარებული ნაშრომის შემქმნელი დღესაც ისეთივე ნდობისა და სათანადო დაფასების ღირსია, როგორც ეს კ. ევკელიძეს ჰქონდა წარმოდგენილი: „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, 1802 წელს, თავისი დროისათვის საყურადღებო მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა მოგვცა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ე. ბოლხოვიტინოვმა შრომაში, რომელსაც ეწოდება «Историческое изображение Грузии...» მიმოხილვა მოკლეა, არცთუ ყოველთვის ზუსტი, მაგრამ საინტერესოა, რომ ავტორმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, მოახერხა იმ დროს რუსეთში მყოფ ქართველთაგან შეეკრიბა ის, რაც მან გადმოგვცა“<sup>117</sup>. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თ. მაჭავარიანი, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის შესახებ ჩვენში ერთ-ერთი პირველი გამოკვლევების ავტორი, ამ ორმოციოდე წლის წინათ აღნიშნავდა: „რასაკვირველია, ასგვერდიან წიგნში ყოველად შეუძლებელი იყო საქართველოს ისტორიის სისრულით გადმოცემა, მაგრამ მაინც გასაოცარი სისწორით გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა“<sup>118</sup>. მოვიგონოთ, აგრეთვე, რას წერს ა. გაწერელია: ე. ბოლხოვიტინოვი „პირველი ავტორია მთელ რუსულ მწერლობაში, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა დიდძალი დოკუმენტური და საარქივო მასალა საქართველოს ისტორიაზე“<sup>119</sup>, ან კიდევ: ე. ბოლხოვიტინოვის „წერილი პოემაზე, ისევე როგორც მთელი წიგნი, აოცებს მკითხველს სწორი ცნობებით და საქმის ცოდნით“<sup>120</sup>.

<sup>116</sup> Историческое изображение Грузии, СПб, 1802: «Читателям».

<sup>117</sup> კ. ევკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 17—18.

<sup>118</sup> თ. მაჭავარიანი, ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, საჯარო ბიბლ. შრომები, III, თბ., 1937.

<sup>119</sup> ა. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 165.

<sup>120</sup> ივ. ენაკოლოფოვი, ვეფხისტყაოსნის პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე, „მნათობი“, № 1, 1938, გვ. 197.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი „დღესაც აოცებს მკითხველს სწორი ბეზით და მასალის ცოდნით. ეს წიგნი დიდხანს წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად წყაროს საქართველოს შესასწავლად რუსეთსა და ევროპაში“<sup>121</sup>.

\* \* \*

ე. ბოლხოვიტინოვი ძველი კლასიკური ლიტერატურული სკოლის მიმდევარი და დამფასებელი უფრო იყო, ვინემ მისი თანამედროვე ცოცხალი ლიტერატურული ცხოვრების უშუალო მონაწილე. უკეთ რომ ვთქვათ, მისთვის ლიტერატურული ძეგლი დროის გამოცდას საჭიროებდა<sup>122</sup>. ამიტომ იყო, რომ ე. შმურლოს სიტყვებით: «К современной литературе он в большинстве случаев относился отрицательно. Принадлежа во многом к старой литературной школе, придавая большое значение риторике и так-называемому «красноречию», «пленяясь» гекзаметрами Хвостова, не будучи в состоянии Понять Пушкина (ხაზი ჩვენია—გ. შ.)...<sup>123</sup>—Евгений не смотря на все это, умел высоко возвыситься над современниками в своих требованиях, обращенных к литературе»<sup>124</sup>. აქედან გამომდინარე, ««Среди корифеев западно-европейской словестности Евгений охотнее обращается к Горацио и Боало, ища в них опоры своим литературным суждениям; при выборе книг для своей библиотеки останавливается на Ж. -Б. Руссо, Théâtre Корнеля, Dergéaux Боало, на Расине и на трагедиях Вольтера»<sup>125</sup>.

<sup>121</sup> ს. ლევიშვილი, ე. ბოლხოვიტინოვი და პეტერბურგის ქართველი საზოგადოებრიობა, საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის III სამეცნ. სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1961, გვ. 9.

<sup>122</sup> «При сочинении диссертации о русском языке» Евгений советует «ссылаться больше на мертвых писателей, а не на живых, которых и хвалить, и критиковать еще не время» (Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 383).

<sup>123</sup> ჩვენ მიერ ხაზგასმული ე. შმურლოს სიტყვები უცვლელად გადასულა ვ. ბოცონოვსკისთან. შდრ. გ. შერეტელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 92.

<sup>124</sup> Е. Шмурло, Митрополит Евгений как ученый, СПб, 1888, გვ. 384.

<sup>125</sup> Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 383.



ასე რომ, შესაძლებელია ე. ბოლხოვიტინოვი სათანადოდ აფასებდა პუშკინს<sup>126</sup> (სხვათა შორის, პუშკინის თანამედროვეთაგან იგი ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა!), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი წიგნის მეცნიერულ-ლიტერატული ღირსებები ყოველგვარი ეჭვის გარეშე დვას.

სხვათა შორის, მ. აზარდესკის მტკიცებით, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი არ შეიძლება არ სცოდნოდა თვით ა. პუშკინს: «Трудно предположить, чтобы при своей исключительной начитанности Пушкин не знал этой книги или не ознакомился с нею перед новой поездкой на Кавказ. Строки о Руставели, который сравнивается с Оссианом и Ариосто, особенно должны были заинтересовать его»<sup>127</sup>.

ამ შეხედულებას იზიარებს ვ. შადური: «Столь популярная книга Болховитинова, являющаяся в то время единственным, можно сказать, энциклопедическим трудом по Грузии, могла конечно, привлечь и внимание Пушкина, интересовавшегося нашей «полуденной страной»<sup>128</sup>. ამას გარდა ვ. შადურმა შეისწავლა ერთ დროს კავკასიაში გადმოსახლებული რუსი პოეტის, ა. პუშკინისა და დეკაბრისტების მეგობრის ა. ა. შიშკოვის (1799-1832) რომანი «Кетевана или Грузия в 1812 году» და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ «Источником отдельных деталей «Кетеваны» послужило на наш взгляд «Историческое изображение Грузии...», ან კიდევ: «Таким образом, А. А. Шишков безусловно знал книгу Болховитинова и пользовался ею в своем романе»<sup>129</sup>.

მამასადამე, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის მეცნიერულ-ლიტერატურული ღირსებები, სპეციალისტების მტკიცებით, თურმე თვით ა. პუშკინისა და მისი შემოქმედებითი მეგობრებისთვისაც უდავო უნდა ყოფილიყო.

<sup>126</sup> პუშკინის შესახებ, მაგალითად, იგი წერდა: «Он был хороший стихотворец, но худой сын, родственник и гражданин» (იხ. Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 384, სქ. 5), ხოლო „რუსლან და ლუდმილას“ ირონიულად უწოდებდა «книжонка Еруслан» (იხ. Сборник статей... т. 5, вып. I, СПб, 1868, გვ. 191; Е. Шмурло, დასახ. ნაშრ., გვ. 384, სქ. 5).

<sup>127</sup> М. Азадовский, Руставели в стихах Пушкина, ეურ. «Звезда», 1938, გვ. 230.

<sup>128</sup> В. Шадури, Что знала о Руставели Россия пушкинского времени? კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“ თბ., 1966, გვ. 420.

<sup>129</sup> В. Шадури, Друг Пушкина А. А. Шишков и его роман о Грузии, Тб., 1951, გვ. 317, 323—324.

## რუსთველოლოგიური საკითხები ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომში

ამ რამდენიმე წინასწარი, მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნის შემდეგ, შეგვიძლია გადავიდეთ ე. ბოლხოვიტინოვის შრომაში დასმული რუსთველოლოგიური საკითხების განხილვაზე, რომელიც ჩვენ ამჟამად უფრო გვაინტერესებს.

„ჩერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისს, 1802 წელს პეტერბურგში გამოცემულს ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნში“ «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии» მოცემულია ვეფხისტყაოსნის შესავლის დასაწყისი სტროფის რუსულად თარგმნის პირველი ცდის ნიმუში და ტრადიციული ცნობების განმეორება რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. როგორც საკვირველი არ უნდა იყოს, ამ თარგმანთან ერთად მოცემული პირველი ცნობები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ უფრო მეტად იყო დაახლოებული სინამდვილესთან, ვიდრე შემდგომი ცდები არაქართველი ავტორებისა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, რომელთაც პოემის ცოდნის განუსაზღვრელი პრეტენზიები ჰქონდათ, მაგრამ ელემენტარული წარმოდგენაც არ გააჩნდათ მისი მოცულობის შესახებაც კი...

აქვე ავტორი პირველად ჩერდება ქართულ ლექსთწყობასა და კერძოდ რუსთაველის შაირზე. როგორც არ უნდა იყოს ეს ცნობები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ, მან მაინც დიდი გავლენა მოახდინა რუსთაველის ირგვლივ შეხედულებების შემუშავებაზე და მიმართულება მისცა რუსულს ლიტერატურაში რუსთაველის გატანის საკითხს. საკმარისია აღინიშნოს, რომ შემდეგში რუსთაველის შესახებ

შედარებით ვრცლად პირდაპირ მეორდება აქ წარმოდგენილი ციფრები — ასე ახასიათებდა ე. ბოლხოვიტინოვის რუსთველოლოგიურ ღვაწლს გ. იმედაშვილი 1941 წელს<sup>130</sup>, ხოლო ს. ცაიშვილმა მოგვცა ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის განხილვადებული შეფასება: «Воссоединение с Россией спасло Грузию и ее народ от физического уничтожения. Новая обстановка вызвала определенное оживление культурных связей. Первая книга о Грузии и, в частности, ее культуре вышла в России в 1802 году. Это был труд обзорного характера Евгения Болховитинова «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии». В книге дан исторический обзор грузинской литературы и, в частности, рассмотрен «Витязь в тигровой шкуре». Здесь же приводится в качестве примера начальная строфа поэмы в переводе на русский язык. Это первое на русском языке исследование, естественно, не могло быть безупречным, исчерпывающим, однако книга, несомненно, сыграла положительную роль. Все имевшиеся в тот период на европейских языках обзоры грузинской литературы в большинстве своем опираются на труд Болховитинова и ссылаются в качестве примера на тот же перевод из поэмы Руставели»<sup>131</sup>. ირ. აბაშიძის სიტყვებით, „კულტურული მსოფლიოსთვის „ვეფხისტყაოსნის“ გამოჩენა არქეოლოგიურ აღმოჩენას ჰგავდა. „დიდი მიწიდან“, უცხო, არაქართველთაგან, ეს ფასდაუღებელი განძი, პირველად მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის რუსმა საზოგადო მოღვაწემ ევგენი ბოლხოვიტინოვმა შეამჩნია“<sup>132</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის თვით სათაური—Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии და შინაარსიც ნათლად მიუთითებს, რომ იგი არ არის

<sup>130</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 47—48.

<sup>131</sup> С. Цайшвили, «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели, М., 1966, გვ. 130; შტრ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის თარგმანები, წიგნში: ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 137.

<sup>132</sup> ირ. აბაშიძე, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1977, გვ. 8.



წმინდა რუსთველოლოგიური ხასიათის გამოკვლევა; რუსთველოლოგიური საკითხები ამ ნაშრომის ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენს და უნდა ითქვას, რომ ეს მხარე პირველ რუს ავტორს, თავისი დროის კვალობაზე, ძირითადად დაუძლევიან, რაც, უწინარეს ყოვლისა, მისი ქართველი კონსულტანტების დამსახურებაა, თუმცა მასში გვხვდება როგორც თეორიული, ისე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებიც.

რუსთველოლოგიური ხასიათის ცნობები თუ შენიშვნები ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში გაფანტულია კვლევის მიზანდასახულებისდა მიხედვით (გვ. 15—17, 72, 86—87, 90—91). ისინი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: 1. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორზე. 2. ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი რაობისა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მისი კუთვნილი ადგილის განსაზღვრის ცდა. 3. ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე გადათარგმნის პირველი ცდა. 4. როგორ უნდა გავიგოთ ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის განადგურების შესახებ. 5. ე. ბოლხოვიტინოვი რუსთველური ლექსის შესახებ.

ჩვენც ამ თანმიმდევრობით შევეცდებით გადმოვცეთ და გავაანალიზოთ ე. ბოლხოვიტინოვის რუსთველოლოგიური ღვაწლი, მისი როლი და მნიშვნელობა რუსთველოლოგიის ისტორიაში.

## § 1. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორზე

1. თავდაპირველად ე. ბოლხოვიტინოვი იძლევა თამარის ეპოქის კულტურულ-ისტორიულ დახასიათებას. სხვათა შორის, აქ მას შეცდომით აქვს გადმოცემული თამარისა და ლაშა-გიორგის მეფობის წლები (თამარი მეფობდაო 1171-1198 წლებში,<sup>132</sup> ლაშა-გიორგი კი, თითქოს, 1198-1211 წლებში), ხოლო დავით სოსლანი აშკარად ერევა დავით ულუში და რუსუდანის ძმისწულად (племянник) ჰყავს გამოცხადებული (გვ. 15-17).

<sup>132</sup> უკვე ვ. შადურმა შენიშნა, რომ ე. ბოლხოვიტინოვის ეს შეცდომა გადასულა ნ. მ. კარაშინის „ისტორიასა“ და ა. ა. შიშკოვის რომან „ქეთევანში“ (იხ. В. Шадурн, Друг Пушкина А. А. Шишков и его роман о Грузии, Тб., 1951, გვ. 318).



ამგვარ ფაქტობრივ ცდომილებათა მიუხედავად, მას ძირითადად სწორი წარმოდგენა აქვს თამარის ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ მონაპოვრებზე: «Царствование ея притом замечательно самыми превосходнейшими произведениями Грузинской литературы» (გვ. 15). ამ დებულებას იგი უფრო აღრმავებს ნაშრომის ბოლო გვერდებზე, სადაც ხაზს უსვამს თვითონ თამარის ღვაწლს ქართული მწერლობის აღმავლობისა და წინსვლის საქმეში: «...царствование Тамари(!), царицы Грузинской, соделалось(!) доньше с л а в н о ю э п о х о ю Г р у з и н с к о й л и т е р а т у р ы. Она сама старалась ободрять дарования, а знаменитыми деяниями своими доставляла им материю к сочинениям. Четыре наипаче сочинителя прославились при ней: два прозаические, Мойсе Хонель и Сергис Тмогвели; а два стиховторца, Руставель и Чахрухадзе. Лучшие образцовыя (!) сочинения их уцелели и доньше» (გვ. 72), «два славные романа, сочиненные еще при царице Тамаре, первой Дареджаниани, автора Мойсе Хонеля, а второй Висрамиани, автора Сергис-Тмогвели, Грузины весма(!) высоко ценят» (გვ. 82)<sup>133</sup>.

2. ე. ბოლხოვიტინოვი ამაღლებული პოეტური განწყობილებით გვიხატავს საქართველოს, მის ბუნებას, აღარებს ძველ საბერძნეთს, როგორც პოეზიის კლასიკურ ქვეყანას და მიიჩნევს, რომ საღ შეიძლება ბოდა სხვაგან, თუ არა საქართველოში, დაბადებულიყო პოეზიის გენიოსი: «Не было в свете нации без пиитив, и во всех первые известные сочинители были стиховорцы. Посему не удивительно, что и Грузия издревле имела оных. И естьли (!) справедливо, что величественные и трогательные пред-

<sup>133</sup> ქართული ლიტერატურის ისტორისათვის შეიძლება საინტერესო იყოს ცნობა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ „სათაურის ბოლხოვიტინოვისეული რუსული თარგმანის შესახებ: «Сибрзнесицруе т. е. Мудролгание» (გვ. 82), ხოლო საბას „ქართული ლექსიკონის“ თაობაზე იგი წერს: «Лексикон его можно почесть некоторою библиотекою Грузинской Филологии» (გვ. 78). ანტონ I-ის „წყობილისიკვაობას“ ე. ბოლხოვიტინოვი თარგმნის როგორც «Порядочнословние» (გვ. 80), ხოლო „მზამეტყველებას“ — «Готовый ответ» (გვ. 76). შრდ. გ. ფარულავა, ევგენი ბოლხოვიტინოვი ქართული მწერლობის შესახებ, თსუ სტუდენტთა XIX სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1957, გვ. 89—90; С. Лекишвили, Русский ученый о словаре Сулхана-Сабა, «Веч. Тбилиси», 24.X.1959, № 252.



меты природы прежде всего возбуждают и образуют дарования стихотворства, то где лучше можно было родиться Гению Поэзии, как не в сей очаровательной самой природою стране, больше всех всвете похожей на древнюю Греческую Фесалию, во всех своих предметах стихотворцами обоготворенную? Но в Фесалии один только Олимп: а в Грузии многие необозримые Олимпы сближают землю с небесами» (გვ. 83).

3. ჩვენს პოეტს ე. ბოლხოვიტინოვი იხსენიებს მხოლოდ «რუსთაველს» ფორმით. უკვე ა. შანიძემ შენიშნა, რომ აღრე „რუსთაველი“ იხმარებოდა, მაგრამ ანტონ პირველი „გაურბოდა ფუძეების შეკუმშვას და რუსთაველი შემოიღო. ანტონის მოწაფემ ვარლამ არქიეპისკოპოსმა, შემდეგში ექსარხოსმა, ამ მცდარ ფორმას გზა გაუხსნა რუსეთში. (ანიან ფორმას რუსულ ლიტერატურაში (რუსთაველ) პირველად ვხვდებით ევგენი მიტროპოლიტის (ბოლხოვიტინოვის) წიგნში... ამ წიგნის დაწერის იდეა ავტორს დაჰბადებია ვარლამ არქიეპისკოპოსთან საუბრების დროს და მისგან მოსმენილი ამბების ჩანაწერებით შემდგარა მთელი წიგნი...)“<sup>134</sup>. რაც შეეხება პოეტის სახელს „შოთას“, ე. ბოლხოვიტინოვი მას მთელს წიგნში არსად არ ახსენებს.

ე. ბოლხოვიტინოვის მართებული ცნობით, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ (ისე როგორც ჩახრუხადის „თამარიანი“) დაწერილია თამარის მეფობის დროს, თანაც, ასე ვთქვათ, მისი შთაგონებით: «Особеннаго упоминования (!) достойны две наипаче древния поемы(!) Грузинския, Вепхисткаосани т. е. Барсова кожа, и Тамариани, т. е. хвала Тамаре. Обе писаны за шесть сот лет пред сим, во времена славнаго царствования царицы Тамари(!), по ея, так сказать, вдохновению» (გვ. 86). რუსთველი (და ჩახრუხადეც) თამართან დაახლოებული პირი ყოფილა, თანაც დიდებული (ბოლხოვიტინოვი ხმარობს რუსულ სოციალურ ტერმინს ბოიარს): «Обе сочинены близкими ея боярами, первая Руставаем, а вторая Чахрухадзем» (გვ. 86).

მართლაც, ახალი მასალების მოპოვებისა და შემდგომი კვლევა-ძიების საფუძველზე რუსთველოლოგიური მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „შოთა რუსთველი ყოფილა მეჭურჭლეთ-

<sup>134</sup> ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 78, შწშ.



უხუცესი, თამარის სამეფო კარის დიდი მოხელე, ვაზირი, თამარის  
და დავით სოსლანთან დაახლოებული პირი“<sup>135</sup>.

**§ 2. ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი რაობისა და მსოფლიო  
ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის განსაზღვრის ცდა**

ე. ბოლხოვიტინოვმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრა. ალ. ბარამიძის თქმით, „ტრმინი პოემა ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი ფორმის დასახასიათებლად პირველად გამოიყენა ევგენი ბოლხოვიტინოვმა“<sup>136</sup>, ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. მან მოგვცა ამ პოემის ჟანრობრივი შინაარსობრივი დახასიათებაც: «Содержание... поэмы(!) Вепхисткаосани есть почти романическое<sup>137</sup>, взятое из Индейской истории. Сцены действия подобны Ариостовой поэме, Роланду: но красоты, оригинальность картин, естественность идей и чувствований—Оссиановы» (გვ.86).

აქ რამდენიმე მომენტი იქცევა ჩვენს ყურადღებას. ჯერ ერთი, რომ რუსთველოლოგიის ისტორიაში ე. ბოლხოვიტინოვი პირველი „არჩევს ვეფხისტყაოსანს მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით და რუსთაველს უპირისპირებს არიოსტოსა და ოსიანეს (!)“<sup>138</sup>, თუმცა პ. ბერკოვის ცოტა არ იყოს მკაცრი შენიშვნით, «Трудно сказать, кому принадлежат характерные для литературных вкусов кон-

<sup>135</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 46; იხ. აგრეთვე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ესკიზი, წიგნში: ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 16—17; С. Цайшвили, «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели, М., 1966, გვ. 37.

<sup>136</sup> ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის, წიგნში: „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, V, თბ., 1971, გვ. 68, სქ. 3.

<sup>137</sup> და არა романическое, როგორც ამას ზოგჯერ წერენ ჩვენში (შდრ. В. Шадури, დასახ. ნაშრ., 1966, გვ. 419; ლ. ანდლუღაძე, დასახ. ნაშრ., 1968, გვ. 108). სხვათა შორის, კ. რდულთოვსკი, რომელიც ძლიერ დავალებულია ე. ბოლხოვიტინოვის შრომით, წერს: «Сия поэма сочинена романтическом роде» (Телескоп, 1833, № 5, ч. XIV).

<sup>138</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 4. შდრ. ა. გაწერელია, ვტ-ის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 162—163.

და XVIII века сближения «Барсовой кожи» с «Нейстовым Роландом» и в особенности с поэмами Оссиана. Но сделаны ли они информаторами Евгения или им самим—по сути дела они являются свидетельством недооценки поэмы Руставели, ее оригинальности и художественной прелести»<sup>139</sup>. სამწუხაროდ, ე. ბოლხოვიტინოვის შენიშვნის დედააზრი აქაც არ არის ბოლომდე ამოკითხული.

სინამდვილეში კი, ე. ბოლხოვიტინოვის მთავარი დებულება აქ ისაა, რომ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო - ს ა მ ი ჯ - ნ უ რ ო (романическое) პ ო ე მ ა ა<sup>140</sup>. რ ო მ ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი (содержание) ა ლ ე ბ უ ლ ი ა ო ი ნ დ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ : «Содержание поэмы(!) Вепхисткаосани есть почти романическое, взятое из Индейской истории».

როგორც ვხედავთ, რუსთველოლოგიის ისტორიაში პირველად ე. ბოლხოვიტინოვს გამოუთქვამს ვეფხისტყაოსნის ფაბულის, შინაარსის (содержание) უცხო წარმომავლობის («взятое из Индейской истории») თეორია<sup>141</sup>. აქამდე ვიცოდით, რომ პირველად ნ. მარმასკადა დაერღვია ვახტანგ მეექვსის დებულება „ეს ამბავი სპარსში არ არის... სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“<sup>142</sup> და გულმოდგინედ შეეცადა ეპოვა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მსგავსი ამბავი სპარსულ სინამდვილეში<sup>143</sup>, მაგრამ ეს ცდა უნაყოფო გამოდგა<sup>144</sup>. ამ მხრივ არც ე. ბოლხოვიტინოვის მიერ

<sup>139</sup> П. Берков, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>140</sup> ე. ბოლხოვიტინოვი რომანическое-ს სატრფიალო-სამიჯნუროს მნიშვნელობით რომ ხმარობას, ეს ჩანს მისი ნაშრომის სხვა ადგილიდანაც, კერძოდ, 81-ე გვერდზე იგი წერს: «Много книг, а особливо романических, предложено у них и с персидскаго языка, а каковы на прим: История Александра Великаго и поэма Юсуп-Залиханиани или История Иосифа и Залиханианы Пентефриевой жены, сочиненная Персидскими стихами из Библейской истории». მართალია, „ალექსანდრიანი“ უფრო საგმირო-სარაინდო რომანია, მაგრამ სამიჯნურო ელემენტები მისთვის უცხო არ არის, ხოლო რაც შეეხება „ოსებ-ზილიხანიანს“, იგი მართლაც ტიპური სატრფიალო-სამიჯნურო პოემაა.

<sup>141</sup> ერთი შეხედვით, კაცი იფიქრებდა, რომ აქ თვითონ პოემაში მოთხრობილი ამბავი იგულისხმებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა.

<sup>142</sup> ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, მეორე გამოცემა, თბ., 1975, სყე-სყე.

<sup>143</sup> წერილი ვეფხისტყაოსნის გამო, ვაზ. „თეატრი“, 1890, № 12, გვ. 1—2; Вступительные и заключительные строфы..., ТР, XII, СПб., 1910, გვ. 1.

<sup>144</sup> შდრ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 60—61.



ინდურ ისტორიაზე აღებული გეზია პერსპექტიული, მაგრამ საკითხის ისტორიის შესწავლის დროს ეს ფაქტი მაინც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

რაც შეეხება პომის ბოლხოვიტინოვისეულ ქანობრივ დახასიათებას, რომ ვეფხისტყაოსანი სატრფიალო-სამიჯნურო შინაარსის პოემაა, ჩვენ იგი პრინციპულად სწორ შეხედულებად მიგვაჩნია. თუმცა ე. ბოლხოვიტინოვი აქვე გრძნობს, რომ რაღაც მაინც აკლია მის ნათქვამს, რომ რუსთველის პოემა ქანობრივად მაინც ვერ ეტევა მხოლოდ სამიჯნურო ნაწარმოებთა ჩარჩოში. ამიტომ იგი საგანგებოდ ხაზს უსვამს «почти романтическое»-ს და განაგრძობს: «Сцены действий подобны Ариостовой поэме, Роланду: но красоты, оригинальность картин, естественность идей и чувствований,—Оссиановы» (გვ. 86)<sup>145</sup>. მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის მოქმედების ცალკეული ადგილები ე. ბოლხოვიტინოვს აგონებს და სავლეთევეროპულ საგმირო-სარაინდო ლიტერატურის ძეგლებს, კერძოდ, არიოსტოსა და ოსიანის ჰუმანისტურ, საგმირო-სარაინდო პოემებს<sup>146</sup> და ამაში საძრახისი, ვფი-

<sup>145</sup> ე. ბოლხოვიტინოვისათვის მიწერილ ერთ სტატიაში შოთა რუსთველი შედარებულია ოსიანთან: «...скоро мы увидим на русском языке грузинского Оссиана Руставеля...» (ეურნ. «Друг просвещения», СПб., 1805, ч. I, январь; იხ. Е. Шмурло, დასახ. ნაშრ. გვ. 348, სქ. 5; შდრ. С. Лекишвили, Первооткрыватели Руставели, «Заря Востока», 25. XVI. 65).

<sup>146</sup> რაც შეეხება პოლონელი ავტორის კ. რდულტოვსკის (და არა, როგორც ეს უკანასკნელ ხანებში გაირკვა, ა. ხოძკოს) წერილში (Телескоп, 1833, № 5, часть четырнадцатая, თარგმანი პოლონურიდან ბ. დუბროვსკისა) რუსთველის პომის არიოსტოსა და ოსიანის თხზულებებთან შედარება, ყველა ნიშნით, როგორც ბევრი სხვა დანარჩენი ცნობა (ამის შესახებ იხ. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 60; გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 49; მისივე, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 10; ლ. მეზნაბდე, რუსთველი პოლონეთში, აღ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1974, გვ. 167, ამავე წერილშია გარკვეული კ. რდულტოვსკის ავტორობა), ე. ბოლხოვიტინოვის წიგნაკადან არის აღებული შეფუდართ როგორ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს კ. რდულტოვსკი ე. ბოლხოვიტინოვს: «Содержание взято из Индийской истории. По мнению знатоков (ხაზი ჩვენი, გ. შ.) сцены, обороты и сочетания мыслей, весьма подходят на Ариостова Нейстоваго Орланда; но оригинальность отдельных оборотов, роскошные описания природы, сладостное уныние, естественность и глубокость чувств, представлены в духе Оссиана» (Телескоп, 1833, № 5, часть XIV, გვ. 65—66).

ქრობთ, არაფერია, როგორც ამას პ. ბერკოვი ამტკიცებს: «...по-  
ти дела они являются свидетельством недооценки поэмы Рус-  
тавели, ее оригинальности и художественной прелести»<sup>147</sup>.

შეიძლება კაცმა იდაეოს ოსიანის (III ს. ლეგენდარული ირან-  
დიელი ბარდი) პოემათა მხატვრულ ღირსებებზე, მის ორიგინალო-  
ბასა და სიძველეზე, რადგან იგი, როგორც გვიან გამოიკვია, გამომ-  
ცემლის ჯეიმს მაკფერსონის (1736-1796) ლიტერატურული მისტიფიკა-  
ციაა (გამოცა 1760—1765 წწ. ედინბურგში), ამ მხრივ იგი დღეს  
მისტიფიკაციის ქრესტომათიულ მაგალითად ითვლება,<sup>148</sup> მაგრამ  
მან გარკვეული როლი მაინც ითამაშა ეპოსის განვითარებაში,  
ე. ბოლხოვიტინოვის დროს კი ნათარგმნი იყო თითქმის ყველა  
ევროპულ ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზე ე. კოსტროვის  
მიერ<sup>149</sup> (ცალკეული სიმღერები თარგმნეს აგრეთვე კარამზინმა,  
ი. ზახაროვმა)... და დიდი გავლენაც მოახდინა მთელს ევროპულ წინა-  
რომანტიკულ მწერლობაზე: «Им увлекались все, начиная с Клоп-  
штока, Гердера, Гете и кончая Суворовым и Наполеона», «...мо-  
жет быть, не слишком смело сказать, что Оссиан является ис-  
ходной точкой того романтически-национального направления  
немецкой литературы, которое господствовало почти до поло-  
вины нашего столетия»—წერდა გასულ საუკუნეში ე. ბალობანო-  
ვა და დასძენდა, რომ ოსიანის გავლენის კვალი შეიმჩნევა თვით პუშკი-  
ნამდელ რუსულ ლიტერატურაშიაცო<sup>150</sup>.

<sup>147</sup> П. Берков, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>148</sup> ამის შესახებ იხ. *Encycl. Britannica*, 1959, ტ. 16, გვ. 752; *Der große Brockhaus*, Leipzig, 1932, გვ. 777; *Grand Larousse encycl.*, Paris, 1968, ტ. 8, გვ. 24; *Энци. Брокгауза и Эфрона*, т. 43, 317, БСЭ, М., 1974, т. 18, т. 15, გვ. 259.

<sup>149</sup> ოლონდ ე. კოსტროვმა თარგმნა ფრანგულიდან (მოსკოვი, 1792). ჩვენ ხელთ გვქონდა 1818 წლის გამოცემა: ოსიან, сын Фингалов, бард третьяго века, Галския стихотворения (иначе Эрския или Ирландския), переведены с Французскаго Е. Костровым, издание второе, СПб., 1818; არსებობს ოსიანის პოემათა (სულ 22) გვიანდელი სრული და ზუსტი რუსული თარგმანი, შესრულებული კემპბელის გამოცემიდან (ლონდონი, 1822წ.) ე. ბალობანოვას მიერ: *Поэмы Оссиана Джемса Макферсона*, исследование, перевод и примечания Е. В. Балобановой, СПб., 1890, უბრ. «Пантеон литературы»-ს გამოც.; იხ. აგრეთვე, *Поэмы Оссиана Джемса Макферсона*, перевод и примечания Е. В. Балобановой, издание И. Глазунова, СПб., 1897.

<sup>150</sup> *Поэмы Оссиана Джемса Макферсона*, исследование, перевод и примечания Е. В. Балобановой, СПб., 1890, გვ. 4 შმდ.

ახლა არიოსტოს შესახებ. აღორძინების ეპოქის დიდ იტალიურ ჰუმანისტ პოეტთან რუსთველის ბოლხოვიტინოვისეული პირველი შედარება ფრიად პერსპექტიული აღმოჩნდა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. „ვეფხისტყაოსანს“ და „შმაგ როლანდს“, კ. რდულ-ტოვსკის რომ თავი დავანებოთ, ერთმანეთს უდარებენ, მათ შორის პარალელებს ავლებენ და მათს მსგავსება-დაშორებაზე ლაპარაკობენ ე. კარსტი, ჰ. ჰუმბერტი, უ. მორფილი, ო. უორდროპი, რ. სტივენსონი, დ. ლანგი, მ. ბაურა, შ. ბერიძე, ზ. ავალიშვილი<sup>151</sup>. ასე რომ, გამართლებული არ ჩანს პ. ბერკოვის მიერ ე. ბოლხოვიტინოვისა და მისი კონსულტანტების მისამართით გამოთქმული საყვედური: «Трудно сказать, кому принадлежат характерные для литературных вкусов конца XVIII века сближения «Барсовой кожи» с «Нейстовым Роландом» и в особенности с поэмами Оссиана. Но сделаны ли они информаторами Евгения или им самим— по сути дела они являются свидетельством недооценки поэмы Руставели, ее оригинальности и художественной прелести»<sup>152</sup>.

ნათქვამი რომ შეეჯავბოთ, მაინცადამინც ისე გამოდის, რომ, ე. ბოლხოვიტინოვის განსაზღვრებით, ვეფხისტყაოსანი ჟანრობრივად სამიჯნურო-სატრფიალო (романическое) პოემაა, რომლის ცალკეული სცენები, ეპიზოდები ჩამოჰკავს საგმირო-სარაინდო პოემებს (არიოსტო, ოსიანი). მაშასადამე, რუსი სწავლულის აზრით, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი ს ა გ მ ი რ ო - ს ა მ ი ჯ ნ უ რ ო პ ო ე მ ა ყ ო ფ ი ლ ა .

ბოლოს და ბოლოს, ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი რაობის განსაზღვრისას თანამედროვე რუსთველოლოგიურ მეცნიერებაშიც დაახლოებით ამგვარივე თვალსაზრისია განმტკიცებული<sup>153</sup>. ის კი არა, კაცმა რომ თქვას, ვეფხისტყაოსნის მიმართ აღ. ცაგარლის შემთხვევით ნახმარ

<sup>151</sup> დაწვრილებით იხ. რუსთველა მსოფლიო ლიტერატურაში, I (მთ. რედაქტორი ლ. მეჩაბდევ), თბ., 1976, გვ. 70, 213, 223, 235, 303, 312, 315, 327, 334, 361, 372, 373, 396, 454.

<sup>152</sup> П. Берков, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>153</sup> შდრ. აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველა და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 128; მისივე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 117; С. Цаишвили, Витязь в тигровой шкуре Шота Руставели, М., 1966, გვ. 78—85; დაწვრილებით იხ. აღ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 67—90, 87; მისივე, К определению жанра поэмы Руставели «Витязь в барсовой шкуре», იქვე, გვ. 91—96.

რომანტიკულს (გამოთქმაში «романтико-героническая поэма») ეგებ ე. ბოლხოვიტინოვის რომანическое (სატრფიალო-სამიჯნურო) კიდეც სჯობდეს და კიდეც უფრო ზუსტი იყოს, რადგან რომანტიკული მაინც უფრო გვიანდელი, სულ სხვა ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის გამომხატველი ტერმინია. ასეც რომ არ იყოს, ვეფხისტყაოსნის უანრული რაობის გამორკვევისას ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ამ საკითხზე პირველად გამოთქმულ მოსაზრებას მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს.

**§ 3. პოემის რუსულ ენაზე თარგმნის პირველი ცდა**

ე. ბოლხოვიტინოვს ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის სათაურისა და რამდენიმე სტროფის პირველი რუსული თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, სწორედ მის წიგნში დასტურდება ამისი პირველი ცდა.

პოემის სათაურს ე. ბოლხოვიტინოვი არასწორად თარგმნის: «Вепхисткаосани т. е. Барсова кожа» (გვ. 86)<sup>155</sup>, რომელსაც დიდხანს იმეორებდნენ რუსულად პოემის სხვა მთარგმნელებიც (დ. ჩუბინაშვილი, ი. ბარტდინსკი, ი. ევლახოვი, ა. აბაშიძე, ე. სტალინსკი, რ. შარტი); «ვეფხისტყაოსანი რუსულად Барсова кожа»—ასე აწერია აგრეთვე პოემის მეორე ბეჭდურ (1841 წ.) გამოცემასაც.

პირველად ნ. მარმა მოგვცა პოემის სათაურის სწორი რუსული თარგმანი: Витязь в барсовой коже, ТР, XII, СПб., 1910 და მისი გავლენით კ. ბალმონტმა: Носящий барсову шкуру, М., 1917, Париж; 1933, Тифлис, 1935 და სხვ., თუმცა, როგორც ირკვევა, ვეფხისტყაო-

<sup>154</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873, გვ. 99.

<sup>155</sup> ტრ. რ უ ხ ა ძ ე ვეფხისტყაოსნის თემაზე გოდერძი ფირალიშვილის მიერ დაწერილი პიესის («ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი») შესახებ მსჯელობისას შენიშნავს: „საინტერესოა, რომ ეგვენი ბოლხოვიტინოვი თავის წიგნში («Историческое изображение Грузии...», СПб., 1802) „ვეფხისტყაოსანს“ ეწოდება (sic) «Наследник индийского престола» (გვ. 86). ხომ არ იცნობდა ეგვენი გოდერძის დრამას? ბატონიშვილებმა და საერთოდ იმ დროის ქართველთა ლიტერატურულმა წრეებმა კარგად იცოდნენ ამ პიესის ბედი, იცოდა ის ვარლამ ერისთავმა, მაგრამ რატომ არ გადასცა ცნობები ეგვენის?“ (ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 251). ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში „ვეფხისტყაოსანს“ არსად (და არც მითითებულ 86-ე გვერდზე) არ ეწოდება «Наследник индийского престола».



სნის სათაურის პირველი შედარებით სწორი რუსული თავგანთავსების თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელიც მას ჯერ კიდევ 1835 წლისთვის აქვს შესრულებული: „ვეფხისტყაოსანი რუსულად ასე უნდა ითქვას: «Барсовой кожанос» (კატალოგი, გვ. 47)<sup>156</sup>, ხოლო ყურნალ «Телескоп»-ში 1833 წელს (№5) გამოქვეყნებული პოლონელი ავტორის კ. რდულ ტოვსკის შრომის დუბროვსკისეულ რუსულ თარგმანში ვეფხისტყაოსანს ეწოდება «Покрытый леопардовой кожей»<sup>157</sup>, ი. ევლახოვმა კი, მართალია, „პოემის სათაურად «Барсова кожа» დატოვა, მაგრამ სქოლიოში შენიშნა, რომ რუსულად შეცდომით არის ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი «Барсова кожа»-დ. თვითონ კი გვთავაზობს სათაურის შემდეგ სიტყვასიტყვით თარგმანს: «Герой покрытый (одетый) барсовой кожей»<sup>158</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ პოემის სათაურის ბოლხოვიტინოვისეული პირველი რუსული თარგმანი არაზუსტია, მას მაინც სწორად ესმის ამ სათაურში ჩაქსოვილი ღრმა მეტაფორული აზრი: «Барсовою кожею названа она потому, что Герой в ней прославляемый, Индейский царевич Тарнел, странствовавши по свету, одевался в барсову кожу» (გვ. 86)<sup>159</sup>. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ე. ბოლხოვიტინოვის თარგმანში ვეფხი სწორად არის თარგმნილი *барс*-ად და არა *тигр*-ად. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში და პოემის სხვადასხვა რუსულ თარგმანებშიც დიდხანს, თითქმის უკანასკნელ დრომდე, ვეფხს ხან *барс*-ად თარგმნიდნენ, ხან კიდევ—

<sup>156</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 227—228.

<sup>157</sup> შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 11; В. Шадури, დასახ. ნაშრ., 1966, გვ. 431.

<sup>158</sup> ლ. ანდლუღაძე, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე მთარგმნელები, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 284.

<sup>159</sup> უკვე ლ. ანდლუღაძემ შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის თარგმანებს დიდხანს გაჰყვა ის სათაური, რომელიც პირველად ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნში მიეკუთვნა. პოემის მეტაფორული სახელის თარგმნა, ჩანს, თავიდანვე სიძნელედ იქცა. ლაკონიური ფორმის ძიებამ სათაურში სულ სხვა საგანი ასახა, ვიდრე ეს დედნით იყო გათვალისწინებული. ბოლხოვიტინოვი წერს Барсова кожа-ს და დაზუსტების მიზნით იქვე დამატებით განმარტებას ურთავს. მის გავრცობილ განმარტებაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სათაური სხვა შინაარსს იძენს. მასში ყურადღება ვეფხის ტყავიდან გადატანილია გვირგვინზე, რომელიც ამ ტყავს ატარებს. აქაც თავს იჩენს ქართველი თანაავტორის ხელი“ (ლ. ანდლუღაძე, ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, ძვ. ქართ. მწ. საკითხები, III, 1968, გვ. 111).

გიგრა-დ. ახლა უკვე საყოველთაოდ გაზიარებული ჩანს ვეფხის ბარდის  
გაგება და თარგმნა<sup>160</sup>.

თარგმნის სიძნელის მხრივ ე. ბოლხოვიტინოვი ერთმანეთს უდა-  
რებს „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ და დასკვნის, რომ რუსულ  
ენაზე რუსთველის თარგმნა, მართალია, არც ისე ახლო მომავლის,  
მაგრამ მაინც უფრო იმედიანი საქმეა, ვინემ „თამარიანისაო“:  
«Тамариани т. е хвала Тамаре... большую часть красот своих в  
механизме стихов и в игре Грузинского языка заключающее,  
никогда не может быть переведено ни на  
какой язык с точностью. Напротив того Руста-  
веля можно надеяться увидеть некогда  
и на Российском языке, хотя и нескоро  
(ხაზი ჩვენია—გ. შ.). Потому что высокий слог писателей Тама-  
рина века вообще ныне труден стал и для Грузинов» (გვ. 87).

რუსთველის შაირზე მსჯელობისას სანიმუშოდ ე. ბოლხოვიტინოვს  
თავის წიგნში მოჰყავს ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფი რუსული  
ტრანსკრიფციით და იკვებ იძლევა მის სიტყვასიტყვით რუსულ თარგმან-  
საც: «В пример сему вот самая первая строфа из Руставелевой  
поэмы Вепхисткаосани:

Ромелман шекмна самкаро залита мит злиерита,  
Зе гардмоарсни(!)\* сулита квна зецит монаберита  
Чвен кацта могвца квекана гваквс утвалави перита  
Мисган арс ковли хелмцифе сахита мис мьерита.

Стихи сии значат по буквальному переводу:

Кто сотворил твердь силою своею крепкою,  
И осуществав свыше душу, создал с небеси дуновением,  
Дал челоекам (!) и землю неизчислимо оразноображенную,  
От того суть цари и его суть образ» (გვ. 91).

სულ უკანასკნელ დროს კიევში ე. ბოლხოვიტინოვის არქივში  
აღმოჩნდა ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი სტროფის თარგმანი, რომელიც

<sup>160</sup> ამის შესახებ იხ. მ. შამუღაშვილი, აღ. ქუთათელაძე, ტერ-  
მინი „ვეფხის“ სწორი გაგებისათვის, „ლიტ. საქართველო“, 20.VIII, 1965; დ.  
კობიძე, რუსთველის „ვეფხის“ შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, 1965; ს. ცა-  
იშვილი, „ჩიქი“ და „ვეფხი“ რუსთაველის პოემაში, „კომუნისტი“, 29.XI-  
1965; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 გვ. 157.  
\* ე. შადური Ze гардмоарсни-ს მაგიერად ბეჭდავს Ze гордмопрени (და-  
სახ. ნაშრ., 1966, გვ. 420).



ე. ბოლხოვიტინოვის თავის წიგნში არ ჰქონია შეტანილი და ამდენად უცნობი იყო ჩვენთვის. ამის თაობაზე ს. ლეკიშვილი წერს: „...наиболее интересным документом архива является неопубликованный Болховитиновым перевод еще одной строфы из поэмы Руставели» და აქვე ბეჭდავს ამ უცნობ თარგმანს, რომელსაც წინ უძღვის ბოლხოვიტინოვის მცირე კომენტარი და დედნის ტექსტი რუსული ტრანსკრიფციით: «Из старинного грузинского стихотворца Руставели, писавшего четверослогом. Есть печатное гражданскими буквами при Вахтанге VI.

Вис хатад гвтисад гитквиан философоста\* энани  
 Шен мишвеле ра ткве\*-кмнилса, чачвни\* мабиан ркинани,  
 Брол балахшиса мзებнелман\*, сатни давкарген минани,  
 Машин вер гавзел\* снахле, ац сишореса винани.

\* \* \*

Ты в ком образ божий, как говорит философский язык,  
 Ты помоги пленному, цепьми скованному железными,  
 Хрусталь и лали я искал, но стекло черное потерял и простое,  
 Тогда не терпел я близко быть, а ныне каюсь, что удален»<sup>161</sup>.

როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის მოტანილი ორი სტროფის (1,827 საიუბ.) ბოლხოვიტინოვისეული თარგმანი არ არის მხატვრული თარგმანის ნიმუში, იგი ბწყარედული, სიტყვასიტყვითი თარგმანია, როგორც თვითონ ე. ბოლხოვიტინოვი უწოდებს, „буквальный перевод“ (გვ. 91). ამ მხრივ კი, შეიძლება თამამად ითქვას, ე. ბოლხოვიტინოვს კარგად გაურთმევია თავი დასახული მიზნისათვის, მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი საკმაოდ ზუსტია, ა. გაწერელისა შეფასებით, „იმ დროისთვის თითქმის ადექვატურია“<sup>162</sup>. შესაძარებლად მოვიყვანთ დასახელებული სტროფე-

<sup>161</sup> С. Лекишвили, Первооткрыватели Руставели, Заря Востока, 25. VI. 1965, № 148; აქვეა დაბეჭდილი ამ დოკუმენტის ფოტოკოპირი, რომლის მიხედვითაც გავასწორეთ ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნული სიტყვები, რომელიც მანამდე ასე იყო ამოკითხული და დაბეჭდილი: философоста, ттве, чачвни, мдзებнелман, гавдзел, ხოლო ლ. ან დ ლ უ ლ ა ძ ე ს, а ныне каюсь მაგიერად დაუბეჭდავს а не каюсь (ძვ. ქართ. მწ. საკ., III, 1968, გვ. 109), რაც აბსოლუტურად ცვლის დედნისეულ შინაარსს.

<sup>162</sup> ა. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 163.

ბის ს. იორდანიშვილისეულ ბწკარედულ თარგმანს, რომელმაც დღესდღეობით ყველაზე სანდო თარგმანად ითვლება:

1. Сотворивший Вселенную силой своей могучей,  
Свыше, с неба, вдохнувший дух в существа,  
Нам, людям, даровал мир, полный бесчисленных  
(несметных) красок,

Всяк царь — от него, образом ему подобен.

827. Ты, которого прежние философы считали образом бога,

Помоги мне, пленнику, я скован железными цепями!

Я, искатель хрусталья-рубина, потерял гишер и эмаль.

Прежде я не стерпел вблизи от нее, ныне тоскую в разлуке<sup>163</sup>.

ტექსტიდან გადახვევის ერთადერთ თვალმისაცემ მაგალითად შეიძლება იქნეს მოყვანილი „სათნი დავკარგენ მინანის“ ბოლხოვიტინოვისეული თარგმანი: «... стекло черное потерял и простое», სადაც რუს მთარგმნელს სათი მინის განსაზღვრებად გაუგია და თანაც უბრალო ქვა ჰგონია; სინამდვილეში, პოეტს სათი და მინა აქ ცალკე აქვს ნახმარი, თანაც ისინი ძვირფასი თვლებია. სხვა მხრივ, ბოლხოვიტინოვის ბწკარედს თითქოს წუნი არ დაედება, რაშიაც მისი ქართველი კონსულტანტების უდავო წვლილიცაა.

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან მოჰყავს ე. ბოლხოვიტინოვს ვეფხისტყაოსნის დამოწმებული სტროფები, პოემის რომელიმე ხელნაწერი ნუსხიდან თუ ბეჭდური გამოცემიდან? ერთივე შეხედვით კაცი იფიქრებდა ვახტანგისეული გამოცემიდანო და აი რატომ: ამ დროისთვის (1802 წ.) პოემის ბეჭდური გამოცემებიდან მხოლოდ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი (1712 წ.) არსებობდა, ხოლო მას რომ ე. ბოლხოვიტინოვი კარგად იცნობდა, უკეთ, მისი არსებობის შესახებ რომ კარგად იცოდა, ეს ჩანს ჯერ მის წიგნში დაცული უნიკალური ცნობიდან: «Поэма (!) сня при царе Вахтанге V (!) была в Тифлисе напечатана, однакож вскоре истреблена (!) так, что ныне весьма (!) редко можно видеть печатные оной экземпляры» (გვ. 86. დაწვრილებით ამ ცნობის შესახებ ქვემოთ) და აგრეთვე ზემოთ მოყვანილ მის არქივში აღმოჩენილი ხელნაწერი ცნობიდან: «Есть печатное гражданскими буквами при Вахтанге VI»<sup>164</sup>.

<sup>163</sup> Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, Тб., 1966, გვ. 5, 175.

<sup>164</sup> შესაძლებელია ე. ბოლხოვიტინოვის ხელნაწერში, ისე როგორც მის წიგნში, Вахтанг V ეწეროს, მაგრამ ს. ლეკიშვილი ასე აქვეყნებს ამ დოკუმენტს. შტრ. Заря Востока, 25. VI. 1965.





ამას გარდა, ე. ბოლხოვიტინოვის ცნობით, „რომელმან უკვენა სამყარო...“ არისო: «...самая первая строфа из Руставелевой поэмы Вепхисткаосани». ეს სტროფი კი პოემის არც ერთ ხელნაწერ ნუსხაში არ არის რიგით პირველი<sup>165</sup>. იგი პირველად მხოლოდ ვახტანგისეულ გამოცემაში გვხვდება ამ ადგილზე, მანამდე პოემის უძველეს და უკეთეს ხელნაწერულ მემკვიდრეობაში პირველ სტროფად მიდიოდა ჩანართი „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“... რუსული ტრანსკრიფციით მოყვანილი ქართული ტექსტიც ვარიანტულად ვახტანგისეულს უდგება. ასე რომ, თითქოს არაფერი არ უნდა გვიშლიდეს ხელს დავასკვნათ, რომ ე. ბოლხოვიტინოვი, მისი ქართული კონსულტანტების დახმარებით, ჰომემას იცნობდა და თარგმნიდა ვახტანგისეული 1712 წლის ბეჭდური გამოცემის მიხედვით. მაგრამ ერთადერთი დაბრკოლება აქ არის, რომ ბოლხოვიტინოვის არქივში აღმოჩენილი 827-ე (საიუბ.) სტროფის პირველი სტრიქონი „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილასოფოსთა ენანი“ ვარიანტულად ძლიერ განსხვავდება ვახტანგისეული გამოცემიდან, რომელშიც ეს სტრიქონი ასე იკითხება: „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილასოფოსნი წინანი“. შეიძლება გვეფიქრა, ქართულის უცოდინარ რუს მთარგმნელს ქართული ტექსტის რუსულ ტრანსკრიფციაში კალმისმიერი შეცდომა მოსვლიათ, მაგრამ მის რუსულ თარგმანშიც იგივე აზრია გატარებული: «Ты в ком образ божий, как говорит философский язык». ეგებ პოემის ხელნაწერებში გვეპოვდეს ეს ვარიანტული წაკითხვა? მაგრამ არც ერთ ხელნაწერში, და არც ვახტანგისეულ გამოცემაში „ფილასოფოსთა ენანი“ არ დასტურდება, ყველგან გვაქვს „ფილასოფოსნი წინანი“<sup>166</sup>. ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ზეპირი ინფორმაციის ბრალია, რაც ხელს არ უნდა გვიშლიდეს იმ დასკვნის გამოტანაში, რომ ე. ბოლხოვიტინოვი, უფრო სწორად, მისი ქართული კონსულტან-

<sup>165</sup> შდრ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1960, გვ. 2.

<sup>166</sup> შდრ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეორე, გამოსაცემად მოამზადა ლიანა ქეკელიძემ, თბ. 1961, გვ. 532; ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966, გვ. 276; ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937, გვ. რძლ. სტროფი ყკზ.



ტები ვახტანგისეულ გამოცემას იცნობდნენ მისით სარგებლობდნენ რუს სწავლულთან ერთად რუსთველის პოემის რუსულ ენაზე ამეტიყველების პირველი ცდისას<sup>167</sup>.

**§ 4. როგორ უნდა გავიგოთ ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ**

ჯერჯერობით ეგვენი ბოლხოვიტინოვს ეკუთვნის უძველესი ცნობა ვეფხისტყაოსნის, უკეთ, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების ცდის შესახებ: «Поэма (!) сня при царе Вахтанге V (!)\* была в Тифлисе напечатана, однакож вскоре изтреблена (!) так, что ныне весьма (!) редко можно видеть печатные оной экземпляры» (Ист. изобр, Грузии..., გვ. 86).

ე. ბოლხოვიტინოვის აღნიშნულ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია ალ. ბარამიძემ<sup>168</sup>, რითაც გაამაგრა ამავე საკითხზე პლ. იოსელიანის მიერ შედარებით გვიან მოწოდებული ცნობები.

<sup>167</sup> შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, ქართულის უცოდინარ ე. ბოლხოვიტინოვს როგორ შეეძლო ვეფხისტყაოსანი ეთარგმნაო და ამიტომ მის წიგნში შესული თარგმანი მხოლოდ ქართველი კონსულტანტების ნახელავად გამოაცხადოს, მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი: ე. ბოლხოვიტინოვი, რასაკვირველია, სარგებლობდა ქართველი კონსულტანტების ზეპირი ინფორმაციით სათარგმნელი ტექსტის გასაგებად, მაგრამ წიგნში შესული ბჭკარედული თარგმანის საბოლოო რედაქცია და მისი, ასე ვთქვათ, წმინდა რუსულ ყაიდაზე გამართვა, თვითონ ე. ბოლხოვიტინოვს უნდა ეკუთვნოდა. ამაში საბოლოოდ გვარწმუნებს მის არქივში ს. ლეკიშვილის მიერ მოპოვებული „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან“ სტროფის ბოლხოვიტინოვისეული რუსული თარგმანის ავტოგრაფი.

\* აქ ე. ბოლხოვიტინოვს უზუსტობას ვერ დავწამებთ, რადგან, როგორც ა. შანიძე ამის გამო შენიშნავს, „ვეფხისტყაოსნის პირველი გამომცემელი ძველად ვახტანგ მეხუთის სახელით იყო ცნობილი; მაგ., „ქართლის ცხოვრების“ შესავალი იკითხება: „ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი“. დავით გურამიშვილი ამბობს: „ვახტანგ მეხუთე ქართველთა მეფედ მჯდარია“ („დავითიანი“ მე-5 გამოც., 1931, გვ. 42) და სხვ. (ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ ტფ., 1937, გვ. 396. ).

<sup>168</sup> ალ. ბარამიძე, ერთი ფაქტიური ცნობა ვეფხისტყაოსნის დევნის ისტორიიდან. „ლიტ. საქართველო“, 1936, № 10, გვ. 6; ზოგიერთი ცვლილებით გადაბეჭდილია წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ის-



მაგრამ ე. ბოლხოვიტინოვი პირდაპირ არაფერს გვეუბნება. ვინ იყო, ა. შანიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ამ სამარცხვინო ამბის“ ჩამდენი!

ა. შანიძე ფიქრობს, „მიტროპოლიტს უხერხულად მიუჩნევია მოეხსენებინა, რომ გენიალური ქმნილების მომსპობი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი ამის ჩამდენად გულისხმობდა ანტონ I-ს, რომელიც თავის წყობილ სიტყვაობაში შოთას მელექსეობას იწონებს, „მაგრამ ამაოდ დაშტრა“-ო, მწუხარებით დასძენს თან“ (ხაზი ჩვენია. — გ. შ.)<sup>169</sup>.

ამასვე წერდა უფრო ადრე ალ. ბარამიძე: „რაც არ უნდა იყოს, რუსი მიტროპოლიტისათვის უხერხული იქნებოდა ქართული ქრისტიანული ორტოდოქსების ნიღაბის ახსნა, ბოროტ მოქმედი გათალიკოსის პირადი მხილება“ (ხაზი ჩვენია. — გ. შ.)<sup>170</sup>. დაახლოებით იგივე თვალსაზრისია გატარებული აღნიშნული ნარკვევის მეორე შევსებულ-გადამუშავებულ გამოცემაში (1946 წ.): „...ტიმოთე მთავარეპისკოპოსს მრავალი მიმდევარი ჰყოლია, დღიურ საკითხად ქცეულა გენიალური პოემის პირდაპირ ფიზიკური განადგურება... პლ. იოსელიანის საყურადღებო მოწმობები წყაროებით არ ყოფილა გამაგრებული. ამჟამად ჩვენ გვინდა მოვიტანოთ ერთი, ჯერჯერობით ყველაზე უფრო ძველი ცნობა, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების, კერძოდ, ვახტანგისეული გამოცემის ტექსტის იძულებითი მოსპობის ფაქტს. ეს ცნობა ეკუთვნის თავისი

ტორიდან, I, თბ., 1945, გვ. 401—402 სათაურით: ერთი ცნობა ვეფხისტყაოსნის დევნის ისტორიიდან; იხ. აგრეთვე: მისივე: ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, ნარკვევები, III, თბ., 1952, გვ. 14; მისივე, XVI—XVIII საუკუნეების მწერლობა, წიგნში: კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, პირველი გამოცემა, თბ., 1954, გვ. 319; მეორე გამოცემა, თბ., 1969, გვ. 295; მისივე, შოთა რუსთველი, თბ., 1958, გვ. 375; მისივე, შოთა რუსთველი დამისი პოემა, თბ., 1966, გვ. 500; მისივე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 453.

<sup>169</sup> ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ., 1936, გვ. 296. ე. ბოლხოვიტინოვის აღნიშნული ცნობის შესახებ აქვე ა. შანიძე შენიშნავს: „ეს ცნობა პროფ. ა. ბარამიძემ მომაწოდა“-ო (გვ. 396, სქ. 2).

<sup>170</sup> ლიტ. საქართველო, 1936, № 10, გვ. 6.

დროისათვის გამოჩენილ სწავლულ ბერს, პეტერბურგის მიტროპოლიტ ევგენის და გამოქვეყნებულია 1802 წელს... მიტროპოლიტ ევგენის ციტირებული ტექსტი უდავოდ ცხადჰყოფს „ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის შეგნებულ დევნისა და მოსპობის ფაქტს. სხვა საქმეა, თუ სახელდებით ვინ იყო პოემის მდევნელი. მიტროპოლიტი საკითხის ამ მხარეს არ ეხება (იქნებ, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად). მაგრამ არსებული სახითაც აღნიშნული მოწმობა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენ წარმოდგენას „ვეფხის-ტყაოსნის დევნის ისტორიაზე“ (დაყოფა ჩვენია. გ. შ.)<sup>171</sup>. თავისი მონოგრაფიული ნაშრომის „შოთა რუსთველის“ უკანასკნელ, მესამე გამოცემაში მეცნიერმა საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: „მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში უცდიათ ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსნის მოსპობა... პლატონ იოსელიანის ცნობას ვეფხისტყაოსნის ბეჭდური ცალების მოსპობაზე ადასტურებს მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი... მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში პრაქტიკულად შედგომიან ვეფხისტყაოსნის განადგურების ცდას. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, საკუთრივ ვინ შეეცადა ვეფხისტყაოსნის მოსპობას, ანტონ კათალიკოსი თუ ვინმე სხვა... შესაძლებელია, ანტონი არ იყო ვეფხისტყაოსნის უშუალოდ ხელისმყოფელი, მაგრამ მისი ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა მაინც უცილობელია... კათალიკოს ანტონ პირველს პერსონალურად უთუოდ ეკისრება ზნეობრივი პასუხისმგებლობა ვეფხისტყაოსნის დევნისათვის, თუ ის არ ყოფილა ამ დევნის უშუალო მონაწილე“<sup>172</sup>.

<sup>171</sup> ალ. ბარამიძე, ერთი ცნობა ვეფხის-ტყაოსნის დევნის ისტორიიდან, იხ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, მეორე შეგნებული და გადაუშვებელი გამოცემა, თბ., 1945, გვ. 401—402.

<sup>172</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 453—454 (ხზგასმა-ჩვენია, გ. შ.).

მოჰყავს რა პლ. იოსელიანის ცნობები ანტონ I-ის მიერ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურებაზე, ტრ. რუხაძე 1936 წელს წერდა: „გამოურკვეველი იყო, თუ რით უნდა ეხელმძღვანელა პლატონ იოსელიანს, როცა ეს ცნობები შეადგინა. მაგრამ არის უფრო აღრიცხული ცნობა, სადაც პ. იოსელიანის აზრი დასტურდება, თუმცა არა ანტონის მისამართით. 1802 წელს მიტროპოლიტმა ევგენიმ გამოაქვეყნა შრომა: «Историческое изображение Грузии» (გამოცემულია СП-ს 1802 წ. ამ წიგნზე და ამ ცნობაზე ალ. ბარამიძემ მიმოითთა). ამ შრომაში ავტორი ეხება საქართველოს კულტურული-ლიტერატურულ ცხოვრებას, კარგად იცის ისტორიული მოვლენები, კრიტიკულად უდგება ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემას და სხვათა შორის მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის „ვეფხისტყაოსანზე“. აი ეს ცნობაც... აქედან ჩანს, ყოფილა ცნობა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია ვახტანგის გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“. ალბათ, ამგვარივე რომელიღაც ცნობა გამოიყენა პლ. იოსელიანმა<sup>173</sup>, ან კიდევ „ვეფხისტყაოსნის დაწვავა-განადგურებას ადასტურებს რუსი მიტროპოლიტი ევგენი. მას 1802 წელს დაუბეჭდია წიგნი „Историческое изображение Грузии“, სადაც ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ მეექვსემ დასტამბა, მაგრამ მალე განადგურეს, ასე რომ, — დაასკვნის ავტორი, — ეხლა იშვიათად იშოვება ეს გამოცემა“<sup>174</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა ვეფხისტყაოსნის ეკლესიურ დევნასთან დაკავშირებით დამოწმებული აქვს კ. დონაძეს<sup>175</sup>, ხოლო 1940 წელს გ. იმედაშვილმა გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნა“<sup>176</sup>, რომელშიაც ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი

<sup>173</sup> ტრ. რუხაძე, „აღორძინების პერიოდის“ მწერლობის ცნობები შოთა რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“, თსუ შრომები; III, 1936, გვ. 208.

<sup>174</sup> ტრ. რუხაძე, იდეური ბრძოლა ვეფხისტყაოსნის გარშემო, „მნათობი“, № 12, 1937, გვ. 193 (ზაზი ყველგან ჩვენია, გ. შ.). შდრ. მისივე, ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდეური მოტივები, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1941; მისივე, ვეფხისტყაოსნის გავლენა აღორძინების ხანის ლიტერატურაზე, კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 97.

<sup>175</sup> კ. დონაძე, ვეფხისტყაოსანი და ეკლესია, გაზ. „კომუნისტური განათლება“, 12. IV. 1938, № 32 (454), გვ. 3.

<sup>176</sup> უტრნ. „მებრძოლი ათეისტი“, 1940, № 10, გვ. 10—18; № 11, გვ. 16—23.

აზრია გატარებული: „კულტურის დარბევას ვერც ვეფხისტყაოსნის  
გადაურჩა. ეკლესია თავისი დაკარგული ჰეგემონიისათვის ბრძო-  
ლაში ყოველგვარ ღონეს მიმართავდა. მან სცადა ვეფხისტყა-  
ოსნის როგორც ფიზიკური განადგურება,  
ისე მისი იდეოლოგიური გაყალბება. ასეთი  
დაუნდობელი და უგუნური ბრძოლის ერთი მაგალითი დამოწმებულია  
პლატონ იოსელიანის ცნობით ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვას“ გა-  
მოცემაში, კათალიკოს ანტონ პირველის მიერ ვახტანგის 1712 წლის  
ვეფხისტყაოსნის დაწვის შესახებ... დღემდე გამოურკვეველია, თუ რას  
ემყარებოდა პლატონ იოსელიანი ამ ცნობაში და შესაძლოა თუ  
არა მის წყაროდ დავსახოთ უფრო ადრინდელი  
ანალოგიური მოწმობა ე. ბოლხოვიტინოვის  
წიგნში: «Поэма сия при царе Вахтанге V(!) была в  
Тифлисе напечатана, однакож вскоре истреблена так, что  
ныне весьма редко можно видеть печатные оной экзем-  
пляры» (Ист. изобр.). როგორც ჩანს, ეს ცნობები უნდა ჰქო-  
ნოდა მხედველობაში პროფ. ა. ხახანაშვილსაც, როცა შენიშ-  
ნავდა: «Достоверно известно, что в XVIII веке патриарх  
Антоний I Просвещенный писатель предал сожжению не-  
сколько экземпляров отпечатанной царем Вахтангом «Барсо-  
вой кожи» (Груз. поэт XII века Шота Руставели и его  
поэма «Барсова кожа», ЖМНП, 1895, XII, გვ. 206)<sup>177</sup>.

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორის აზრით, ქართულ ეკლე-  
სიას ვეფხისტყაოსნის იდეოლოგიურ გაყალბებასთან ერთად, მისი  
ფიზიკური განადგურებაც უცდია, რის საბუთადაც  
ჯერ მოყვანილია პლ. იოსელიანის ცნობა და მერე მისი უფრო  
ადრინდელი ანალოგიური მოწმობა ე. ბოლ-  
ხოვიტინოვის წიგნიდან, რაც საფუძვლად უნდა დას-  
დებოდაო ალ. ხახანაშვილის განცხადებას ანტონ I-ის მიერ  
მე-18 ს-ში ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის  
ცალეზის დაწვის შესახებ. მაშასადამე, გ. იმედაშვი-  
ლიც მაშინ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში ანტონ I-ის მიერ ვახტან-  
გისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების შესახებ პლ.  
იოსელიანის მიერ მოწოდებული ცნობის ანალოგიურ მოწ-

<sup>177</sup> გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნა, ქუთრნ. „მე-  
ბრძოლი ათეისტი“, 1940, № 10, გვ. 14—15.

მობას ხედავდა. მაგრამ ამ ნარკვევის უფრო გვიანდელ ანტიკონსერვატიული ვკითხულობთ, თითქოს ავტორი იქ ასკვნიდეს, „რომ რუსთაველის დევნა საქართველოში ატარებდა უფრო მეტად მწიგნობრულ, კლერიკალური თვალსაზრისით პოეტის შემოქმედების კრიტიკის ხასიათს და თუ მას ფიზიკური გამოვლინებაც ჰქონდა ეს ჯერ არ მტკიცდება დოკუმენტალურად“<sup>178</sup>. ეს უკვე ავტორის სრულიად ახალი თვალსაზრისი გახლდათ, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მისი ადრინდელი მტკიცებებისაგან.

ანტონ I-ისთვის წაყენებული ბრალდების მოხსნის მიზნით 1941 წელს კ. კეკელიძემ წამოაყენა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის მიზეზის ახლებური ახსნა: „რომ ვეფხისტყაოსნის სდევნიდნენ, ის რომ, შესაძლოა დასწვეს კიდეც, ეს მოსალოდნელია და დამოწმებულიც არის, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ეს ამბავი ამ დროს 1712 წელს დაბეჭდილ ცალებს დაემართა და არა ხელნაწერებს მასობრივად? ვფიქრობთ, ასეთი რამ მოხდა ეკონომიურ ნიადაგზე იმ პირთა მიერ, რომელნიც წიგნების, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერით ცხოვრების სახსარს პოულობდნენ, დაბეჭდილმა წიგნმა მათ ლუკმა პური გამოაცალა... ამ შემთხვევაში გამეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა ევროპაში, როდესაც მუშები ქარხანა-ფაბრიკებში მანქანებს ანადგურებდნენ“<sup>179</sup>. მაგრამ უკვე ს. ყუბანეიშვილმა შეიტანა ამ შეხედულებაში სერიოზული დაეჭვება: „...ამ მიზნით რომ პოემა მოესპოთ, ის დამატებით შემოწმებას თხოულობს“<sup>180</sup>.

სოლ. ყუბანეიშვილი თავის 1943 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში“ სხვა წყაროებთან ერთად ე. ბოლხოვიტინოვის ცნობაზე დამყარებით იმ აზრს ავითარებს, რომ „ცნობა ვეფხისტყაოსნის „ფიზიკურად“ განადგურების შესახებ ეხება მხოლოდ ვახტანგისეულ გამოცემას და არა ხელნაწერ ცალებს“, რომ „ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის განადგურების

<sup>178</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 724.

<sup>179</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>2</sup>, თბ., 1941, გვ. 127—128, შწმ; III<sup>3</sup>, თბ., 1952, გვ. 121, შწმ; IV<sup>4</sup>, თბ., 1958, გვ. 129, შწმ.

<sup>180</sup> ლიტ. ძიებანი, I, თბ., 1943, გვ. 113.

მიზეზი არის ვახტანგის კომენტარები და არა თვით პოემა, „ცუდი აზრები“<sup>181</sup>.

ამ შეხედულებას იზიარებს მ. გუგუშვილი: „ვეფხისტყაოსნის დევნისა და განადგურების ფაქტი შესაძლოა მართალი იყოს, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს... ჩვენ მართებულად მიგვაჩნია სოლ. ყუბანეიშვილის მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების მიზეზი არის ვახტანგის მიერ პოემის „სალმრთოთ“ გამოცხადება. ამიტომ შესაძლებელია ის მართლაც არ მომხდარიყო ვახტანგის სიცოცხლეში“<sup>182</sup>.

ს. ყუბანეიშვილი და მ. გუგუშვილი, მართალია, გამორიცხავენ ამ საქმეში ანტონ პირველს<sup>183</sup>, როგორც „თავისი დროის კულტურტრეგერს“ (ს. ყუბანეიშვილი), „ძალზე განათლებულ მეცნიერს, კულტურტრეგერს, უანგარო პატრიოტს და უაღრესად ლირიულ პიროვნებას“ (მ. გუგუშვილი), მაგრამ ვახტანგის კომენტარებიანი ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურება მათაც დასაშვებად მიაჩნიათ, თანაც ეს უნდა მომხდარიყო არა ვახტანგის სიცოცხლეში, რადგან ამას სიცოცხლეში მას ვერ გაუბედავდნენო, არამედ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში: „ეს ცნობა მომდინარეობს გიორგი მეფისაგან. რომელსაც იმ პერიოდში უხდებოდა ცხოვრება (1746—1802(!)წ.), როდესაც პოემის პირველი გამოცემის ცალები მოუხსნიათ. ამიტომ, გიორგი მეფის ცნობა ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ შეიძლება ჭეშმარიტებას მოკლებულიც არ იყოს... რა თქმა უნდა, პოემის განადგურება მისი დაბეჭდვის უმალ არ მოხდებოდა. ვახტანგის შრომას ავტორის სიცოცხლეში ასეთ რამეს ვერ გაუბედავდნენ; მეორე მხრით, მასზე უარყოფითი წარმოდგენა თან-

<sup>181</sup> იქვე, გვ. 115, 116.

<sup>182</sup> მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის ჯარშემო, თბ., 1966, გვ. 34.

<sup>183</sup> ერთი საზღვარგარეთელი რუსთველოლოგის მტკიცებითაც, „რასაკვირველია, ისეთი მაღალ-განათლებული კაცისათვის, როგორიც იყო ანტონ კათალიკოსი, საერო წიგნის ასეთი დევნა, დაწვა თუ წყალში გადაყრა, შეუწყნარებელი იქნებოდა, თორემ მას არ უბრძანებია და არც სხვა რომელიმე ბერს აზრადაც არ მოსვლია უფრო „ხორციელი“ რომანი „ვისრამიანი“ მოეგროვებინა და დაეწვა, ან მდინარეში ჩაეყარა“ (ვტ-ის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 16); თუმცა იგივე ავტორი იქვე წერდა: „პირველ ქართულ სტამბაში საერო წიგნის დაბეჭდვა, ცხადია, მონაზონთათვის აღსაშფოთებელი იყო. და საფიქრებელია ნათქვამიც იქნებოდა: ეს საერო წიგნი, ვეფხისტყაოსანი დასაწვავია, ან მდინარეში გადასაყრელიო. და სწორედ ეს ნათქვამი შემდეგ სინამდვილედ გაასაღეს, თითქო, ეს მართლა მომხდარიყოს“ (გვ. 16).



დათანობით უნდა მომწიფებულყო. ამიტომ შეუძლებელი პოემას დაგვიანებით განეცადა განადგურება“<sup>184</sup>.

აქ ერთგვარი წინააღმდეგობაა: თუ დაეუშვებთ ვახტანგის კომენტარებიანი ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნისა და ფიზიკური განადგურების ფაქტს, და ისიც არა ვახტანგის სიცოცხლეში, არამედ იმ პერიოდში, როდესაც გიორგი XII-ს უხდებოდა ცხოვრება, ე. ი. მე-18 ს-ის II ნახევარში, მაშინ მართლაც, ალ. ბარამიძის გამოთქმა რომ ვიხმართ, ანტონ I კათალიკოსის „ერთგვარი მორალური პასუხისმგებლობა მაინც უცილობელია“, სულერთია იყო თუ არა იგი „ვეფხისტყაოსნის უშუალოდ ხელისმყოფელი... კათალიკოს ანტონ პირველს პერსონალურად უთუოდ ეკისრება ზნეობრივი პასუხისმგებლობა ვეფხისტყაოსნის დევნისათვის“, რადგან სწორედ ანტონ I იყო ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელი!

როგორც ვხედავთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ე. ბოლხოვიტინოვი ზოგჯერ დამოწმებულია ანტონ I-დმი პლ. იოსელიანის მიერ წაყენებული უმძიმესი ბრალდების პირველწყაროდ, ამ ბრალდების „წყაროებით გასამაგრებლად“, „დასტურად“, ხოლო ზოგჯერ კიდევ, საერთოდ ქართული ეკლესიისაგან, ქართველი სასულიერო პირებისაგან ვახტანგის კომენტარებიანი ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნისა და ფიზიკური განადგურების, მოსპობის საბუთად.

ასე ნელ-ნელა მოიკიდა ფეხი ჩვენს მეცნიერულ და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართული ინკვიზიციის“ თეორიამ, რომლის ერთ-ერთ მთავარ პირველწყაროდ ეგვინი ბოლხოვიტინოვია გამოცხადებული!

\* \* \*

დანამდვილებით არ ვიცით და ახლა ძნელია ასე დაბეჯითებით ვამტყიცოთ, მართლა მხოლოდ „უხერხულობის გამო“ მიაჩნდა ე. ბოლხოვიტინოვს ამ საქმეში ანტონ I-ის გარევა (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ პლ. იოსელიანი დაჟინებით ორგან ამის ჩამდენად მართლაც ანტონ I-ს მიიჩნევს: კა-

<sup>184</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 115, 116, შნშ. 2.

თალიკოსმა ანტონ პირველმა „ვერ ჰსცნო ღირსება შოთასი, რაგანცა დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის, მომწამვლეელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა. [გიორგი XIII] დიდად ეკვირვებოდა ესრეთსა ბრძნისა კაცისაგან მოქმედებასა“<sup>185</sup>, ან კიდევ, რუსთველის შესახებ ტიმოთე გაბაშვილის ცნობილი მტრული შეხედულების კომენტარში პლ. იოსელიანი კვლავ იმეორებს: „ამა ჰაზრისავე იყო თვთ კათალიკოსი ანტონი პირტჭლი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგისა დროსა 1710 (!) წელსა, ვეფხვს-ტყაოსანნი დაჰსწუნა და შთააყრევინა მტკუარში და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ამის ქართუჭლთა“<sup>186</sup>. თუმცა ასე კატეგორიულად არა, მაგრამ ამის შემდეგ ერთ რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში პლ. იოსელიანი უკვე სხვა მიზეზით ადანაშაულებს ანტონ პირველს, თითქოს სპარსულ-მუსულმანური სახელმწიფო-სარწმუნოებრივი და კულტურული მოძალებისაგან თავდაღწევის მიზნით ანტონ I-მა, როგორც კათალიკოსმა და ქრისტიანული სარწმუნოებისა და ზნეობის დამცველმა, ქართველებს აუკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვაო, თუმცა აქვე დასძენდა, რომ ანტონი თვითონ იყო პოეტი და ესმოდა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობაო; როგორც პოეტს (და არა კათალიკოსს) რომ რუსთველი არ ჰყვარებოდა, ეს მას არ შეეძლო და ამიტომაც რუსთველის პოეზიის სიყვარულს იგი ზეპირად („передавал на словах“) გადასცემდა თავის თანამედროვეებს, რომელთაგან ზოგიერთს ჩემს ახალგაზრდობაში მეც შევხვედრივარო:

«От чего же Руставели гений поэзии заслужил гнев и укор другого гения духовнаго, великаго своими творениями, католикоса Антония, назвавшего его в своих эпиграммах ямбических всеу и тщетно потрудившимся?»

<sup>185</sup> პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., ტფ., 1936, გვ. 181.

<sup>186</sup> მოხილუა წმინდათა და სხტათა აღმოსაელებთისა ადგილთა, ტიმოთესგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, თფ., 1852, გვ. 154, შნშ. 90.

\* იგულისხმება ანტონ I-ის ცნობილი იამბიკოს ბოლო სტრიქონი:

„თვს შოთა რუსთაველისა  
შოთა ბრძენ-იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,  
თუ-სამ ჰსწადოდა, ღუთის-მეტყუელიცა მაღალ,  
უცხო საკერულელ, პიტიკოს მესტიხე,

После шах Аббаса I, разорившего Грузию за сношения с православною Россией при Годунове, цари и народ грузинский являются ослабленными. В видах покорения царства, политика шаха имела целью уничтожить религию Христа и распространением исламизма приковать к Персии и царей и народ. Россия, не знавшая еще и дороги Закавказьем, не могла подать помощи царям, скорбевшим под инвеститурою персидскою. Цари принуждены были для блага народа возлагать на себя знаки инвеституры, как цепи рабства, принимая веру и имя магометанских властителей. Такое печальное состояние, продолжавшееся около 160 лет, довело народ до нравственного падения. Святители церкви, и только святители, как стражи церкви Христовой, защитили его от погибели. Потрясенная нравственность, как укоренившаяся болезнь, с трудом исправлялась. Обычаи, нравы, музыка персов, изгнавшая чистоту христианского учения, потребовала жертвы, и католикос Антоний в начале XVIII(!) века запретил чтение Руставели, увлекавшего народ к поэзии персидскою, тонам музыки лидийской. Народ искал в нем меду и находил отраву. Католикос, неоправдываемый многими, и не без основания, имел некоторое право, желая направить народ не к чтению забавных строф поэта, не в пору времени, а настроить внимание к вещаниям слов веры во Христа. Католикос Антоний сам был поэт и понимал его значение. Не любить Руставели за его поэзию—не мог. Он это передавал на словах и таким современникам своим, из уст которых я слышал во дни юности моей»<sup>187</sup>.

მაგრა ამადო, დაჰმურა საჭუხარს ესე“

(წყობილ-სიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუშლისა კათოლიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართულოჲსა, თფილისს, 1853, პლ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 284; რ. ბარამიძის გამოცემა, თბ., 1972, გვ. 188).

<sup>187</sup> П. Иосселиани, Шота Руставели (1174—1212), газ. «Кавказ», 30 января (12 февраля), 1870, № 13, глава XVIII, гв. 3; არსებობს ცალკე ამონაბეჭდი: П. Иосселиани, Шота Руставели, 1870, გვ. 27.

როგორც ვხედავთ, ამ საკითხზე გამოქვეყნებულ თავის უკანასკნელ ნაშრომში პლ. იოსელიანი უკვე აღარ ლაპარაკობს ანტონ I-ის მიერ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის არც დაწვასა და არც მტკვარში ჩაყრაზე, არამედ სულ სხვა, პრინციპულად ახალ მოსაზრებას გვთავაზობს: ანტონ I-მა, როგორც კათალიკოსმა, აკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა, მაგრამ, როგორც პოეტმა, მისი ფასიციცოდა და მისი სიყვარულიც ჰქონდაო, რასაც იგი თავის თანამედროვეებსაც უმქლავებდა და რაც ზოგიერთი მათგანისაგან პირადადაც მომისმენიაო<sup>188</sup>.

მაშასადამე, პლ. იოსელიანს საბოლოოდ თვითონ შეუცვლია თავისი კატეგორიული ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ფიზიკური განადგურებისა და მოსპობის მცდელობაზე; მიუხედავად ამისა, პლ. იოსელიანის ეს ადრინდელი ცნობა შემდეგში ზოგიერთებმა (ნ. ბერძენოვი, ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე...) კიდევ უფრო გააღრმავეს და ხელი შეუწყვეს მის გავრცელებას<sup>189</sup>.

\* \* \*

ამჟამად ჩვენ აქ არ გამოვუდგებით სამეცნიერო ლიტერატურაში ამტყდარ კამათს ანტონ I-ის მისამართით წაყენებული ამ ბრალდების გამო. ზოგი, მაგალითად კ. კეკელიძე, მას ეჭვის თვალით უყურებს, არ სჯერათ სწავლული კათალიკოსის ასეთი მოქმედებისა; ზოგიც კიდევ, მაგალითად ივ. ჯავახიშვილი, მას სარწმუნოდ მიიჩნევს.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ვეფხისტყაოსნის „ანტონ კათალიკოსმა სიტყვიერი და წერილობითი პაექრობა არ აკმარა, არამედ

<sup>188</sup> ამის შესახებ იხ. მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 31, 38.

<sup>189</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში, „ლიტ. ძიებანი“, 1, თბ., 1943, გვ. 110 შმდ.; მისივე, ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 20 შმდ.; მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 31 შმდ.



თხზულების სრული მოსპობა და ცეცხლით დაწვა ამჯობინებდა. კიდევ: „მე-18 საუკუნეში... მის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსმა „ვეფხისტყაოსნის“ სრული მოსპობაც კი სცადა“, თუმცა, და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, სახელოვანი ისტორიკოსი იქვე დასძენდა: „მაგრამ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის და მას ისეთივე დიხჯი და გულდასმით შესწავლა და კვლევები სჭირდება, როგორც შოთას დიდებულ სახელს შეეფერება“<sup>190</sup>.

კ. კეკელიძე კი პირდაპირ მოითხოვდა: „ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, დროა გადაისინჯოს საკითხი იმ ბრალდების შესახებ, რომელსაც ანტონს უყენებენ, ვითომც მან დასწვა, თუ მტკვარში ჩაყარა, 1712 წელს დაბეჭდილი ცალები ვეფხისტყაოსნისა. ანტონი, რომელიც ასეთი მაღალი შეხედულების იყო რუსთაველზე... ამგვარ ბარბაროსობასა და ველურობას ვერ გამოიჩინდა... პირველი ასეთი ვერსიის შემქმნელი, შეიძლება, უკანასკნელი მეფე, გიორგიც იყო, რომელიც „სიყრმიდანვე არ სწყალობდა ანტონს, და ვითარცა კაცსა, პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, მოიხსენიებდა არა კეთილად (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 181)“<sup>191</sup>.

მაგრამ ამჯერად ამ კამათს ვერ გამოვუდგებით, თუნდაც იმიტომ, რომ ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძისათვის პირველწყარო მაინც პლ. იოსელიანია, ე. ბოლხოვიტინოვი კი პირადად ანტონ I-ს არც ადანაშაულებს; აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ მოწოდებული ცნობა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის განადგურებაზე სინამდვილეში მომხდარ რაღაც რეალურ ამბავს უნდა ემყარებოდეს და ამ მხრივაც იგი დღემდე უძველესი პირველწყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებს!



<sup>190</sup> ივ. ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო, კრებ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 11—13 (ხაზგასმა ავტორისა); (ამ დროს (1935 წ.) ივ. ჯავახიშვილი ე. ბოლხოვიტინოვის ცნობას არ იცნობდა!); გადაიბეჭდა კრებულში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, ილ. აბულაძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 6, 8.

<sup>191</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 125—126, სქ. 4.

მაგრამ მაინც რას ნიშნავს ე. ბოლხოვიტინოვის „вскоре истреблена“? ალ. ბარამიძისა და ა. შანიძის მოსაზრებას თუ ვირწმუნებთ, ისე გამოდის, რომ ე. ბოლხოვიტინოვი „უხერხულობის გამო“ მოერიდა თავისი სულიერი მოძმის „დასახელებას“. „მხილებას“, თორემ ისე „ექვი არ არის, რომ იგი ამის ჩამდენად გულისხმობდა ანტონ I-ს“-ო!

ცნობილია, რომ ვახტანგ VI-მ თბილისში მის მიერვე დაარსებულ სტამბაში ვეფხისტყაოსანი 1712 წელს დაბეჭდა, ანტონ I კი კათალიკოსის ტახტზე პირველად 1744 წელს ავიდა (მეორედ—1764 წელს!) და უნდა ვივარაუდოთ, მაშინვე ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს არ ამოიღებდა მიზანში (თუკი ეს საერთოდ ჩაიღინა მან), აქ მას სხვა არანაკლებ დიდი საქმეები დახვდა მოსაგვარებელი<sup>192</sup>, ყოველ შემთხვევაში, პოემის ვახტანგისეული გამოცემიდან სამ ათეულ წელზე მეტი იყო გასული და დროის ეს მონაკვეთი მაინცდამინც მთლად «вскоре» არ უნდა იყოს<sup>193</sup>. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მკვლევრებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის ცდა მე-18 ს. მეორე ნახევარში გადმოაქვთ, მაშინ უფრო ნათლად იჩენს თავს ეს წინააღმდეგობა. სხვათა შორის, ალბათ ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ ხანს ალ. ბარამიძეს ე. ბოლხოვიტინოვის ეს ციტატი შეკუმშულად მოაქვს: «Поэма сия... истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры»; ან კიდევ: «поэма сия нынче истреблена»<sup>194</sup>. ე. ბოლხოვიტინოვის ციტატიდან «вскоре»-ს ამოღება მეცნიერულ ღირებულებას უკარგავს მას! დედნისეული ტექსტის ეს ნიუანსი გამორჩენილია შმიდტისეულ გერმანულ თარგმანშიაც<sup>195</sup>.

<sup>192</sup> ანტონ I-ის მოღვაწეობის შესახებ იხ. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 372—385. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ნიშნის ფიცი, თბ. 1977.

<sup>193</sup> ამ მომენტისთვის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე შ. ო ნ ი ა ნ ს ე რ თ თავის დაუბეჭდავ ნაშრომში: «ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის ერთი ეპიზოდი XVIII საუკუნეში და კათალიკოსი ანტონ I».

<sup>194</sup> ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 500, 501; მ ი ს ი ე ვ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 453, 455; შდრ. მ ი ს ი ე ვ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1958, გვ. 375.

<sup>195</sup> შდრ.: «Unter dem Zaren Wachtang V. wurde dieses Gedicht in Tifflis gedruckt; aber so geschwind vergrissen, daß man heut zu Tage sehr selten gedruckte exemplare zu sehen bekommt (Georgien..., 1804, გვ. 141).

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისათვის მ. ბროსეს, და ბინაშვილისა და ზ. ფალანდიშვილის მიერ შედგენილ პროგრამაში ვახტანგისეულ გამოცემასთან დაკავშირებით ნათქვამია: „გამოცემა ესე სრულებით განიყიდა. ამისავე მრავალნი წიგნნი დაიკარგნენ ჟამსა ტფილისის აღებისა და დაწვისა ჩ ლ ქ ე (1795) წელსა ზოგა აღამაჰმად ხანისაგან“<sup>196</sup>. ამ ცნობაზე დამყარებით, ი. მეგრელიძე 1964 წელს წერდა: «Это сообщение опровергает предание, которое и без того вызвало сомнение, якобы католикос Грузии Антоний I (1719-1778 (!) (о нем известно как о человеке, высоко ценившим поэтическое дарование Руставели) был причастен к уничтожению его книги»<sup>197</sup>, რამაც 1966 წელს გამოიწვია ალ. ბარამიძის შენიშვნა: „ვეფქრობთ, დასკვნა არ გამომდინარეობს ციტირებული ტექსტიდან. აღამაჰმად ხანის შემოსევისა და თბილისის გადაწვის შედეგად რომ ბევრი წიგნი, მათ შორის ვეფხისტყაოსნის წიგნი დაიღუპებოდა, ამას მტკიცება არ უნდა, ისედაც ცნობილი ამბავია. პროგრამაში ნათქვამია, ვეფხისტყაოსნის „მრავალი წიგნნი დაიკარგნენო“. პლატონ იოსელიანი კი მოგვითხრობს პოემის შეგნებული მოსპობის ცდაზე. ამასვე ადასტურებს ევგენი ბოლხოვიტინოვი («поэма сия была истреблена»). დაკარგვა ერთია და მოსპობა, განადგურება კი სხვა“<sup>198</sup>. ამის შემდეგ (1970) გამოქვეყნდა ი. მეგრელიძის წიგნი „რუს-

<sup>196</sup> პროგრამის ტექსტი გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ: И. Мегрелидзе. Из истории Руставелологии, «Литературная Грузия», 1964, № 12; მისივე, ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის პროგრამა, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 20. VIII; ამ პროგრამის შესახებ ცნობა იხ. ელ. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, კ. ჯეკელიძის საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 248—249, სქ. 1; მისივე, გ. ავალიშვილის „მგზავრობა“, თბ., 1967, გვ. 015.

<sup>197</sup> Лит. Грузия, 1954, № 12, გვ. 69—70.

<sup>198</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველა და მასა პოემა, თბ., 1966, გვ. 501. სხვათა შორის, ალ. ბარამიძის ამ შენიშვნას გამოთავის ნაბეჭდ ნაშრომთა სიაში ი. მეგრელიძე წერდა: «В русском тексте «Программы» (см. № 168) читаем: «Множество экземпляров (издания поэмы Руставели 1712 г.; И. М.) сделалось жертвою пламени, объяв.цего столицу Грузии. в 1795 г.» В грузинском же тексте (№ 180) сказано: დაიკარგნენ (пропали). Однако автор одной известной монографии о Руставели, ссылаясь на оба эти издания, безосновательно заявляет: დაკარგვა არ ნიშნავს მოსპობას. — „დაკარგვა ერთია და მოსპობა, განადგურება კი სხვა“. Пропали не значит были уничтожены... «потеря — одно, а уничтожение другое». На деле рукописи сгорели, т. е. были уничтожены» (ი. მეგრელიძის ნაბეჭდ ნაშრომთა სია, კრებ. „ქველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 172, სქ. 1.).



თველოლოგები“, რომელშიაც ავტორი უკვე ლაპარაკობს ვახტანგის  
სეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების მიზეზებზე<sup>199</sup>, რა-  
საც მოჰყვა ალ. ბარამიძის ახალი შენიშვნა: „ეტყობა, ამ შენიშვნამ  
გაჭრა. თავის ახალ ნაშრომში (რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ.  
18-19) ი. მეგრელიძე უკვე აღიარებს ვეფხისტყაოსნის „ფიზიკური გან-  
ადგურების“ ფაქტს“<sup>200</sup>.

ასე იყო თუ ისე, ი. მეგრელიძის აზრით, ვახტანგისეული ვეფხის-  
ტყაოსნის „ფიზიკური განადგურების“ ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მიზე-  
ზებთან ერთად, მაინც „1895 (უნდა იყოს: 1795. გ. შ.) წელს თბილისის  
დაწვა“ (იქვე, გვ. 19), რასაც ე. ბოლხოვიტინოვის «вскоре изстреб-  
лена», რასაკვირველია, არ გულისხმობს, რადგან ვეფხისტყაოსნის ვა-  
ხტანგისეული გამოცემიდან (1712 წ.) ალა-მაჰმად ხანის შემოსევიდან  
(1795 წ.) რვა ათეულ წელზე მეტი იყო გასული. ჩვენს მიზანს კი სწო-  
რედ ე. ბოლხოვიტინოვის ცნობის რეალური მნიშვნელობის გამორკვევა  
წარმოადგენს, ხოლო ე. ბოლხოვიტინოვი კი პირდაპირ წერს: «Поэма(!)  
сня при царе Вахтанге V была в Тифлисе напечатана, однакож  
вскоре изстреблена»-ო. მაშასადამე, პოემის დაბეჭდი ცალეების განა-  
დგურება მალე, პოემის გამოცემისთანავე, ე. ი. 1712 წლის მახლო-  
ბელ ხანებში მოხდაო!

\* \* \*

ჯერ ვიკითხოთ, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს, ხომ არ  
არის აქ პირველი ყრუ გამოძახილი იმ ცნობისა, თითქოსდა სწორედ  
ამ დროს ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს კათალიკოსი დომენტი  
მესამე (1704—1724, 1738—1742) დევნიდაო, რომელმაც შემდეგში  
თ. ჟორდანიას ნაშრომებში გამოჟონა: „ჩვენამდე მოღწეულის ცნო-  
ბებით, — წერდა თ. ჟორდანიას 1884 წელს, — ამ წიგნის დაბეჭდვამ  
დაჰბადა ცილობა მაშინდელი კათალიკოსის  
დომენტი მესამის და ვახტანგის შორის და ამ  
ცილობამ ორად გაჰყო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რო-  
მლის მოთავე იყო ასკეტური შეხედულებისა და წმინდის ცხოვრე-  
ბის მიმდევარი კათალიკოსი, უწოდდა ამ წიგნსა ჯოჯოხეთის კარად,

<sup>199</sup> ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 18—19. შტრ.  
მისივე, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი ქართული კულტურის შესახებ, „მაცნე“. № 4,  
1977, გვ. 73, 82—83.

<sup>200</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 455.



გამხრწნელად ზნეობისა, თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთაველს — მქადაგებლად და მოციქულად ეშმაკისა, რომლისა გამო ს დ ე ვ ნ ი დ ნ ე ნ და ბ ე ჯ დ ი ლ ს შ ო თ ა ს წ ი გ ნ ს, ხ ე ვ დ ე ნ და ს წ ვ ა ვ დ ე ნ; (ხაზი ყველგან ჩვენია. — გ. შ.) მაგრამ მეორე უმრავლესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა თვითონ მეფე, წინააღმდეგ ამისა, ღირსეულად აფასებდა პოეტს და მისს ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომლებზედაც მოწინააღმდეგენი უთითებდნენ, ალეგორიულად ხსნიდნენ<sup>201</sup>. ამავე ცნობას იმეორებს თ. ჟორდანი 1885 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშია<sup>202</sup>, მართალია, აქაც წყაროს დაუსახელებლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამას წერს თ. ჟორდანი — ჩინებული წყაროთმცოდნე და ძველი ქართული მწერლობის პირველხარისხოვანი მკვლევარი, თანაც უთითებს, „ჩვენამდე მოღწეულის ცნობებითო“, არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს, ყოველ შემთხვევაში, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რატომ უნდა ყოფილიყო იძულებული თ. ჟორდანი, რომ ასეთი პიროვნების დამკინებელი და თან უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ-ისტორიული ამბავი, და ისიც ასე დეტალებში, შეგნებულად და წინასწარ განზრახვით მოეგონებინა<sup>203</sup>, ამისი მაგალითი თ. ჟორდანიასთან სხვა შემთხვევაში ჩვენ არ გვგვულება, მისი მეცნიერული რეპუტაცია ამ მხრივ დღემდე შეუზღალავია<sup>204</sup>. ყოველ შემთხვევაში, თუკი შეიძლება დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მდევნელად ე. ბოლხოვიტინოვი უეჭველად ანტონ I კათალიკოსს გულისხმობდაო, თუმცა, როგორც ვნახეთ,

<sup>201</sup> თ. ჟორდანი, მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში, ჟ. „ივერია“, 1884, № 2, თებერვალი, გვ. 48.

<sup>202</sup> თ. ჟორდანი, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართული სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში, ჟ. „ივერია“, 1885, № 10, ოქტომბერი, გვ. 109—110.

<sup>203</sup> სულ სხვაა ამ მხრივ ზ. ჭიჭინაძე, რომელსაც იგივე ცნობები გადმოუცია, ამ შემთხვევაში, ალბათ, თ. ჟორდანიასზე დამყარებით. იხ. ზ. მთაწმიდელი [ჭიჭინაძე], შოთა რუსთაველი (სურათით) 1172—1216, 1884, გვ. 50; მისივე, ვეფხისტყაოსნის ცენზორი და მისი დევნა, ჟ. „რუსთაველი“, 1918, № 1, გვ. 9.

<sup>204</sup> შდრ. მ. გუგუშვილის სიტყვებს: „ეს ცნობები საუკუნენახევარზე მეტი ხნით არის დაცობილი დომენტის ეპოქას და მათი უტყუარობა, რასაკვირველია, დაუჩერებელია“ (დას. ნაშრ., გვ. 29). თუკი თ. ჟორდანიას ცნობა რაიმე წყაროს ემყარება, როგორც ის თვითონ წერს, მაშინ საუკუნენახევარი მას ვერაფერს დააკლებს, ხოლო თუ იგი ნატყუარია, მას ვერც საუკუნენახევარი მიუმატებს რამეს.

ამის მამხილებელი არავითარი პირდაპირი საბუთი არ არსებობს. მაშინ მეტი წარმატებითა და საბუთიანობით შეიძლებოდა გვემოციკებინა, რომ ე. ბოლხოვიტინოვის „вскоре изтреблена“ 1712 წლის მახლობელ ხანას გულისხმობს და იგი სწორედ ამ დროს „ვახტანგ VI-სა და კათალიკოსს დომენტი მესამეს შორის ამტყდარი ცილობის“ შორეული გამოძახილი უფროაო, თუკი საერთოდ დავუშვებდით, რომ დომენტი ან ანტონ კათალიკოსმა მართლა ჩაიღინეს „ასეთი სამარცხვინო ამბავი“. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ამის ჩამდენად არც დომენტი კათალიკოსს გულისხმობდა და არც, მით უმეტეს, ანტონ I კათალიკოსს და აი რატომ:

ე. ბოლხოვიტინოვის ასგვერდიან წიგნაკში ძალზე ხშირად გვხვდება კათალიკოს ანტონ I-ის სახელი. უფრო მეტიც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მწერალს არ ღირსებია ამ წიგნში იმდენი ადგილი, რამდენიც ანტონ I-ს (გვ. გვ. 70, 73, 76, 79, 80, 81, 83, 85, 89, 90). აქ მოთხრობილია, და საკმაოდ ზუსტადაც<sup>205</sup>, ანტონის ბიოგრაფიული საკითხები, კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობა, რუსეთში მისი გადასახლების, იქ მოღვაწეობისა და უკან დაბრუნების ამბავი, დაწვრილებითაა მიმოხილული ანტონის სამწერლო-შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მისი როგორც ნათარგმნი ძეგლები (ბაუმეისტერი, ვოლფი, არისტოტელე, მხითარ სევასტიელი, კვინტოს კურციოსი...), ისე ორიგინალური ნაწერები (მზამეტყველება, წყობილსიტყვაობა, ღვთისმეტყველება 4 წიგნად, მარტირია, ქართული გრამატიკა, შესხმანი...), საუბრობს ანტონის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (სკოლების გახსნა, ქართულ ანბანში ახალი ასოს გამოგონება-ჩამატება<sup>206</sup> და სხვ.), კოლექციონერობაზე: «Покойный Преосв. Католикос Антоний старался, сколько мог, по всей Грузии отыскать и собрать все то что писано на Грузинском языке. «Я, говорит он между прочим в своей Грамматике, не жалел всего своего имения на то, чтобы доставать всякия Грузинския

<sup>205</sup> ოღონდ ანტონის გარდაცვალების თარიღში დაშვებულია უზუსტობა: 1788 წლის მაგივრად წერია 1790 (გვ. 80).

<sup>206</sup> «Католикос Грузинский Антоний изобрел и присовокупил к азбуке еще одну новую букву, но она не вошла еще в повсемственное употребление» (გვ. 70); იგულისხმება გ ასო. ამის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თსუ, 1964, გვ. 9.



книги, покупая иные из них дорогою ценою, а списывая». Сия драгоценная коллекция книг по кончине его досталась нынешнему Преосвященному Католикосу Антонию, и при его доме находится» (გვ. 83). ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ე. ბოლხოვიტინოვს აძლევს უფლებას ხმამაღლა განაცხადოს: «Эпоху возстановления, или основательнаго паки введения наук в Грузию можно полагать с половины прошедшаго столетия; и сею щастливою эпохою одолжена Грузия царю Ираклию и покойному Преосвященному Католикосу Антонию. Первый был Августом, а последний Меценатом и Поллионом своего века. Преосвященный Антоний от природы имел страстную склонность к наукам наипаче словесным, и любил особенно свою национальную Литературу» (გვ. 73).

როგორც ვხედავთ, ე. ბოლხოვიტინოვი ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მოღვაწეობის პერიოდს საქართველოს ისტორიის ბედნიერ ეპოქას უწოდებს და მათ ადარებს ძველი რომის უბრწყინვალეს მოღვაწეებს ავგუსტ კეისარს, მეცენატსა და პოლიონს, რომლებმაც შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში. ცხადია, ანტონ I-ზე ასეთი მაღალი შეხედულების შემუშავებაში ე. ბოლხოვიტინოვს ხელი შეუწყო მისმა ერთ-ერთმა მთავარმა კონსულტანტმა ვარლამ არქიეპისკოპოსმა (ქსნის ერისთავის დავითის ძემ), რომელიც, როგორც ცნობილია, ანტონ I-ის უერთგულესი მოწაფე და მისი მეცნიერულ-ლიტერატურული ტრადიციების გულმოდგინე გამტარებელი იყო<sup>207</sup>. ე. ბოლხოვიტინოვს თითქოს მისგან გადასდებიაო ანტონ I-დმი უდიდესი თაყვანისცემისა და მოკრძალების გრძნობა. მოვიგონოთ რას წერდა ანტონის შესახებ ვარლამ არქიეპისკოპოსი მოსკოვში 1805 წელს დაბეჭდილი „სადღესასწაულოს“ წინასიტყვაობაში: „... უწმიდესმან კათოლიკოსმან საქართველოსამან ანტონი, მეფის იესეს ძემან, მრავლითა ღვწითა და გულს-მოდგინებითა ისწრაფა განჰშვენება ენათა საქართველომსათა, და მრავალნი წიგნნი ფრიად სახმარ-სასარგებლონი თვით-ჰქმნნა და მრავლნივე წიგნნი საძილოსოქონი, საღმრთისმეტყველონი და სა-

<sup>207</sup> ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 385; ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964, გვ. 7.



ეკლესიონი სხუათაგან ენათა ქართულსა ენასა ზედა გარდმოსწავლილ ბულ ჰყო ფრიადითა კეთილ-შეწყობილებითა“. ამასვე იმეორებს ვარლამი მის მიერ შედგენილ ანტონის ეპიტაფიაში (წყობილსიტყუაობა, 1853, გვ. XVI)<sup>208</sup>.

ძნელი წარმოსადგენია, ამ სიტყვების პატრონს ე. ბოლხოვიტინოვისათვის თავისი დიდი მასწავლებლის შესახებ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ასეთი ველური მოსპობის ცნობა მიეწოდებინოს, ამ უკანასკნელს კი იგი მაინც თავისი დროის მეცენატად და პოლიონად<sup>209</sup> გამოეცხადებინოს, ხოლო თუ დაუმალა, მაშინ საიდან უნდა გაეგო რუს მეცნიერს ეს ფაქტი, რომ ამ „სამარცხვინო ამბის“ ჩამდენად მას მაინცდამაინც ანტონ I ეგულისხმა? მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება გვითხრან, ეს მაინც არაა საბუთა, ეგებ ორივე სასულიერო პირმა ამ შემთხვევაში მართლაც შეკრა პირი? ამიტომ უმთავრეს საბუთად ჩვენ მაინც სხვა რამ გვეგულება. აი ისიც:

საქმე ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ერთ ადგილს (გვ. 61), რომელიც წინ უსწრებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების შესახებ მის მიერ მოწოდებულ ცნობას (გვ. 86). ამ წიგნის III თავში «О богослужении и церковных книгах Грузинских и о их Церковной типографии» ე. ბოლხოვიტინოვი წერს: «...Вахтанг Леонович, царь Карталинский, дабы сохранить впредь священное писание от порчи переписок, предпринял напечатать оное. Для сего призвал он из Валахии типографщика и употребил великое иждивение для заведения Грузинской типографии в Тифлисе. Типография была заведена; но он успел напечатать только некоторые пророческия книги, и еще для церквей Евангелие, Апостол, Псалтирь, Служебник, Требник, Молитвенник и Часослов; а за сим вскоре напали на Грузию Персиане и при опустошении все сие заведение его истребили. Едва несколько печатных экзампляров спа-

<sup>208</sup> შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 8, 76.

<sup>209</sup> მეცენატზე რომ არაფერი ვთქვათ, პოლიონი (75 წ. ძვ. წ.— 4 წ. ახ. წ.) გამოჩენილი რომაელი ორატორი, პოეტი და ისტორიკოსი, ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც რომში დააარსა პირველი საჯარო ბიბლიოთეკა და სახელი გაითქვა მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველობით.

сено от погибели. Сам царь Вахтанг и знатнейшие дворянские оставя все, с 1724 года переехали в Москву под защиту России»<sup>210</sup> (გვ. 61, იხ. სურ. 15).

ხაზგასმული სტრიქონები<sup>211</sup> ფრაზის გასაოცარი მსგავსებით, თითქოს მისი ბუნებრივი გაგრძელებააო, გვაგონებს წიგნის 86-ე გვერდზე ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის შესახებ მოწოდებულ ცნობას. შევუღაროთ: «Поэма сия при царе Вахтанге V была в Тифлисе напечатана, однако ж вскоре истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры» (იხ. სურ. 16).

აქ შეიძლება გვკითხონ, თუკი ე. ბოლხოვიტინოვი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების მიზეზადაც ამავე ამბავს გულისხმობდა, რატომ იქვე 61-ე გვერდზე არ ჩაწერა პოემის ვახტანგისეული გამოცემის მოსპობის ცნობაც, რაღა 86-ე გვერდისათვის შემოინახა და იქ გადაიტანა იგიო, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომ დააშორა ასე ეს ორი ცნობა ერთმანეთსო? მაგრამ საქმე ისაა, რომ 61-ე გვერდზე ე. ბოლხოვიტინოვი საუბრობს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი ქართული სასულიერო ხასიათის წიგნების განადგურებაზე და წიგნის შესაბამის თავსაც ასე ჰქვია: «О богослужении и церковных книгах Грузинских и о их Церковной типографии» და, ბუნებრივია, ვეფხისტყაოსნის რუსი სწავლული ბერი ღვთისმსახურებასა და სასულიერო წიგნებს შორის ვერ მოაქცევდა. ამიტომაც ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული ბეჭდური გამოცემის განადგურების შესახებ იგი გვი-

<sup>210</sup> ამის შემდეგ ე. ბოლხოვიტინოვი რამდენჯერმე კვლავ უბრუნდება ვახტანგისეული სტამბის საკითხს: «Ныне находится в Тифлисе и Церковная и Гражданская типография, оставшаяся от заведенной там покойным царем Ираклием. Но первое (წიგნში კორექტურული შეცდომით ნერვო წერია) заведение той и другой было еще при царе Вахтанге V, которой в обеих напечатал по несколько книг» (გვ. 71); «Есть у них и на собственном их языке сочиненныя многиа светскія книги, из коих несколько и напечатано гражданскими буквами частью еще при царе Вахтанге, а частью при царе Ираклие» (გვ. 81).

<sup>211</sup> შლრ. შმიდტისეულ გერმანულ თარგმანს: „...als plötzlich die Perser in Grusien einsielen, und da sie alles um sich her verheerten, auch diese Buchdruckeren zerstörten—kaum einige gedruckte exemplare wurden vom untergange getet. Selbst Zar Wachtang und die vornehmsten Geistlichen verliessen alles und begaben sich im Jahre 1724 nach Moskwa unter den Schutz Rußlands» (Georgien..., 1804, გვ. 99—100).



III.

О богослуженіи и церковныхъ книгахъ Грузинскихъ и о ихъ церковной типографіи.

*Вахтангъ*

*Леоновичъ*, царь Карталинскій, дабы сохранишь впредь священное писаніе оныхъ порчи переписокъ, предпріялъ напечатать оное. Для сего призвалъ онъ изъ Валахіи типографщика и употребилъ великое иждивеніе для заведенія Грузинской типографіи въ Тифлисъ. Типографія была заведена; но онъ успѣлъ напечатать только нѣкопорыя пророческія книги, и еще для церквей Евангеліе, Апостоль, Псалмьрь, Служебникъ, Трєбникъ, Молишвенникъ и Часословъ; а за симъ вскорѣ напали на Грузію Персіане и при опуспощеніи все сіе заведеніе его испребовали. Едва нѣсколько печатныхъ экземпляровъ спасено оныхъ погибели. Самъ царь *Вахтангъ* и знаннѣйшіе духовные, оставя все, съ 1724 года переѣхали въ Москву подъ защиту Россіи.

სურ. 15. ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა ვანტანგისეული სტამბის წიგნის განადგურებაზე 1723 წელს (Ист. изобр., თავი III, გვ. 61)

VII.

О Грузинскомъ стихотворствѣ и музыкѣ.

Поѣма сія при царѣ *Вахтангъ II*. была въ Тифлисъ напечатана, однакожь вскорѣ изпреблена такъ, что нынѣ весьма рѣдко можно видѣшь печатные оной экземпляры.

სურ. 16. ე. ბოლხოვიტინოვის ცნობა ვანტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ განადგურებაზე (Ист. изобр., თავი VII, გვ. 86)

7. გურამ შარაძე

ამბობს წიგნის შემდგომ შესაფერის თავში, რომელსაც ჰქვია «Описание зинском стихотворстве и музыке».

როგორც ვხედავთ, ე. ბოლხოვიტინოვი ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი სასულიერო შინაარსის წიგნებისა და ვეფხისტყაოსნის განადგურების მიზეზს ერთ შემთხვევაში თბილისში ვახტანგის მიერ სტამბის გამართვიდან (1709 წ.), ხოლო მეორე შემთხვევაში, ამავე სტამბაში ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვიდან (1712 წ.) მალე მომხდარ კატასტროფას უკავშირებს, რის გამოც 1724 წელს ვახტანგი თავისი დიდი ამალით რუსეთს გადავიდაო. მაშასადამე, უკვე ზუსტად გარკვეულია ამ ისტორიული კატასტროფის ქრონოლოგიური ჩარჩო, ესაა 1709 // 1712 — 1724 წლები. ყველა ნიშნით აქ იგულისხმება შინაური აშლილობის ხელისშეწყობით გარეშე აგრესორული ძალების მიერ 1723 წელს თბილისზე თავდასხმა, დედაქალაქის აოხრება და ვახტანგისეული სტამბის ნანგრევებად ქცევა, მისი მიწასთან გასწორება და, ბუნებრივია, ვახტანგისეული ნაბეჭდი წიგნების განადგურებაც. აი, რას წერს ამ რეალური ისტორიული ფაქტის შესახებ ქართული სტამბის მეისტორიე ქრ. შარაშიძე (თავს ნებას ვაძლევთ მოვიყვანოთ ვრცელი ამონაწერი):

„1722 წ. გაშლილი პოლიტიკური ამბები სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და აღმოსავლეთ საქართველოსათვის სულ უფრო კატასტროფულ ფორმებში ყალიბდებოდა. ქართლ-კახეთის შინაურმა ქიშპობამ მწვავე შეტაკებებისა და სისხლისმღვრელი ომის სახე მიიღო. კახთ მეფემ განჯის ხანი, ერევნის ჯარი და ლეკები მოიშველია; ვახტანგმა — რაჭველ-იმერელნი. ქართლის მეფის მდგომარეობას ერისთავთა მოღალატეობა ართულებდა. იმ დროს, როდესაც თბილისის ბედი ბეწვზე ეკადა, ვახტანგს ხაფანგს უგებდნენ საკუთარი ძმებიც — იესე და სვიმონი. ასეთ ვითარებაში კახთა მეფემ კონსტანტინე-მაჰმად-ყული-ხანმა დაიპყრო ქართლი, რომელსაც მიესიენ ლეკები, „იავარ-ჰყვენეს და მრავალნი ტყვეჰყვეს“ (ვახუშტი).

ქართლის აყვავებულ დედაქალაქს და მთელი საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრს — თბილისს უსაშინელესი ბედი ეწია. როცა თბილისში ლეკები შეიჭრნენ, თბილისის ციხის მცველი ყიზილბაში თათრები თავიანთი სიმაგრიდან გამოვიდნენ და, უპირველეს ყოვლისა, სიონის ტაძარს მიესიენ, დასწვეს იგი და დაამსხვრიეს ღვთისმშობლის ძველი ხატი. ამის შემდეგ მთელი თბილი-

სის მოსახლეობა უსასტიკესი ძალადობისა და სისხლისღვრის რეზად გადაიქცა:

„ჰოი, რაოდენნი ქალწულნი განიხრწნენ და ჭეშმარიტნი დედანი და მოწესენი ბოროტებითა, და სისხლი მართალთა დაითხიხ უსჯულოთაგან (ქს ჩღკგ, ქრ. უია)“, ამბობს ვახუშტი [საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913] (გვ. 130).

ხსენებული ამბები მოხდა 1723 წლის მაისში, როცა თითქმის 4 თვის ცვალებადი წარმატებით წარმოებული ბრძოლის შედეგად თბილისი მტერს დანებდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო იმ ენით გამოუთქმელ უბედურებათა და ნამდვილი სისხლის წვიმებისა, რომელიც ოსმალთა მოსვლას და 12 წლით აღმოსავლეთ საქართველოში თარეშს მოჰყვა.

1724 წელს ვახტანგი თავისი ქვეყნის ცეცხლმოდებულ მიწა-წყალს გაეცალა. „მას ქართლში არ ედგომებოდა და არც რუსეთს წასვლის გარდა სხვა გზა გააჩნდა (თურქეთის ბატონობის სფეროში მყოფ იმერეთში მას არავინ დააყენებდა). 1724 წლის 15 ივლისს იგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოდგაწეებითა და დიდი ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა“ (საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, გვ. 372).

1723 — 1744 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის შეუწყვეტლად მძვინვარებდა დამპყრობელთა აუტანელი ძალადობა. მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვახტანგის სტამბა ნანგრევებში იყო დამარხული (ხაზი ჩვენია.— გ. შ.).

მხოლოდ 1748 წელს, სამკედრო-სასიცოცხლო გმირული ბრძოლების შედეგად, ქართლ-კახეთის ხალხმა კვლავ გადაჭრით იწყო ანარქიისა და დეზორგანიზაციის მდგომარეობიდან გამოსვლა. ერეკლე II და ანტონ I კათალიკოსი შეერთებული ძალით შეუდგნენ მოშლილი ეროვნული და მოქალაქეობრივი ცხოვრების აღდგენას. მთელ რიგ სხვა სასწრაფო ღონისძიებებთან ერთად მათ, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგის სტამბის აღდგენა გადასწყვიტეს. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: „ესეცა შესძინეს-გამოიძიეს დიდის ცდით და გამოიღეს სტამბა, რომელ პირველ მეფეს ვახტანგს მიეღო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონი ბატონიშვილმა, პატრიარქმა კეთილმან... იგულსმოდგინა ფრიად. შემეწე ექმნა მეფე ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს



წიგნითა ქართლი (პაპუნა ორბელიანი, გვ. 417 (ქართლის ცხოვრება, II, სპბ, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854)<sup>212</sup>.

იგივე ავტორი გვამცნობს: „ვახტანგმა თავის სტამბას საგანგებოდ აუგო სახლი, რომელსაც მე-18 ს. 48-50 წწ. რამდენიმე საბუთი იხსენიებს (თ. ყორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 98-99, 103). „სტამბის სახლები“ აგებულნი ყოფილა მეფის სასახლის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ანჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა მდებარე ფართობზე. პლ. იოსელიანის ერთი ცნობით, ეს სახლი 10 ოთახიან შენობას წარმოადგენდა (Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, თბ., 1866, გვ. 247). ვახტანგის სტამბის სახლებს თბილისთან ერთად სრული განადგურება ხვდა წილად“<sup>213</sup>

დავით გურამიშვილმა დაგვიხატა ამ დროს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემზარავი სურათი:

„...დანამარცხეს ქართველთ ჯარი  
ვახტანგ მეფე გააქცივეს.  
თე თ რ ს ა მ ტ კ ვ ა რ ს ა შ ი თ ლ ა დ ლ ე ბ დ ა  
რ ა ც მ ა თ ს ი ს ხ ლ ი დ ა ა ქ ც ი ვ ე ს !  
...ოსმალო თიფლის შევიდა,  
კარები დახვდათ ღია რა,  
...ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა,  
რაჭაზედ გარდაიარა“<sup>214</sup>.

მაშასადამე, თბილისზე თავდასხმის შედეგად ვახტანგისეული სტამბისა და ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების, მათ შორის, ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების შესახებ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ მოწოდებული ცნობები ისტორიული ფაქტებითა და წყაროებით დასტურდება. ეს უნდა მომხდარიყო 1723 წელს!

ე. ბოლხოვიტინოვის ცნობაში შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს მომხვდურ მტრად მხოლოდ სპარსელების გამოცხადება («...а за сим вскоре напали на Грузию Персиане» შმიდტისეული თარგმანით: «...als plötzlich die Perser in Grusieneinsielen.., გვ. 99), ყიზილბაში თათრები ამ დროს თბილისის ციხეში იყვნენ ჩაყენებულნი, ხოლო თბილისის გარედან ჯერ კონსტანტინე ერეკლეს ძე კახთ ბატონ-

<sup>212</sup> ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722); თბ., 1955, გვ. 75.  
<sup>213</sup> იქვე, გვ. 94—95.  
<sup>214</sup> დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 90—92.



ნის (მამადყულობანის) მიერ დაქირავებული ლეკები დაესხნენ და მერე ოსმალთა ჯარი<sup>215</sup>, მაგრამ მთავარი აქ მინცისაა, რომ ამ ბარბაროსული აქტის, გნებავთ, „სამარცხვინო ამბის“ ჩამდენად ე. ბოლხოვიტიჩოვი ანტონ I კათალიკოსს კი არ გულისხმობს (მოვიგონოთ, რომ ანტონი 1720 წელს დაიბადა და ამ დროისთვის სამიოდე წლის ჩვილი თუ იქნებოდა მხოლოდ!), არამედ მოძალადე მტრებს, დამპყრობ აგრესორებს; ამ ცნობაში რუსი სწავლული საქართველოს დედაქალაქში 1723 წელს დატრიალებულ საშინელ ეროვნულ ტრაგედიაზე მიგვანიშნებს, ამ დროს თბილისის დაწვასა და აოხრებასთან ერთად მიწასთან გასწორებული ვახტანგის სტამბისა და ამ სტამბიდან გამოსული ჯერ სასულიერო შინაარსის წიგნების («...он успел напечатать только некоторые пророческия книги, и еще для церквей Евангелие, Апостол, Пластирь, Служебник, Требник, Молитвенник и Часослов») განადგურებაზე მოგვითხრობს: «... при опустошении все сие заведение его истребили. Едва несколько печатных экземпляров спасено от погибели» (Ист. изобр. Грузии..., გვ. 61), ხოლო შემდეგ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მოსპობის ამბავს გადმოგვცემს: პოემა დაბეჭდვიდან «...скорее истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры», (იქვე, გვ. 86).

ე. ბოლხოვიტიჩოვი აქ გასაოცარი სიზუსტით ჩამოთვლის ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ ბიბლიური და საეკლესიო შინაარსის წიგნებს: სახარება (1709 წ.), დავითნი (1709, 1711, 1712, 1716 წწ.), სამოციქულო (1709 წ.), კონდაკი (1710 წ.), ლოცვანი (1710, 1717 წწ.), კურთხევანი (1713 წ.), ჟამნი (1710, 1717, 1722 წწ.); რომელთა ცალები განადგურებულა 1723 წლის ისტორიული კატასტროფის დროს<sup>216</sup>. ე. ბოლხოვიტიჩოვის მოწმობით, ასეთივე ბე-

<sup>215</sup> შდრ. საქართველოს ცხოვრება, ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის აგან, თბ., 1913, გვ. 130 შმდ; საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948, გვ. 372. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 75. იხ. აგრეთვე გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960, გვ. 114—120. აქვეა გამოქვეყნებული „ვახტანგ VI-ის ამაღის 1724 წლის ნუსხა“, გვ. 206—233.

<sup>216</sup> ამ წიგნთა ჩვენამდე მოღწეული ცალების აღწერილობა იხ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 9—32; ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 130 შმდ.



დი წვევია ვახტანგის სტამბაში 1712 წელს დაბეჭდილ ვეფხისტყაოსნის  
ოსანს<sup>217</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი აქვე ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანისადმი“ ქართველთა განსაკუთრებულ სიყვარულს, იმდენად, რომ მიუხედავად დამპყრობელთა მიერ საუკუნეების მანძილზე მოყენებული ბევრი ტანჯვა-ვაებისა, დამონების ცდისა, ქვეყნის მრავალგზის აოხრებისა და ამასთან, სულიერი კულტურის უამრავი ძეგლის მოსპობა-განადგურებისა (მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანიც), მათ მაინც ვერ მოახერხეს ქართველთა მეხსიერებიდან ამ ორი უძველესი ქართული პოემის ამოშლა, რომლებმაც ჩვენამდე მთლიანად მოაღწიესო: «Обе у Грузинов сохранены доныне в целости, и чрез столько веков различных угнетений, порабощений, опустошений их отечества, истребивших многие их памятники, не могли изгладиться из их памяти» (გვ. 86).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ნაბეჭდ ცალთა განადგურების მიზეზი, ე. ბოლხოვიტინოვის ცნობით, ყოფილა მომხვედური მტერი, ბარბაროსი აგრესორები და არა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ე. ბოლხოვიტინოვის გამოთქმით, «Меценат и Поллион своего века», ანტონ I კათალიკოსი<sup>218</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ცნობის სხვაგვარი გაგება ნაძალადევა და ხელოვნური, იგი „ქართული ინკვიზიციისა“ თუ „აუტოდაფეს“

<sup>217</sup> ჩვენამდე მოუღწევია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის 20-მდე ცალს. მათ შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 44—45; ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ., 1937, გვ. 395—403; ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 143 შმდ; ა. აბრამიშვილი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მე-19 ცალი და გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალები, წიგნში: ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 8 შმდ; გ. შარაძე, თ. ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 409—410; მისივე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი რუსთველის კაბინეტში, წიგნში: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძეგლები, თბ., 1973, გვ. 101—103.

<sup>218</sup> იხ. გ. შარაძე, რამდენიმე საკითხი ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის გარშემო, ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს X სამეცნიერო სესია (23—28. XII. 1976), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 17—18.

პირველწყაროდ არ გამოდგება. ამასთან უნდა გვახსოვდეს, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკური განადგურების საკითხი არასგზით არ უნდა გავაიგიოთ ვეფხისტყაოსნის გარშემო ძველ საქართველოში, კერძოდ XV—XVIII საუკუნეებში, მიმდინარე მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, უეჭველად დადასტურებული ფაქტია<sup>219</sup>.

### § 5. ე. ბოლხოვიტინოვი რუსთველური ლექსის შესახებ

ჩვენ აქ არ შევუდგებით ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიაში ევგ. ბოლხოვიტინოვის როლისა და დამსახურების დახასიათებასა თუ საერთო შეფასებას. ამაზე საკმაო სპეციალური ლიტერატურაა შექმნილი<sup>220</sup>. ვიტყვით მხოლოდ, რომ ევგ. ბოლხოვიტინოვის ვერსიფიკაციულ შეხედულებებს ქართული ლექსის ბუნების დასადგენად საკმაო გავლენა მოუხდენია მის შემდეგდროინდელ ავტორებზე, ხოლო ზოგიერთთან უცვლელადაც კი მეორდება მისი ძირითადი დე-

<sup>219</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 450 შმდ.; მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966.

<sup>220</sup> ე. დოდაშვილი, ქართული ლექსწყობა, „ივერია“, 1890, № 209, № 210, № 270, № 272, ვადაბეჭდილია: ძველი ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), გ. მიქაძის რედ., თბ., 1954, გვ. 99—133; А. Х а х а н о в, Очерки, вып. III, М., 1901, გვ. 224; გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 47, 175—176; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 50—54, 292—293; შდრ. მისივე, რჩეული ნაწერები, II, 1965. გ. მიქაძე, ქრესტომათია..., თბ., 1954, გვ. 24—27, 216; მისივე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 4—9; გ. გაჩეჩილაძე, ქართული ლექსი ინგლისურთან შეპირისპირებით, „მნათობი“, № 10, 1967, გვ. 152. გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 91—92; 108—109; ა. გაწერელია, ქართული ვერსიფიკაცია და რუსთველის ლექსი, „ლიტ. საქართველო“, № 15, 14. IV. 1972; მისივე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 162—169. ა. ხინთიბიძე, ქართული ლექსის ბუნებისათვის, თბ., 1976, გვ. 8. მხედველობაშია მისაღები ს. გორგაძის განცხადება: „...ვევენი მიტროპოლიტი... პირველად შეხებია კლასიკური მეტრიკის თვალსაზრისით ქართულ ლექსს. სამწუხაროდ, იმ ნაშრომს ჩვენ ხელი ვერ მიგვიწვდა“ (ს. გორგაძე, ქართული ლექსი, ტფ., 1930, გვ. 137, შნშ. 4).

ბულებები<sup>221</sup>, იმდენად, რომ ერთი ასეთი შემთხვევის გამო დაშვილი შენიშნავდა: „...რუსულს სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ერთი პაწაწა წიგნაკი, რომელსაც ეწოდება სახელად «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии» (ამ მიტროპოლიტის ევგენის წიგნაკს ბროსსე ქებით იხსენიებს). ამ წიგნაკის ავტორი თავის დროის დიდად ცნობილი მეცნიერი, მიტროპოლიტი ევგენი, ორიოდ სიტყვით ჩვენს ლექსწყობასაც შეეხება. მართალი უნდა სთქვას კაცმა და დიდს გონების გამჭრიახობას, საგნის ღრმად ცოდნას იჩენს პატივცემული ავტორი. მისმა დაკვირვებამა და იშვიათმა სმენამ, სწორედ გითხრათ, დიდი სარგებლობა მოგვითანა ჩვენ. ნეტარხსენებულ მიტროპოლიტის სიტყვები განმეორებით არს გადაბეჭდილი პატარა წიგნაკში—«Шота Руставели, грузинский народный поэт», რომელიც აგრეთვე რუსულად ტფილისში არის დაბეჭდილი (ვგონებ, ბ-ნ სტალინსკის მიერ, „კავკასის“ ნარედაქტორალისა). ბოდიშს ვიხდი ამ წიგნაკის ავტორის წინაშე, ვინც უნდა იყოს იგი. მაგრამ უნდა კი ვაღიარო, რომ საოცრად მიმაჩნია ამ ვაჟბატონის საქციელი. მას სიტყვასიტყვით გადმოუღია თავის წიგნაკში მიტროპოლიტის წიგნაკი დამყოველის ფერი, რაც კი შეეხებოდა ქართულს ლექსთწყობას, ასე გასინჯეთ, მაგალითებიც კი ისევ ისინი აქვს მოყვანილი და ერთის სიტყვითაც კი არ იხსენიებს იმ შესანიშნავს კაცს, რომელსაც ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საგნის შემუშავებაში“ (დაყოფა და ხაზგასმა ჩვენია—გ. შ.)<sup>222</sup>.

ა. გაწერელია ქართული მეცნიერული ვერსიფიკაციის სათავესთან ე. ბოლხოვიტინოვს ხედავს<sup>223</sup>, ან უფრო ზუსტად, მისივე სიტ-

<sup>221</sup> მაგალითად, Д. Чубинов, О Грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Барсова кожа, ვაზ. «Закавказский Вестник», 1850, № 41—42; Е. Сталинский, Шота Руставели — грузинский народный поэт, Тифлис, 1885; ამის შესახებ იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 176; ა. ვაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 59—61.

<sup>222</sup> ქართული პოეტიკის ქრესტომათია..., გვ. 108—109.

<sup>223</sup> შდრ. „...ჩვენ ერთგული ვრჩებით ქართული ვერსიფიკაციის იმ გენერალური და თანაც ტრადიციული ხაზისა, რომლის დასაწყისში ე. ბოლხოვიტინოვი დგას და რომლის წიგნი 1802 წელს დაიბეჭდა. ქართულ მეცნიერულ ვერსიფიკაციას 170 წლის ისტორია აქვს“ (ა. ვაწერელია, ქართული ვერსიფიკაცია და რუსთველის ლექსი, „ლიტ. საქართველო“, № 15, 1972).

ყვებით, „...XIX ს-ის ქართული ვერსიფიკაცია, როგორც მეცნიერული დისციპლინა იწყება ე. ბოლხოვიტინოვით“<sup>224</sup>. ე. ბოლხოვიტინოვის ნარკვევით, ამბობს მკვლევარი, „დიდხანს ითვლებოდა ავტორიტეტულ წყაროდ მათთვის, ვინც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებით დაინტერესდებოდა. 80-იან წლებამდე არც ერთ სხვა ავტორს არ უთქვამს პრინციპულად ახალი რამ: პირიქით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოლხოვიტინოვთან შედარებით შემდგომი ავტორები უფრო პრიმიტიულ და მცდარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ“<sup>225</sup>, ხოლო ა. ხინთიბიძის შენიშვნით, „ქართულ ლექსის ს ი ლ ა ბ უ რ - ტ რ ა უ რ ო ბ ი ს თ ე ო რ ი ა პ ი რ ვ ე ლ ა დ, მამუკა ბარათაშვილის ტრაქტატის დაწერიდან 70 წლის შემდეგ წამოაყენა ქართულის არმცოდნე პირმა, თუმცა განსწავლულმა სასულიერო მოღვაწემ ევგენი ბოლხოვიტინოვმა. შემდეგ იგი განავითარეს ნ. გულაკმა, კოტე დოდაშვილმა, სერგი გორგაძემ და სხვ.“<sup>226</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის აზრით, «просодия Грузинской Поэзии вся тоническая, на подобие Греческой и Латинской», რადგან ქართული ენა მდიდარია მრავალმარცვლიანი სიტყვებით და მახვილიც მრავალნაირი აქვსო. მასში მეტწილად იხმარება პირიხო-დაქტილური მეტრი (— — — —), თუმცა ძველი ბერძნული პოეზიის ყველა დანარჩენი მეტრიც ენათესავება მას. იგი ქართულ ლექსებში ამჩნევს ც ე ზ უ რ ა ს ა ც. ბერძნულისაგან განსხვავებით, ქართულში არის რ ი თ მ ა (აქ ლექს იგი ბოლოში ეკვრის როგორც ევროპულ ენებში), რომლის ხმარება ქართველებმა სპარსელებისაგან ისწავლესო. ამას გარდა, ე. ბოლხოვიტინოვის შენიშვნით, ქართულ ლექსსა და ძველ რუსულ პოეზიას შორის მეტრების მხრივ მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ა ო.

ე. ბოლხოვიტინოვს განხილული აქვს ქართული ლექსის. მისი სიტყვებით, „ყველაზე გავრცელებული“ 9 სახეობა, აქედან ერთი — სასულიეროა (ი ა მ ბ ი კ ო), დანარჩენი რვა — საერო (შ ა ი რ ი, ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი, რ უ ლ ი<sup>227</sup>, ძ ა გ ნ ა კ ო რ უ ლ ი, წ ყ ო ბ ი

<sup>224</sup> ა. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 163.

<sup>225</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 50.

<sup>226</sup> ა. ხინთიბიძე, ქართული ლექსის ბუნებისათვის, თბ., 1976, გვ. 8.

<sup>227</sup> ა. გაწერელიას შენიშვნით, უნდა იყოს რვეული (ქართ. კლასიკური ლექსი, გვ. 52).



ლი, ფისტიკაური, ლექსი, ტაეპი). ამით გარდა, სული პოეზიისგან ქართულში ნასესხებ „ძალიან ბევრი ახალი გვარის ლექსების“ ერთ ნიმუშად მას მოაქვს „ერთი ექვსტაეპიანი სიმღერა“ „რა ია გამიწყრა...“, რომელიც არის „ბესიკის სტროფა ლექსიდან „სევდის ბაღს შეველ შენაღონები“; ე. ბოლხოვიტინოვი „სიმღერის“ ავტორს არ ასახელებს“<sup>228</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი მის მიერ განხილულ ქართული ლექსის ცხრავე სახეობას ურთავს მეტრულ სქემებს და ნიმუშებს, რომლებიც მოყვანილია ჯერ ქართულად (რუსული ტრანსკრიპციით) და შემდეგ მოსდევს მათი ბწყარედული რუსული თარგმანები. ნიმუშებად დამოწმებულია ანტონ I კათალიკოსი, რუსთველი, ჩახრუხაძე...<sup>229</sup>

ე. ბოლხოვიტინოვის „იშვიათი სმენა“ (კ. დოდაშვილი), ან კიდევ, ა. გაწერელიას გამოთქმით, „სუფთა სმენა“<sup>230</sup> რუსთველის შაირსაც მისწვდენია. მისი ცნობით, ძველ ქართულ საერო ლექსებს შორის «Первый род, самый древний и употребительнейший, называется Шаири. Он состоит из четверостиший, имеющих на конце каждого стиха одинакую рифму- Метр его есть следующий:



და საილუსტრაციოდ მოყვანილია „რომელმან შექმნა სამყარო...“ ჯერ ქართულად (რუსულ ტრანსკრიპციით) და მერე ბწყარედული რუსული თარგმანი (გვ. 90—91), შესრულებული „იმ დროისთვის თითქმის ადეკვატურად“<sup>231</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის შრომის ვერსიფიკაციული ნაწილი პირველად დაიწუნა თეიმურაზ ბაგრატიონმა და თან ეს ნაკლი მის ქართველ კონსულტანტებს გადააბრალა: „კვალად გეკითხათ ესეცა არხიმანდრიტისა ევგენიოსისა მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენებული პოემისათვის ქართულისა გვართა ანუ ზომათათვის ლექსათსა. მე ეგრე ვგონებ, არა ზედ-მიწევნიოთ გა-

<sup>228</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>229</sup> Е. Болховитинов, Историческое изображение Грузии..., VII—О Грузинском стихотворстве и музыке, გვ. 84—96. შდრ. მისი ქართული თარგმანები: ა. გაწერელია, ქართ. კლ. ლექსი, თბ., 1953, გვ. 51—53. გ. მიქაძე, ქართ. პოეტიკის ქრესტ., თბ., 1954, გვ. 24—27.

<sup>230</sup> ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 53.

<sup>231</sup> ა. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1974, გვ. 163.

მოდებულ იყოს, ვინაიდან უფალმან ეგვიპტეში  
 ნოზ თვით არა უწყოდა ქართული ენა და ოსტატი-  
 ცა მისი, რომელიცა ქართულისა ენისა პომისა თვისებისა იყო მოძ-  
 ღვარი, მსწავლელი და მაჩვენებელი, რომელთამე კანონთა მისა,  
 მე ვგონებ და იკვნივ ვარ, რომელ არა იყო იგი ზედ-  
 მიწევნით მეცნიერ ქართულისა ენისა და  
 წერილთა შინა გამოცდილი და ამისთვის ეგვიპტეში  
 ვერა ეგრეთ გულის-ხმა ჰყო და აჩვენა წესი, ვითარცა არს გვარი  
 ზომისა ქართულთა სტიხთა“, — წერდა თეიმურაზი მ. ბროსეს  
 1832 წელს (ლენ. E-53), ან კიდევ, მისივე სიტყვებით: „ვგონებ ეგ-  
 ვენიოსმან... არა უწყოდა და არცა სმენოდა ოდესმე ვნა ქართული-  
 სა გალობისა, ღიღინისა ანუ სიმღერისა. ეგ გენოზ ამას ში-  
 ნა არა არს დამნაშავე, არამედ გზისა მაჩვენ-  
 ებელი მისი“ (იქვე)<sup>232</sup>.

კ. დოდაშვილმა 1890 წელს მუხლებრივ გაარჩია ე. ბოლხოვი-  
 ტინოვის წიგნში განხილული ქართული ლექსის სახეობები და მა-  
 თი მეტრული სქემები, კერძოდ. რუსთველური შაირი თავისი მეტ-  
 რული სქემით, რის გამოც შენიშნავდა: „აუცილებლად საჭიროა  
 მრჩობლედისა და შაირის გარჩევა, რადგანაც ორივეს სულ სხვადა-  
 სხვა წყობილება აქვს. ავტორი წიგნაკისა არათუ მარტო ვერ არჩევს  
 მრჩობლედს შაირისაგან, არამედ არც კი იცის მრჩობლედი არსე-  
 ბობს ჩვენს ლექსწყობაში თუ არა. ამის გამო, გვინიშნავს მრჩობ-  
 ლედსა და ლაპარაკობს კი შაირზე.“

აი შაირის მაგალითი და წყობილება:

განგებასა სად წაუხვალ, მივირს, რადმცა ერიდები?  
 „მოთმენა ხამს განსაცდელთა“, — ამას ხმოზენ ერი, დები,  
 მოდი, ყოლე ნუ გეშინის, ქალთა ნუ გთნავს ე რიდები,  
 და ვერ გაეჭვე მოსავალსა, ოდენ მანდაც ვერ იდები!  
 (სულხ. ორბელ. ლექსი: 422, „ქ. და დ.“)



შოთასაც, ჩახრუხადესაცა და ბევრს სხვასაც აქვს ამ ხალხუ-  
 რის კილოთი დაწერილი ლექსი.

<sup>232</sup> შდრ. გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ვერ-  
 სიფიციკის საჭიოხებზე, „ლიტ. ძიებანი“, IV, თბ., 1948, გვ. 253; გ. წიერე-  
 თელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 92; გ. შარაძე,  
 თეიმურაზ ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბ., 1974, გვ. 135—136.



მრჩობლედის წყობილება:

წესად გაგებით დაუსხამთ წორფელთა გზაზედა მავალთა,  
ვინც მოქენოხს ცას ქვეშე მას სათხოველსა მრავალთა.

რომელი მიზეზს მოიხვამს, მას ვერ მიხვდები შენაო,  
ამად გსურს ესე სოფელი, არ ძალ-გიცს ხილვად ზენაო.  
(423, „ქ. და დ.“)

◡◡◡—◡◡◡|—◡◡◡|◡◡◡—◡◡◡|—◡◡◡<sup>233</sup>

